

**მერაბ კალაძე**

**ნაკოლეონი  
ქართულ სიტყვაკაზმულ  
ლიტერატურაში**

..

**გამომცემლობა არტანუჯი  
თბილისი 2008**

ს

წინამდებარე ნაშრომში პირველად ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ არის შესწავლილი ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრების და მოღვაწეობის ასახვა ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. თემა არის აქტუალური და საინტერესო.

განკუთვნილია ქართული მწერლობითა და საფრანგეთის ისტორიით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისა და სტუდენტებისათვის.

**რედაქტორი** ალექსანდრე მიქაბერიძე

**რეცენზენტები:** ვაჟა თვალავაძე  
ნაირა მამუკელაშვილი

ISBN 978-99940-55-58-8

© შ. კალანდაძე, 2008

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2008

## შესავალი

საქართველოში ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია. თემა არის საინტერესო და აქტუალური [1]. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის შეუსწავლელია. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვეცხოვეს ეს ხარვეზი და აღნიშნული პრობლემა საგანგებო შესწავლის საგანი გაგვეხადა. დაგვეწერა ნაშრომი საქართველოში ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლის შესახებ. ფაქტობრივად ეს არის ქართული ნაპოლეონიანა: ეს ძალიან დიდი თემაა და მას, ალბათ, ერთი, სოლიდური მონოგრაფია შეიძლება მიეძღვნას. პირობით ქართული ნაპოლეონიანა სამ მონაკვეთად შეიძლება გაიყოს: ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქართველი ისტორიკოსები ნაპოლეონის აღმოსავლურ პოლიტიკაში საქართველოს მნიშვნელობაზე. თითოეული მათგანის შესახებ არსებობს საკმაოდ მდიდარი მასალა, რაც მათ ცალკე გამოყოფას სავსებით გამართლებულად ხდის

რა თქმა უნდა, ქართული ნაპოლეონიანა გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ევროპული ან თუნდაც რუსული, მაგრამ ეს ქართული ნაპოლეონიანას მნიშვნელობას, ვფიქრობთ, სულაც არ ამცირებს.

ნაპოლეონის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესება მხოლოდ ისტორიკოსების და სამხედროების მონომოლიას არ ნარმოადგენს. ნაპოლეონის ბობოქარმა ეპოქამ სიტყვაკაზმული ლიტერატურის დიდოსტატების ყურადღება მიიპყრო და მრავალი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა. გაიხსენეთ სტენდალის „ნითელი და შავი“, „პარმის სავანე“, ან ლევ ტოლსტოის უკედავი ქმნილება „ომი და მშვიდობა“. მხატვრულ ლიტერატურაში ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურისადმი დამოკიდებულება არასოდეს არ ყოფილა ერთგვაროვანი, სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და საინტერესოა. ეს კამათი პრინციპულ ხასიათს ატარებდა და დიამეტრალურად სანინა-

აღმდეგო შეხედულებებში აისახებოდა. ერთნი პირდაპირ აღმერთებდნენ ნაპოლეონს და ცაში აყავდათ იგი, ხოლო მეორენი კი პირიქით, აუგად იხსენიებდნენ მის სახელს და მინასთან ასწორებდნენ მას. ასე თანდათან გამოიკვეთა ორი სრულიად სანინალმდეგო ბანაკი – ბონაპარტისტული და ანტიბონაპარტისტული. თუ სტენდალის რომანები პირველ ბანაკს განეკუთვნება და ბონაპარტისტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული, ლევ ტოლსტოის რომანი პირიქით სრულიად სანინალმდეგო განწყობილებას გამოხატავს და მკვეთრად გამოკვეთილად ანტიბონაპარტისტულ ხასიათს ატარებს, ნაპოლეონს პირდაპირ მინასთან ასწორებს. ეს ორი ურთიერთგამომრიცხველი შეფასება ნაპოლეონიანას მთავარ ლაიტმოტივად გასდევს და ეს კამათი, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკა“.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაპოლეონის სახე ქართული ნაპოლეონიანას ორგანულ შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. თემა არის ფრიად აქტუალური და საინტერესო. ეს საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით აღნიშნული პრობლემა სპეციალური კვლევის ობიექტი გავგეხება.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უპირატესად ბონაპარტისტული ორიენტაციისაა. აქ თითქმის არ გვხვდება საპირისპირო მოსაზრებები, როგორც ეს არის რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში. დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი ყოველთვის იყო დადებითი. ამ მხრივ საგულისხმოა მისი შესანიშნავი ლექსი „ბოროდინო“. ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობას იჩენს კიდევ ერთი სახელმწიფეტილი რუსი მწერალი ფიოდორ დოსტოევსკი. ის თავის უკვდავ რომანში „იდიოტი“ ნაპოლეონს გვიხატავს როგორც ძალზედ ადამიანურ და ამავე დროს ტრაგიკულ პიროვნებას. ნაპოლეონის განდიდება რუსულ ლიტერატურაში თავის ზენიტს, პიკს, აღწევს დ. მერეჟკოვსკის ნიგნში „ნაპოლეონი“. ის ნაპოლეონს მზეს ადარებს და ერთადერთი რასაც მას საყვედურობს ის არის, რომ, არ გააუქმა რუსეთში ბატონყმობა.

ცნობილი რუსი მწერალი ნიკოლაი გოგოლი თავის გენიალურ ნაწარმოებში „მკვდარი სულები“ ნაპოლეონს დაცინვით და

ირონიით მოიხსენიებს. ეს უარყოფითი განწყობილება ყველაზე უფრო რელიგიურადაა გამოხატული ლევ ტოლსტოის რომანში „ომი და მშვიდობა“. ნაპოლეონის ასეთი ნეგატიური შეფასება რუსული თავადაზნაურულ-მემამულური პატრიოტიზმის გამოვლენება იყო. რა თქმა უნდა, ასეთი მრავალფეროვნება გაცილებით უფრო საინტერესოა, მაგრამ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთსულოვანი ბონაპარტიზმი არა ნაკლებ საყურადღებოა. მას ამკარად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს და ევროპულ რეალიზმზეა ორიენტირებული.

ნაპოლეონი მხოლოდ დამპყრობელი, მტარვალი და დესპოტი რომ ყოფილიყო, ის ვერაფრით ვერ მიიყრობდა ქართველი მწერლების ყურადღებას. როგორც ჩანს, ისინი ნაპოლეონში ხედავდნენ უფრო მეტს, ვიდრე ეს ჩვეულებრივი დამპყრობელია. ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასებისას XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის პოზიტიურ ღირებულებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა ის გარემოება, რომ მათ შეძლეს კარგად გაეცნობიერებინათ ნაპოლეონის ეპოქის ომების ხასიათში მომხდარი ცვლილება, გამოეკვეთათ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მათ ქართველ საზოგადოებას დამაჯერებლად უჩვენეს, რომ მიუხედავად ნაპოლეონის ომების დაპყრობითი ხასიათისა, მასში პროგრესული ელემენტი მაინც რჩებოდა და დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დაწერგვა მაინც ხდებოდა. საკითხისადმი ასეთი მიდგომა XIX საუკუნის ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას და საზოგადოებრივ აზრს ევროპულ დონეზე ამაღლებდა. მათ კარგად დაინახეს, რომ უფრო პროგრესულ სანაყის ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთი განასახიერებდა და მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული მათი პროფრანგული ორიენტაცია, ნაპოლეონისადმი სიმპათია.

ეს საკითხი დიდი ხნის განმავლობაში გვანტერესებდა და ნიკოლის მანძილზე ვაგროვებდით მისაღებს. გამოვიკვეყნეთ რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც უმთავრესად ამ საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ და ამ პრობლემის შესწავლის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. [2].

ნაპოლეონის ომების ხასიათში მომხდარი სახეცვლილება ყველაზე უფრო კარგად აქვს ხაზგასმული დიდ ნიკო ნიკოლაძეს. [3]. მისი სტატიები არ განეკუთვნება სიტყვაკაზმული ლიტერატურის სფეროს და სამეცნიერო პუბლიცისტიკის ერთერთი საუკეთესო ნიმუშია, ამიტომ ამ საკითხის განხილვისაგან ნიგნში თავი შევიკავეთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის სახელი ხშირად გაიყვრებოდა გალაკტიონის უკუდავ პოეზიაში. ნაპოლეონის ასეთი ინტენსიური მოხსენება საყურადღებო უნდა იყოს და იმის მაჩვენებელი ჩანს, რომ დიდი გალაკტიონი გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურის მიმართ. გალაკტიონი ბონაპარტისტულად განწყობილი ქართველი მწერლების რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ნაპოლეონის სახელი გვხვდება სხვა მხტავრულ ნაწარმოებებში, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა უიარაღო ს „მამულეჟი“ მადგამ ამ ნაწარმოებებში ეს თემა მხოლოდ გაკერით განიხილება და საგანგებოდ არ ჩერდება.

საინტერესოა საკითხია ნაპოლეონის სახე ევროპის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში. ეს თემა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით დამატების სახით ნიგნი შეგვეტანა ჩვენი ორი ნაშრომი „ბაირონი და ნაპოლეონი“ და „შილერი და ნაპოლეონი“. [4].

ვინაიდან ნიგნი ისტორიულ-ლიტერატურულ თემატიკას ეხება, მას წინ ნავეუძღვარეთ საინტერესო საკითხი ისტორიისა და ლიტერატურის ურთიერთობაზე. [5]. ამ რთულ თემაზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედვინებს, რომ მის შესახებ ქართულ ენაზე ძალზე ცოტაა დანერგილი.

### ლიტერატურა

- 1 მ კალანდაძე, ქართული ნაპოლეონიანა - მიქელენა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, მეორე სამეცნიერო კონფერენცია, თბ 1998
- 2 მ კალანდაძე, ბარათაშვილი და ნაპოლეონი - ქართული მწერლობა, 3 1990, მ კალანდაძე, ალ ორბელიანი ნაპოლეონის შესახებ - დროშა, 7-8 1997 მ კალანდაძე, გიორგი წერეთელი და ნაპოლეონი - კლიო 8 2000. მ კალანდაძე, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“ - ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, ნან 1 თბ, 2007.
- 3 ნ ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა, თბ, ტ. 2 თბ, 1962. Н Николадзе. На празднике - გაზ. „Новое обозрение“, 1889 №46 გაზ. „обзор“, 1878 № 92. ამ საკითხზე დანერგილებით იხილეთ ვ. დონაძე, ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებები, თბ., 1962
- 4 მ კალანდაძე, შილერი და ნაპოლეონი - არტანუჯი 2-3 1994 მ კალანდაძე, ბაირონი და ნაპოლეონი - საუნჯე, 1. 1988. მ კალანდაძე, ბაირონის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“, - დროშა, 11-12. 1999
- 5 ეს საკითხი აღძრულია ჩვენს ნაშრომში, რომელიც ძალიან შემოკლებული სახით დაიბეჭდა მ. კალანდაძე, ისტორიის და ლიტერატურის ურთიერთობა, - ცისკარი, 1 1991

## ქარი I

### ისტორია და სიტყვაკაზმული ლიტერატურა

#### I თავი

#### რა არის ისტორია, ხელოვნება თუ მაცნეობა?

ცხადია, ისტორია ჩინური კედლით არ გახლავთ გამოყოფილი მომიჯნავე მეცნიერებებისაგან. სიტყვაკაზმული ლიტერატურა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა, გეოგრაფია, ეკონომიკა და სხვა დარგები მათ შორის შეხების ნერტილები, უდავოდ, არსებობს და ისინი ურთიერთ-ზემოქმედებენ. საკითხი არის ფრიად აქტუალური და რთული. ამ თემას მეცნიერები სხვადასხვაგვარად წყვეტენ. მათ შორის რაიმე კონსენსუსის მიღწევა, ალბათ, ძალიან გაჭირდებოდა, ეს არცაა გასაკვირი. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. აქ ყველაზე უფრო კარგადაა დანახული ისტორიული პროცესის შემეცნება. ისტორიას საბოლოო ჭეშმარიტება არ ხელეწიფება.

სანამ XIX საუკუნის შუა ხანებში ისტორია დამოუკიდებელი მეცნიერების სტატუსს დაიმკვიდრებდა, მას მოუხდა საკმაოდ რთული და გრძელი გზის გავლა. ეს ხდებოდა მომიჯნავე მეცნიერებებთან მწვავე კონკურენციის პირობებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის ურთიერთობა. თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი ჯეკ ნაჯენტი აღნიშნავს, რომ „არცერთი საკითხი ისე მწვავე კამათს არ იწვევს, როგორც ის, თუ რა არის ისტორია – ხელოვნება თუ მეცნიერება“. [1. 48].

რა თქმა უნდა, არავინ უარყოფს იმას, რომ ისტორიას გააჩნია შეხების ნერტილები მხატვრულ ლიტერატურასთან: 1.

მხატვრული ლიტერატურის მსგავსად ისტორიას საქმე აქვს პიროვნებასთან და მისი მრავალმხრივობის გამოვლინების მრავალფეროვან ფორმებთან. ორივე შემთხვევაში ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი. 2. ორივე მათგანს გააჩნია ემოციური ზემოქმედების უდიდესი უნარი. 3. ამ ორი დარგის სიახლოვის საუკეთესო საბუთია ისეთი ლიტერატურული ჟანრის არსებობა, როგორცაა ისტორიული რომანი. [1. გვ. 48].

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ თავის დროზე მხატვრულმა ლიტერატურამ დიდად შეუნყო ხელი ისტორიის პოპულარიზაციას. ჯერ კიდევ რესტავრაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსმა ოგუსტენ ტიერრიმ კარგად დაინახა ვალტერ სკოტის რომანების როლი უამრავი მკითხველის, ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბების საკითხში. [2. 177], ამიტომ ვალტერ სკოტის რომანებისადმი გერმანელი ისტორიკოსის ლეოპოლდ ფონ რანკეს გულგრილი დამოკიდებულება საკამათოა. ამ ორი ისტორიკოსის შეხედულებებს შორის განსხვავება შემთხვევითი არ უნდა იყოს და მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ მათ სხვადასხვა კუთხით შეხედეს საკითხს. რანკესთვის მეცნიერული მეთოდი იყო ნყაროების კრიტიკული ანალიზი. ვალტერ სკოტის რომანები კი ამ კრიტიკულს ბუნებრივია ვერ აკმაყოფილებდა. რანკემ მკაცრი განაჩენი გამოუტანა ვალტერ სკოტის ისტორიულ რომანებს. საქმე ისაა, რომ ვალტერ სკოტის ისტორიული რომანები მიზნად ისახავდა არა წარსულის მეცნიერული სიზუსტით გადმოცემას, არამედ მის ასახვას მხატვრულ სახეებში. ამ რთულ მისიას უნდა ითქვას, რომ ვალტერ სკოტმა შესანიშნავად გაართვა თავი. ვალტერ სკოტის რომანებმა მთელი ეპოქა შექმნეს ისტორიული მეცნიერების განვითარებაში.

ო. ტიერრიმ კარგად შენიშნა ვ. სკოტის რომანების მნიშვნელობა ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბების საკითხში. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ იყო ამის გამომწვევი სხვა უფრო სერიოზული მიზეზები, ვიდრე ვალტერ სკოტის რომანებია. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ომებმა მძლავრი სტიმული მისცა ერთა კონსოლიდაციის პროცესს. ამ საქმეში ისტორიოგრაფია არ ასრულებდა უკანასკნელ როლს. ისტორია ერის თვითდამკვიდრების საქმეში სოლიდურ არგუმენტად მოგვევლინა. ამის ლოგიკური შედეგი იყო სა-

ზოგადოების თვალში ისტორიის ავტორიტეტის მკვეთრი ამაღლება. [3. გვ. 29-30].

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის ურთიერთობას თავისი ტრადიცია გააჩნია და სათავეს იღებს ანტიკური ეპოქიდან. დავა ამ თემის ირგვლივ არახალია. ჯერ კიდევ ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე გვიმტკიცებდა, რომ პოეზია უფრო მეცნიერული და ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია. ისტორიას, არისტოტელეს ღრმა რწმენით, თურმე არ შესწევს უნარი ემპირიულ მასალაზე მალლა დადგეს და განაზოგადოს. აი რას ნერდა არისტოტელე თავის თხზულებაში „პოეტიკა“. „ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო, ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი, ისტორიას კი უფრო მხედველობაში აქვს ცალკეული“. [4. გვ. 161].

აღორძინების ეპოქის ცნობილი ინგლისელი მოაზროვნე ფრენსის ბეკონი მეცნიერებას ყოფს ადამიანის უნარის მიხედვით: ისტორია - მეხსიერება, პოეზია - წარმოსახვა, ხოლო ფილოსოფია - გონება. [5. გვ. 45]. აქედან გამომდინარე ბეკონი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ისტორია გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე პოეზია და განსაკუთრებით კი ფილოსოფია. განა ისტორიას მხოლოდ მეხსიერება ჭირდება? ეს არის მხოლოდ ერთი კომპონენტი. საჭიროა ისტორიკოსს გააჩნდეს სხვა თვისებებიც, მათ შორის წარმოსახვა და გონება, ამიტომ ამგვარი კლასიფიკაცია მეტად პირობითია. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებაც. ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე და დიდი გერმანელი ფილოსოფოსი პეგელი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ისტორიას შესწევს ფილოსოფიური ხასიათი. [6].

ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის, სახელდობრ პოეზიის, დაახლოებისაკენ მისწრაფება ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი გასაღები ისტორიის წერის მეთოდების განვითარებაში, ისტორიული ცოდნის ევოლუციაშია საძიებელი. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი

ისტორიის და პოეზიის დაახლოების ტენდენციას. ბერძნულ მითოლოგიაში აისახა სავსებით რეალური ვითარება. ისტორიის მუზა „კლიო“ ამავე დროს პოეზიის მუზად ითვლებოდა. ძველი ბერძნები ისტორიას სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთ წიგრსახეობად აღიქვამდნენ და ისტორიკოსის ძირითად ამოცანას წარსულის საამო თხრობაში ხედავდნენ. სწორედ ანტიკურ ეპოქაში ჩაეყარა საძირკველი ცნობილ პრინციპს „ისტორია ინერება თხრობისათვის და არა მტკიცებისათვის“. ეს იყო ისტორიის დანიშნულების გააზრების პირველი ცდები, რომელიც მშვენივრად გადმოგვცემდა ისტორიული აზროვნების გარეგნულ შექმნილ ვითარებას, როდესაც ისტორიის წერის მეთოდები პირველ ნაბიჯებს დგამდა, ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამდა. წარსულის გადმოცემა, საამოდ თხრობა, მეტად საინტერესოა და მართლაც ძალიან ახლო დგას სიტყვაკაზმულ მწერლობასთან, ხელოვნებასთან, პოეზიასთან. ეს მოსაზრება საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მას ბევრი მომხრე ჰყავდა XIX–XX საუკუნეების ისტორიკოსებს შორის. ამ ორი დარგის ურთიერთობაში მკვეთრი გარდატეხა ხდება XIX საუკუნის შუა ხანებში, რაც მჭიდროდ უკავშირდება ისტორიის წერის მეთოდების წარმატებებს. თხრობითი ისტორიის გადაქცევა მეცნიერულ ისტორიად უპირატესად ორი გარემოებით იყო მოტივირებული. 1. ისტორიის მიერ საკუთარი ამოცანების უფრო ღრმა გააზრება და 2. ისტორიული წყაროების კვლევის მკაცრი მეცნიერული მეთოდის დამუშავება. [7. გვ. 26].

ისტორიასა და მხატვრულ ლიტერატურას შორის ურთიერთდამოკიდებულება XIX საუკუნის ფრანგმა პოეტებმა ძმებმა ედმუნდ და ჟორჟ გონკურებმა ასე გამოხატეს „ისტორია – ეს არის რომანი, რომელიც მოხდა; რომანი – ეს არის ისტორია, რომელიც შეიძლება, რომ მომხდარიყო“. [8. გვ. 328]. ამით მათ ფაქტობრივად მკვეთრად გამოიწვეს ერთმანეთისგან ისტორია და სიტყვაკაზმული მწერლობა. ამ საკითხს საინტერესოდ მიუდგა მეორე გამოჩენილი ფრანგი მწერალი გუსტავ ფლობერი. ის აღნიშნავდა: „დროის გასვლის კვალობაზე ხელოვნება მით უფრო მეცნიერული ხდება, ხოლო მეცნიერება – უფრო მხატვრული. განსორდნენ რა საფუძველში, ისინი როდესმე შეხედებიან მწვერვალზე“. [5. 81]. ფლობერმა ხაზი

გაუსვა იმას, რომ ისტორია და ხელოვნება ურთიერთზემოქმედებენ და ამით ამდიდრებენ ერთმანეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არასოდეს დაემთხვევიან ერთმანეთს.

ისტორიის მეცნიერული სტატუსის და მეცნიერებათა სისტემაში ისტორიის ადგილის ირგვლივ კამათი ამით არ დასრულებულა და XIX საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგაც გაგრძელდა. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ისტორიამ საბოლოოდ დაიმკვიდრა მეცნიერული სტატუსი და მოქებნა თავისი ადგილი მეცნიერებათა სისტემაში, მეორენი კი პირიქით სრულიად სანაიალმდეგოს ამტკიცებენ და კატეგორიულად უგულებელყოფენ ისტორიის მეცნიერულ ღირებულებას.

XX საუკუნის ევროპულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის დაახლოების იდეა ყველაზე უფრო მკაფიოდ აქვს გამოხატული გამოჩენილ ინგლისელ ისტორიკოსს ჯორჯ მაკოლი ტრეველიანეს თავის ნიგნში „კლიო – ისტორიის მუზა“. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ტრეველიანეს პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ნაშრომის სათაურში. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისტორია ხელოვნებასთან, პოეზიასთან, გაცილებით უფრო ახლოს დგას, ვიდრე მეცნიერებასთან. ინგლისელი ისტორიკოსი ცდილობს დააფუძნოს ეს მოსაზრება და დასძენს „თავის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან შტრიხებში ისტორია არ ნარმოადგენს მეცნიერულ ინდუქციას, არამედ არის ვარაუდი, რომელიც ემყარება ნარმოსახვას, ყველაზე უფრო რეალური განზოგადებისა“. [7. გვ. 124].

ტრეველიანეს ძირითადი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ ისტორიკოსის მთავარი ნიჭი არის ნარმოსახვის უნარი. ტრეველიანეს მსჯელობა, რა თქმა უნდა, შეიცავს რაციონალურ მარცვალს. არაეინ არ უარყოფს ისტორიას და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას შორის შეხების ნერტილებს არსებობას, მაგრამ მათ შორის ზღვარი არ უნდა ნაიშალოს. ტრეველიანეს ეს შეხედულება განზოგადებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია. მნიშვნელოვანილად სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ტრეველიანე აიგივებს ისტორიკოსის და დრამატურგის ამოცანებს, მიზნებს. ეს კი საკამათო შეიძლება იყოს.

ძველი რომის ისტორიის კომპეტენტური გერმანელი ისტორიკოსი თეოდორ მომზენი იმ აზრისაკენ იხრებოდა, რომ „ისტორია უფრო ახლოა ხელოვნებასთან, ვიდრე მეცნიერებასთან“. მისი თანამემამულე ოსვალდ შპენგლერი კატეგორიულად აჭხადებდა, რომ „ისტორია არ არის მეცნიერება, ის ხელოვნებაა“. იტალიელი ისტორიკოსის ბენედიტო კროჩეს თანახმად „ისტორია ხელოვნებაა“. ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი მიიჩნევს, რომ „ისტორია ერთდროულად მეცნიერებაცაა და ხელოვნებაც“. ფრანგი პოეტის პოლ ვალერის აზრით „ისტორია უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება“. პოლანდიელი მეცნიერის იოაჰიმ პოიზინგას თანახმად „ისტორია ხელოვნებასთან უფრო ახლოს დგას“. [9]. უნინარესად ხაზი უნდა გაუსვათ ერთ გარემოებას. საუბრობენ რა ისტორიისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე, პირველ რიგში, ისინი, რა თქმა უნდა გულისხმობენ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, რაც უმთავრესად იმითაა განპირობებული, რომ ხელოვნების ყველა დარგებიდან, სწორედ, მხატვრულ ლიტერატურას გააჩნია ყველაზე მეტი შეხების ნერტილები ისტორიასთან

ამგვარ მსჯელობაში გასაკვირი არაფერია და მას საფუძვლად უდევს განზოგადების, ინტერპრეტაციისადმი, სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მნიშვნელოვანილად გამოწვეული იყო იმ რეალური სირთულეებით, რომელიც დაკავშირებულია წარსულის შემეცნებასთან და რომლის გასაღებიც საკუთრივ წარსულის რთულ ბუნებაში უნდა ვეძიოთ, რომლის შესწავლაც სპეციფიურ ხასიათს ატარებს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ, ობიექტს, წარსულს ე. ი. ისტორიულ პროცესს, აღიქვამს სუბიექტი ე. ი. ისტორიკოსი. პეგელი მკაფიოდ გამოიხატავდა ერთმანეთისაგან საკითხის ობიექტურ მხარეს (პროცესს) და სუბიექტურ მხარეს – მეცნიერებას, რომელიც გაიაზრებს ამ პროცესს. [10. 58]. წარსულის შემეცნება ძალზე ძნელია, მაგრამ შეუძლებელი როდია. ისტორიკოსს შესწევს განზოგადების უნარი და იგი წარსულის საკუთარ ვერსიას გვთავაზობს.

ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის დაახლოების დროს საჭიროა დიდი სიფრთხილე, რაც იმით გამოიხატება, რომ ზღვარს არ უნდა გადავაბიჯოთ. მათ შორის მიჯნა არ

უნდა ნაიშალოს. ისტორია სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში არ უნდა გაითქვიფოს. ისტორიას და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას შორის, უსათუოდ, არსებობს შეხების წერტილები, მაგრამ განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებს და ამაზე თვალის დახუჭვა, ცხადია, სწორი არ იქნებოდა.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვეპაროს ის გარემოება, რომ ისტორია მიზნად ისახავს წარსულის მეცნიერულ შემეცნებას, ხოლო სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ამის პრეტენზია არ გააჩნია. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს წარსულის მხატვრულ სახეებში ასახვა. ისტორიას მეცნიერულ ღირებულებას ანიჭებს მტკიცების აუცილებლობა, ისტორიკოსის ყოველი დებულება მტკიცებას უნდა ეყრდნობოდეს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორიული გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს რეალური პიროვნება. მხატვრული ნაწარმოების ყურადღების ცენტრში დგას წარმოსახვითი პიროვნება, რომელიც მოქმედებს, არა რეალურ ვითარებაში, არამედ ასევე წარმოსახვით სიტუაციაში.

ცხადია, წარმოსახვა, ფანტაზია, ინტუიცია, სჭირდება ისტორიკოსსაც, ხელოვანსაც, პოეტსაც, მწერალსაც, მაგრამ თუ ხელოვანს ძალუძს თავის ფანტაზიას ფართო ასპარეზი მისცეს, ისტორიკოსი მოკლებულია ამის საშუალებას. ისტორიკოსი უნდა დარჩეს ფაქტების ერთგული. XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის ჯეიმზ ელტონის თქმით „ისტორიკოსი უნდა მიყვებ ფაქტებს და თავისი ფანტაზია, წარმოსახვები მოაქციოს მკაცრად შეზღუდულ ჩარჩოებში“. [7. გვ. 125]. მისი თანამემამულე რობინ ჯორჯ კოლინგუედი კი დასძენდა, რომ „ისტორიკოსის ფანტაზია არის დისციპლინირებული წარმოდგენები, რომელიც ემორჩილება ჭეშმარიტების ძიებას“. [1. გვ. 68]. ამიტომ ძნელია დავეთანხმოთ ინგლისელ ისტორიკოს ჯ. მ. ტრეველიანეს, რომ ისტორიკოსის და დრამატურგის ამოცანები იდენტურია. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს კიდევ ერთი არსებითი განსხვავება. ისტორიას, ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, გამოარჩევს მიღწეული შედეგების კონტროლირება. ყველაფერი ის რაც კონტროლს არ ექვემდებარება, არ შეიძლება შემომდგეს, მეცნიერების კომპეტენციას სცილდება და სულ სხვა სფეროში გადაყავართ. [1. გვ 48, 56].

XIX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის ჯეიმზ ფრუდის მოსაზრებით „შექსპირის ისტორიულ ქრონიკებში უფრო სწორადაა გადმოცემული ისტორია, ვიდრე ისტორიულ გამოკვლევებში“. [11]. შექსპირმა შესანიშნავად იცოდა ინგლისის ისტორია და ეს ძალიან კარგად ჩანს მისი ისტორიული ქრონიკებიდან, მაგრამ მისი პოეტური ფანტაზია, წარმოსახვა, ემორჩილებოდა არა ქვეშარიტების ძიებას, არამედ ინგლისის ისტორიის ასახვას მხატვრულ სახეებში. ამ რთულ ამოცანას შექსპირმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. ჯ. ფრუდის მოსაზრების გასაბათილებლად კარგი იქნებოდა გავიხსენოთ ინგლისის მეფის რიჩარდ III-ის (1483-1485) შექსპირისეული სახე.

XX საუკუნის გერმანელმა ისტორიკოსმა თეოდორ შიდერმა თავის წიგნში „ისტორიის საწყისი“ ასეთი აზრი გაატარა. ფრიდრიხ შიდერი ვალენშტაინის მოღვაწეობის შეფასების დროს თავის დრამაში „ვალენშტაინი“ გაცილებით უფრო ახლოს მივიდა ქვეშარიტებასთან, ვიდრე თავის ისტორიულ ნაშრომში „ოცდაათწლიანი ომი“. [12. გვ. 78-79] ფაქტობრივად თ. შიდერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მხატვრული ნაწარმოები გაცილებით უფრო ნინ დგას, ვიდრე ისტორიული გამოკვლევა. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება უდავოდ შეიცავს რაციონალურ მარცვალს, თუმცა, საკამათო შეიძლება იყოს.

ძნელი სათქმელია, რომ შილერი დრამაში „ვალენშტაინში“ გაცილებით უფრო ობიექტური იყო, ვიდრე ისტორიულ ნაშრომში „ოცდაათწლიანი ომში“. საქმე ისაა, რომ ორივე შემთხვევაში შილერის დამოკიდებულება ვალენშტაინისადმი არის რთული, წინააღმდეგობრივი და კატეგორიულად რამის მტკიცება ძნელია.

1809 წლის 15 იანვარს გაგზავნილ წერილში ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი ნიბური სკეპტიკურად უყურებდა შილერს, როგორც ისტორიკოსს და ამტკიცებდა, რომ მის ისტორიულ შრომებს ისტორია სანაგვე ყუთში გადაუძახებდა. [13. გვ. 258-259]. მისი თანამემამულე ლეოპოლდ ფონ რანკე გულგრილად ეკიდებოდა შილერის ისტორიულ დრამებს დონ-კარლოსზე, მარიამ სტიუარტზე, ვალენშტაინზე, თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში არსად არ იხსენიებს. [14]

ნიბურის და რანკეს პესიმისტური დამოკიდებულება შილერის ისტორიული შრომების და დრამებისადმი ცარიელ ნია-

დაგზე არ აღმოცენებულა და მნიშვნელოვანნილად წყაროები-სადმი შილერის არაკრიტიკული დამოკიდებულებით იყო გამოწვეული. ეს შილერის, როგორც ისტორიკოსის სერიოზული მინუსი იყო და ამაში ნიბური და რანკე სავსებით მართალი იყვნენ, მაგრამ ისინი სულ სხვა უკიდურესობაში ვარდებიან და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ შილერის, როგორც ისტორიკოსის კომპეტენციას, კვალიფიკაციას. შილერის ისტორიულ შრომებს ღირსებები გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე ნაკლი და შილერის როგორც ისტორიკოსის მთლიანად მიწასთან გასწორება, როგორც ამას ნიბური და რანკე ჩადიოდნენ, ძალიან მკაცრი განაჩენია. აშკარად არ გამართლდა ნიბურის წინასწარმეტყველება, თითქოსდა ისტორია შილერის შრომებს „სანაგვე ყუთში გადაუძახებდა“. შილერის ისტორიულ შრომებს დღესაც ბევრი მკითხველი ყავს და წარმატებით სარგებლობს. საგულისხმოა, რომ შილერის ისტორიულმა კონცეფციამ თავისი კვალი დააჩვენა XIX საუკუნის ისტორიოგრაფიას, განსაკუთრებით კი პროტესტანტული ბანაკის ისტორიკოსებს. ფრანგი მწერლის ანდრე მორუას თქმით „დრო ყველაზე უფრო ნამუსიანი კრიტიკოსია“.

ამრიგად, ისტორიის და სიტყვაკაზმული ლიტერატურის დაახლოება, უდავოდ, შეიცავს რაციონალურ მარცვალს და მას საფუძვლად უდევს სავსებით რეალური ვითარება. წარსულის გადმოცემა, აღწერა, მშრალი თხრობა, ძალიან ახლოს დგას მხატვრულ ლიტერატურასთან, მაგრამ მათი გაიგივება დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს, საკამათო შეიძლება იყოს. ისინი კვეთენ ერთმანეთს, მაგრამ არასოდეს დაემთხვევიან ერთმანეთს. ისტორიას და სიტყვაკაზმულ ლიტერატურას შორის არსებობს პრინციპული ხასიათის განსხვავება და ამაზე თვალის დახუჭვა მართებული არ იქნებოდა. „ისტორიკოსს უფლება არ აქვს ჩააქროს პროზაული ნიშნები... ან გადააქციოს ისინი სხვად, პოეტურად, ის ვალდებულია მოგვითხროს ის, რაც მის თვალწინ არის და როგორც იგი მას ეძლევა, არ გადაასხვაფეროს და არაფერი შემოიტანოს პოეტური“. [10. 58]. აქ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი პეგელი, სწორედ, იმ პრინციპულ განსხვავებას გულისხმობს, რომელიც არსებობს ისტორიულ გამოკვლევას და სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუშს შორის და ამაში ძნელია არ დაეთანხმო მას.

## II ტავი

### ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემატიკაზე არსებული გამოკვლევები

ე

ისტორიულ-ლიტერატურული თემატიკა ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას და მეცნიერული გამოკვლევებისათვის საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ თემატიკის დამუშავება კიდევ უფრო აღრმავებს ისტორიკოსის ერუდიციას და აფართოვებს მეცნიერის თვალსაზრისს. ორი მეცნიერების ზღვარზე მეცნიერული კვლევა საინტერესოა და სასარგებლოა

უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ისტორიულ მეცნიერებას საკმაოდ მდებარე გამოცდილება დაუგროვდა და მნიშვნელოვან ნარმატებებსაც მიაღწია. აღნიშნულ საკითხზე არსებობს უზარმაზარი ლიტერატურა. რა ფქმა უნდა, ამჟერად ამ პრობლემის სრულყოფილად წარმოჩენის პრეტენზია არ გავაჩნია და ქართულ საზოგადოებას მცირე ინფორმაციას მივანდით ზოგიერთ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ნაშრომზე.

ისტორიულ ლიტერატურული თემატიკის დამუშავების ერთ-ერთი კარგი ნიმუშია გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსის ლუსიენ ფეერის საინტერესო გამოკვლევა: „ათეიზმი XVI საუკუნეში, ფრანსუა რაბლეს რელიგია“. [15]. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ფეერის ნიგნი არის ფართოპლანიანი, უაღრესად მასშტაბური, მეცნიერული გამოკვლევა. აქ ფეერი გვევლინება, როგორც ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფოსი, კულტუროლოგი, ფსიქოლოგი, სოციოლოგი. ჭეშმარიტად ლ. ფეერის ერუდიციას საზღვარი არ გააჩნია. მისი ნიგნი რაბლეს არის ახალი სიტყვა, გრანდიოზული გადატრიალება რაბლეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში. მას დიდი ინტერესით გაეცნობიან არამარტო ისტორიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები, არამედ სხვა მომიჯნავე მეცნიერების წარმომადგენლები. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფრანსუა რაბლეს შემოქმედებისადმი ლუსიენ ფეერის მიდგომა არის ნოვატორული და ძალზედ

ფართო, რაც იმით აიხსნება, რომ ფრანგი ისტორიკოსი ორი-  
ენტრიებული იყო დისციპლინათა შორის სინთეზზე და ფრან-  
სუა რაბლეს შემოქმედების გლობალურად განხილვას ისახავ-  
და მიზნად. ლუსიენ ფევრი ფრანსუა რაბლეს თხზულებას არ  
განიხილავს, როგორც მხოლოდ ისტორიულ წყაროს ან ლიტ-  
ერატურულ ძეგლს. ის ამ საკითხს უფრო ფართო საქეტრში  
უდგება და ცდილობს გაარკვიოს საზოგადოების ფენების სო-  
ციალური ფსიქოლოგია. ის ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ XVI  
საუკუნის ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების შესწავლ-  
იდან ინდივიდუალური ფსიქოლოგიისაკენ და ცდილობს ყვე-  
ლაფერი დაუკავშიროს სოციალურ ფსიქოლოგიას. თანამედ-  
როვე ფრანგი ისტორიკოსი ჟაკ ლე გოფი აღნიშნავდა, რომ  
„ლუსიენ ფევრმა დასახა მთელი პროგრამა სოციალური ფსი-  
ქოლოგიის სფეროში, ისტორიის ამ თითქმის ხელუხლებელ  
უბანზე“

ლუსიენ ფევრმა შეძლო თავიდან აეცილებინა ის შეცდომა,  
რომელსაც მისი წინამორბედი მკვლევარები ჩადიოდნენ. მის  
ნაშრომს არ ახასიათებს რაბლეს შეხედულებების მოდერნიზა-  
ცია. იგი რაბლეს შეხედულებებს განიხილავს XVI საუკუნის  
ისტორიის რეალიებთან მჭიდრო კავშირში. ფრანგი ისტორი-  
კოსისთვის რაბლე, უპირველეს ყოვლისა, თავისი ეპოქის ღვი-  
ძლი შეილია, XVI საუკუნის მოქალაქეა, რომლისთვის მთავარ-  
ია არა გონება, არამედ რწმენა. ამიტომ ლუსიენ ფევრი ამტ-  
კიცებს, რომ ფრანსუა რაბლე არ შეიძლება ყოფილიყო არც  
ათეისტი და არც თავისუფალი მოაზროვნე XVIII საუკუნის  
ფრანგი ენციკლოპედისტების მსგავსად. ლუსიენ ფევრის  
თვალსაზრისით, კათოლიკური რელიგიისადმი რაბლეს უარყ-  
ოფითი დამოკიდებულება იმით აიხსნებოდა, რომ იგი არა-  
სოდეს არ ყოფილა ორთოდოქსი კათოლიკე. რაბლეს რელიგია  
ყურადღებას იპყრობს პუმანურობით, ამკვიდრებს ინდივიდუ-  
ალიზმს, ადამიანის უფლებას რწმენის არჩევაზე, სინდისის  
წინაშე მის პასუხისმგებლობას. ეს იყო თვისებრივად წინგადა-  
დგმული ნაბიჯი შუა საუკუნეების ასკეტურ მსოფლმხედველო-  
ბის შემდეგ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ახალი  
დროის სიომ ძალუმად დაქროლა. ლუსიენ ფევრის ნიგნმა  
ფრანსუა რაბლეს შემოქმედების შესწავლის საქმეში ახალი  
საინტერესო ფურცელი გადაშალა.

ფევერის ნიგნმა უმაღლეს მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება როგორც საფრანგეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ყოველგვარი ორიგინალური, ნოვატორული ინვესტიცია განსჯას, კამათს. ლუსიენ ფევერის ნიგნს გამოუჩინდნენ როგორც მომხრეებიც, ისე ოპონენტები. ამ მხრივ საინტერესოა ლუსიენ ფევერთან რუსი მკვლევარის მ. ბახტინის მეცნიერული პაექრობა. იგი ნიგნში „რაბლეს შემოქმედება – შუა საუკუნეების და აღორძინების ხალხური კულტურა“ [16] მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში ედავება. ფრანგული ისტორიოგრაფიის აღიარებულ მეტრს ამ დისკუსიის განხილვა არ შეადგენს ჩვენს ამოცანას და მხოლოდ მოკრძალებით დავძენდით ერთს. ხომ არ იგრძნობა ლუსიენ ფევერის ნიგნში ისტორიის ფსიქოლოგიზაციის საშიშროება?

ისტორიულ-ლიტერატურულ თემატიკას ეძღვნება გერმანელი სწავლულუბის აკად. ოურგენ კუჩინსკის და ვოლფგანგ ჰაიზეს საინტერესო ნიგნი „სურათები და მცნებები“. ამ ნიგნში ყურადღებას იპყრობს ერთი მონაკვეთი, სადაც განხილულია გერმანული ლიტერატურის კორიფეების ლესინგის, გოეთეს და შილერის მიმართება ისტორიისადმი. მისი ავტორია ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი აკად. ოურგენ კუჩინსკი. ეს მონაკვეთი დასათაურებულია ასე: „გოეთე როგორც ისტორიკოსი“, „ლესინგი როგორც ისტორიკოსი“, „შილერი როგორც ისტორიკოსი“. ამ მონაკვეთში საინტერესოდ არის განხილული მთელი რიგი აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემები. დამაჯერებლად არის ნაჩვენები გერმანულ განმანათლებელთა ისტორიულ-ფილოსოფიური შეხედულებების მნიშვნელობა ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. [13].

თუ შილერი პროფესიონალი ისტორიკოსი იყო, ლესინგის და გოეთეს, როგორც ისტორიკოსის შესახებ საუბარი, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს, თუმცა ისტორიული აზროვნების განვითარების საქმეში მათ წვლილს, ცხადია, არავინ არ უარყოფს. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მაინეკე ხაზს უსვამს გოეთეს დიდ დამსახურებას ისტორიზმის, როგორც მსოფლმხედველობის და მეცნიერული მეთოდის დამკვიდრების საქმეში. [17. 339–441].

ფრიდრიხ შილერის სახით საქმე გვაქვს პროფესიონალ ისტორიკოსთან, რომელიც სამი წლის განმავლობაში (1789–1791)

იენის უნივერსიტეტში, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს, კითხულობდა მსოფლიო ისტორიის კურსს. მის კალამს ეკუთვნის ორი სოლიდური ხასიათის ისტორიული ნაშრომი. „ნიდერლანდების განდგომის ისტორია“ (1788) და „ოცდაათლიანი ომი“ (1791), რომელსაც ამ პრობლემის ვერცერთი მკვლევარი დღესაც ვერ აუვლის გვერდს. გარდა ამისა, შილერის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მცირე მოცულობის სტატია, რომლებსაც შილერის, როგორც ისტორიკოსის გერმანელი მკვლევარი ერნსტ ენგელბერგი რატომღაც დუმილით უვლის გვერდს. [18].

ისტორიულ-ლიტერატურულ თემატიკას გვერდი ვერ აუარა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს პროფ. მ. ბარგის ნიგნი „შექსპირი და ისტორია“ [19]. ამ ნიგნში ნინა პლანზეა ნამონეული შექსპირის თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებები, მისი ისტორიის ფილოსოფია. შექსპირის მიერ ცალკეული ისტორიული სიუჟეტების ინტერპრეტაცია და მისი შეხედულებები ისტორიულ პროცესზე. აქ არის მცდელობა ამ საკითხის გააზრებისა არა მხატვრულ-პოეტური კუთხით, არამედ ისტორიულ-კრიტიკულ ქრილში. ავტორი განიხილავს შემდეგ კონკრეტულ საკითხებს: შექსპირის მსოფლმხედველობა, შექსპირი და ელისაბედის ეპოქის ისტორიოგრაფია, საზოგადოება, ეთიკა, პოლიტიკა. შექსპირის ისტორიული ქრონიკები და ისტორია. ავტორი ყურადღებას ამახვილებს შექსპირის ისტორიულ ქრონიკებზე, როგორც აღორძინების ეპოქის ისტორიული აზროვნების განსახიერებაზე, წყაროზე. ეს საკითხები ნაკლებადაა დამუშავებული და დიდი ხნის განმავლობაში შექსპიროლოგიაში პერიფერიულ თემად რჩებოდა.

ამ თემატიკით დაინტერესება ქართულ ისტორიოგრაფიაშიც შეინიშნებოდა. აქ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აკად. ნიკო ბერძენიშვილის საინტერესო ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი როგორც ისტორიული წყარო“. ეს ნაშრომი არის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, თუ როგორ შეიძლება გაარჩიოს ისტორიკოსმა მხატვრული ნაწარმოები, როგორც ისტორიული წყარო [20].

რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ახალი ისტორიის მკვლევარისათვის მხატვრული ნაწარმოები პირველწყარო? შეიძლე-

ბა ვილაპარაკოთ ამ მნიშვნელობის სამ ვარიანტზე. 1. მხატვრული ნაწარმოები, როგორც წყარო კულტურის ისტორიისათვის. 2. მხატვრული ნაწარმოები, როგორც წყარო საზოგადოებრივი ზნე-ჩვეულებების და ხასიათის შესახებ. 3. მხატვრული ნაწარმოები, როგორც წყარო საზოგადოების აზროვნებისა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის შესახებ. [21]. ამ თვალსაზრისით მხატვრული ლიტერატურა იძლევა საინტერესო და მრავალფეროვან მასალას მეცნიერული ანალიზისა და დაკვირვებებისათვის.

### III ტავი

#### ლიტერატურაში გაყალბებული ისტორიული სახეები

მწერალს, დრამატურგს, პოეტს შეუძლია გადაუხვიოს ისტორიულ ფაქტებს და სიტყვაკაზმული ლიტერატურის შედევრები შექმნას. მსოფლიო ლიტერატურაში ამის უამრავი მაგალითებია. სახელგანთქმულ მწერლებს გააჩნიათ ჯადოსნური ხიბლი. შესწევთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უნარი. ფართო საზოგადოება ხშირად რომელიმე ისტორიულ მოვლენას, გამოჩენილ პიროვნებას, ზუსტად ისე აღიქვამს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში ამოიკითხა. ფიქრთაბმყრობელებს მაგიური ძალა გააჩნიათ და მათი ძალისხმევით საზოგადოება ზოგჯერ დეზორიენტირებული, შეცდომაში შეყვანილი აღმოჩნდება. ამიტომ ამ თემის განხილვა ფრიად აქტუალურია და ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.

აღ. დიუმა ამბობდა „ისტორია ჩემთვის ის ლურსმანია, რომელზეც რანაირი ტანსაცმელიც მინდა იმნაირს ჩამოვკიდებ“. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ფრიდრიხ შილერის დრამის „ორლეანელი ქალწულის“ ფინალური სცენა, რომელიც ბერნარდ შოუს თქმით „მთელ რომანტიკულ გალიმატიას წარმოადგენს“. ჯერ ერთი 1435 წელს არასში გამართულ მოლაპარაკებაში ბურგუნდიის პერცოვთან ჟანა აქტიურად მონაწილეობდა და ეს მაშინ, როდესაც ამ დროს ჟანა უკვე ცოცხალი არ იყო. მაყურებელზე ძლიერი ზეგავლენის მოხდენის მიზნით შილერის დრამის ფინალში ჟანას კოცონზე კი არ წვავენ, როგორც ეს სინამდვილეში იყო, არამედ ის ილუპება ბრძოლის ველზე. [22].

შოტლანდიის დედოფლის მარიამ სტიუარტის რომანტიკული სახე თავის სიცოცხლისუნარიანობას და პოპულარობას მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებს ფრიდრიხ შილერს, ვალტერ სკოტს და შტიფან ცვაიგს უნდა უმადლოდეს. შოტლანდიის დედოფლის ტრაგიკული ხვედრი მათი შთავგონების წყაროდ იქცა. მათ თავისებურად აღიქვეს ორ დედოფალს მარიამ სტიუარტსა და ელისაბედს შორის კონფლიქტი. ასე შეექმ-

ნა მარიამ სტიუარტს ელისაბედის უმანკო მსხვერპლის იმიჯი. სინამდვილე სხვაგვარადაა. ისტორიული მარიამ სტიუარტი სულაც არ აღმოჩნდა ისეთი რომანტიკული შარავანდედით მოსილი გმირი, როგორც ეს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში დაგვიხატეს. ორ დედოფალს შორის უმწვავესი დაპირისპირება არ წტარებდა მხოლოდ პირადულ ხასიათს. მას გაცილებით უფრო გლობალური მასშტაბი ჰქონდა. ამ ორი ქალის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის უკან კარგად მოჩანს გრანდიოზული კონფლიქტი რეფორმაციასა და კონტრეფორმაციას შორის. მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე ესპანეთს და ახალ მძლავრ პროტესტანტულ ინგლისს შორის. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ ამ უშეღავთო ბრძოლაში წარმატება, უფრო პროგრესულ ტენდენციას – ელისაბედის ეპოქის პროტესტანტულ ინგლისს ხვდა წილად. ელისაბედის ანტიესპანური პოლიტიკა უფრო მეტად შეესატყვისებოდა ინგლისის ინტერესებს, ვიდრე მარიამ სტიუარტის კათოლიკური და პროესპანური კურსი. მარიამ სტიუარტის ტრაგედიის გასაღებიც, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. [23].

XX საუკუნის ცნობილმა ავსტრიელმა მწერალმა შტეფან ცვაიგმა დაწერა საინტერესო რომანი ნაპოლეონის პოლიციის მინისტრზე ჟოზეფ ფუშეზე, სადაც მან სცადა ჩანდომოდა ამ მართლაც არაორდინალური პიროვნების ფსიქიკას და ნაპოლეონის პოლიციის მინისტრის შთამბეჭდავი სახე შექმნა. როგორც ამ ეპოქის კომპეტენტური მკვლევარი პროფ. ა. მანფრედი აღნიშნავს „შეიძლება არ დაეთანხმო შტეფან ცვაიგს, როდესაც ჟოზეფ ფუშეს ბოროტების გენიად ხატავს“. [24. გვ. 400]. სახელგანთქმული მწერალი ფუშეს მოღვაწეობას მუქი სათვალადან უყურებდა. საქმე ისაა, რომ ეს ფერმკრთალი, შეუხედავი კაცი შპიონაჟის ეირტუოზი და შანტაჟის დიდოსტატი იყო. ი. სტეკლოვის თქმით „მან შექმნა შპიონაჟის და შანტაჟის ისეთი მექანიზმი, რომელიც აქამდე არავის შეუქმნია“ [25. გვ. 3]. თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსის პერბერტ კოულის თქმით „ნაპოლეონი არასოდეს ისე საიმედოდ არ გრძნობდა თავს, როგორც მაშინ, როდესაც მისი პოლიციის მინისტრი ჟოზეფ ფუშე იყო“. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, საინტერესოა. [26].

ვსაუბრობთ რა ამ თემაზე არ შეიძლება გვერდი აუაროთ ალექსანდრე დიუმას უკვდავ რომანს „სამი მუშეკეტერი“. ნაწარმოებში გვხვდება ისტორიული პერსონალები: ლუი XIII, კარდინალი რიშელიე, ჰერცოგი ბეკინგემი, ანა ავსტრიელი.

XIX საუკუნის დასაწყისის ფრანგი რომანტიკოსების და პირველ რიგში, ცხადია, ალ. დიუმას ძალისხმევით საფრანგეთის მეფეს ლუი XIII შეექმნა მეფე-მარიონეტის იმიჯი, რომელსაც თითქოს საკუთარი ხელობაც კი ეზარებოდა და ყველაფერი თავის ყოვლისშემძლე მინისტრს კარდინალ რიშელიეს გადააბარა. ამ თეატალურისმა ფართოდ მოიკიდა ფეხი სამეცნიერო ლიტერატურაში და სახელმძღვანელოებში. რეალობა სულ სხვანაირია. ისტორიკოსებს დიდი შრომა დაჭირდათ იმისათვის, რომ საკითხისათვის ნათელი მოეჩინათ. ფრანგმა ისტორიკოსმა ბატიფოლმა დიდი შრომა განია იმისათვის, რომ გაექარწყლებინა ნარმოდგენა ლუი XIII როგორც მეფე-მარიონეტზე. მან საარქივო მასალებზე დაყრდნობით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ლუი XIII არ იყო უნებისყოფო, უნიათი და ზარმაცო მონარქი. მას ჰქონდა ღირსებები. გააჩნდა მტკიცე ხასიათი. განსაკუთრებით აფასებდა ადამიანის ნიჭს. რიშელიესადმი მისი დამოკიდებულება ამის ნათელი ილუსტრაციაა. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ მოუხედავად დედის მარი მედიჩის და ცოლის ანა ავსტრიელის მუდარისა, ის ბოლომდე ერთგული დარჩა კარდინალის და არც შემცდარა. ამერიკელი ისტორიკოსი ორესტ, რენუმო ხაზს უსვამს, რომ ლუი XIII არ ყოფილა დიდი პოლიტიკოსი, მაგრამ არც უნიათი მონარქი იყო. უპირველეს ყოვლისა რენუმო მიუთითებს, რომ ლუი XIII სულაც არ იყო ინდეფერენტული და აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვაში. ის ცდილობდა გარკვეულიყო სახელმწიფოს მმართველობის უწერილმანეს ნოუანსებშიც კი. მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არც ერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ ღებულობდნენ. ლუი XIII დაულალავად შრომობდა სახელმწიფო მდივნებთან და ყოველთვის მტკივნეულად განიცდიდა რაიმე საკითხზე ინფორმაციის ნაკლებობას. და რაც მთავარია მას ძალუძდა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. ო. რენიმო ხაზს უსვამს სამხედრო საკითხში ლუი XIII ინიციატივას და დამოუკიდებლობას. [27. გვ. 306-308]. როგორც თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი

ალბერტ კრამერი აღნიშნავს „ლუი XIII სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე შეძლო დარჩენილიყო თავისი ყოვლისშემძლე მინისტრის ჩრდილში“. [28. გვ. 236].

XIX საუკუნის დასაწყისის ფრანგი რომანტიკოსების ალექსანდრე დიუმას, ვიქტორ ჰიუგოს, ალფრედ დე ვინის წყალობით კარდინალ რიშელიეს უყურებდნენ როგორც დესპოტს, ტირანს, რომელიც ერთპიროვნულად მართავდა საფრანგეთს და არაფრად აგდებდა მეფეს. სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამერიკელმა ისტორიკოსმა ორესტ რენუმომ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ლუი XIII და რიშელიეს ურთიერთობას საფუძვლად ედო ურთიერთპატივისცემა, რომელიც ეყრდნობოდა მჭიდრო თანამშრომლობას, რომელსაც ო. რენუმო რიშელიეს კომპეტენტურობით და ზუსტი ინფორმაციის მინოდების უნარით ხსნის. მეფის თანხმობის გარეშე რიშელიე ვერ მიიღებდა ვერც ერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. [29].

სულ სხვაგვარი იყო პერცოგი ბეკინგემიც. თანამედროვეებს ის არ უყვარდათ და მან ნებისთ თუ უნებლიეთ შეამზადა ნიადაგი ინგლისში სამოქალაქო ომისათვის და სტიუარტთა დინასტიის დაშლისათვის. [30].

არც ანა ავსტრიელი იყო ისეთი რომანტიკული შარავანდედით მოსილი პიროვნება, როგორც ეს ალ. დიუმამ დაგვიხატა. [31].

და ბოლოს უნდა დავძინოთ, რომ არც ალექსანდრე დიუმას რომანის „სამი მუშეკეტერის“ გმირების ათოსის, არამისის, პორთოსის და დარტანიანის ცხოვრება იყო აღსავსე ისეთი რომანტიკული ფაფურაკებით, როგორც ეს დიუმას რომანშია. არაა გამორიცხული, რომ მათ ერთმანეთი გაიცნეს რიშელიეს გარდაცვალების შემდეგ, ანდაც სულ არ იცნობდნენ ერთმანეთს. [32].

ისტორიული სინამდვილიდან გადახვევის ფაქტები გვხვდება ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ასე მაგალითად, ხევის დაპყრობის იდეა ეკუთვნის არა ნუგზარ ერისთავს, არამედ მის ვაჟს ზურაბს.

საქართველოს მეფის გიორგი II (1072–1089) უარყოფითი იმიჯის შექმნის საქმეში დავითის ისტორიკოსთან და დიდ ივანე ჯავახიშვილთან ერთად თავისი წვლილი შეიტანა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კორიფემ კონსტანტინე გამ-

სახურდიამ, რომელმაც თავის დიდტანიან რომანში „დავით აღმაშენებელი“ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მეფის გიორგი II ნეგატიურ დამოკიდებულებას. გიორგი II უარყოფით შეფასებას საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა. ეს გასაგებიცაა. ის დავით აღმაშენებლის მეხობტზე იყო და ნებისით თუ უნებლიედ მისი წინამორბედის წვლილს, ბუნებრივია, აკნინებდა. დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც გამოირჩეოდა წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარით, დასძენდა „გიორგი II რბილი, სუსტი ხასიათის ადამიანი უნდა ჩანდეს. მან ვერ შეძლო ვერც აზნაურთა თავგასულობის აღკვეთა და ვერც გარეშე მტრის მოგერიება“. ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიაში“ წერია: „გიორგი II ნადირობა. დროსტარება უფრო აინტერესებდა, ვიდრე სახელმწიფოს მართვა“. რა თქმა უნდა, გიორგი II დიდი პოლიტიკოსი არ ყოფილა, მაგრამ მისი მთლად მინასთან გასწორება მკაცრი განაჩენი იქნებოდა. წყაროები ხაზს უსვამენ გიორგი II მეფობის დასაწყისში მოპოვებულ წარმატებას და განსაკუთრებით აღნიშნავენ 1073 წელს ფარცხისის ბრძოლაში გამარჯვებას. 1080 წელს საქართველოს თურქ-სელჯუკები შემოესივნენ. გიორგი II ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის მიზნით კომპრომისზე წასვლა არჩია. სელჯუკებს ხარკი გადაუხადა და დანებდა. მარტო საქართველოს მეფე არ მოქცეულა ასე. სელჯუკებმა საქართველოზე გაცვილებით უფრო ძლიერი სახელმწიფოები არაბეთი და ბიზანტია დაამარცხეს. ამიტომ საქართველოს ძნელბედობის ახსნა მხოლოდ გიორგი II უნიათობით მთლად დამაჯერებელი არ უნდა ჩანდეს. [33].

ლიტერატურაში გაყალბებული სახის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ინგლისის მეფე რიჩარდ III (1483–1485). „აღლბათ, შთამომავლობის თვალში არცერთი მონარქის სახე ისე არ შეუცვლიათ, როგორც ინგლისის მეფის რიჩარდ III. ეს არცაა გასაკვირი. მისი მეფობა საკმაოდ ხანმოკლე იყო და წყაროებში სუსტი კვალი დატოვა. ამიტომ მეცნიერებამ ზუსტად იმდენი იცის მასზე, რამდენიც თითუღმა ჩვენგანმა“. [19. 173]. სამაგიეროდ თითუღმა ინტელიგენტმა ძალიან კარგად იცის უილიამ შექსპირის პიესა და რიჩარდ III უარყოფით დამოკიდებულებას ამტკიცებს. სცენიური რიჩარდი ძალიან განსხვავდებოდა ისტორიულისაგან. [19. 32. 34].

ინგლისელი ისტორიკოსის ჩითჰემის თქმით „რიჩარდი 1483 ნელს რომ მომკვდარიყო, არაფერი არ მოხდებოდა და იგი ისტორიაში შევიდოდა როგორც რიჩარდ გლოსტერი“. რიჩარდ III გაშავება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მას უპირატესად პოლტიკური სარჩული ედო საფუძვლად. რიჩარდ III დადანაშაულებით ტიუდორებს სურდათ გაემართლებინათ ტახტიდან მისი ჩამოგდება და ინგლისის ტახტის უზურპაცია. ახალი დინასტიის პირველი ნაბიჯები რიჩარდის წინააღმდეგ იყო მიმართული, რათა მის შესახებ მოგონებები ძირფესვიანად ამოეძირკვათ. ფრენსის ბეკონი შენიშნაედა „ასეთი იყო მეფის ნება“. [19. 182]. ამიტომ პროფ. მ ბარგი საესებით სამართლიანად ეკამათება თანამედროვე ინგლისელ ისტორიკოსს ა გრენემს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს რიჩარდ III გაშავების საქმეში ტიუდორთა როლს. [19. 186]. ტიუდორთა ლევენდის ფორმირების და სიცოცხლის უნარიანობის საქმეში „ლომის ნილი“ მიუძღვის აღორძინების ეპოქის ორ ტიტანს თომას მორს და უილიამ შექსპირს. მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ბოსვორტის ბრძოლამდე წყაროებში რიჩარდის აუჯად მოხსენიება ფაქტობრივად არ გვხვდება და იგი ინტენსიურ ხასიათს იღებს ბოსვორტის ბრძოლის შემდეგ. [19. 173-186].

რიჩარდ III დაიბადა 1452 წლის 2 ოქტომბერს. ტრადიციის თანახმად რიჩარდი გულგრილად მიიკვლევდა გზას ტახტისაკენ. სინამდვილეში ეს მთლად ასე არ ყოფილა. თავისი ძმის კლარენსისაგან განსხვავებით, ის მუდამ ერთგული დარჩა მეფე ედვარდ IV. მას მეფე არ მიუტოვებია მისთვის ყველაზე უფრო მძიმე ნუთებში – ბარნეტის და ტიუქსბერის ბრძოლებში. მეფე ენდობოდა რიჩარდს, სწორედ მას დაავალა ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანა – მთელი ჩრდილოეთ ინგლისის კონტროლი, რომელიც ლანკასტერების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა. მან საესებით გაამართლა მეფის იმედები. თავი გამოიჩინა როგორც კარგმა ორგანიზატორმა და მთელი ეს მხარე მეფის კონტროლს დაუქვემდებარა. მეფეს ეჭვი არ ეპარებოდა რიჩარდის ერთგულებაში და ის უყოყმანოდ დანიშნა ლორდ პროტექტორად და მცირეწლოვანი უფლისწულების მფარველად. ფაქტობრივად რიჩარდი სახელმწიფოში მთავრად კაცი შეიქნა. რიჩარდის ასეთი აღზევება, ბუნებრივია, არ აწყობდა დედოფლის მომხრეებს. დაიწყო პირველობისათვის ბრ-

ძოლა. რით იყო მოტივირებული რიჩარდის მკვეთრი მეტამორფოზი. ძნელი სათქმელია. ისტორიკოსები ამ საკითხზე სხვადასხვა ვარაუდებს გამოთქვამენ. ყველაფერი ის რაც შემდეგ რიჩარდმა გააკეთა, ამ ჩანაფიქრის რეალიზება იყო. [19. 173-185].

ტიუდორთა ლეგენდა ემყარება სამ ძირითად არგუმენტს: 1. რიჩარდი იყო ფიზიკურად მახინჯი, სახიჩარი. მახინჯ სხეულში მახინჯი სულია. 2. რიჩარდის მიერ მოკლულ იქნა მცირეწლოვანი უფლისწულები. 3. რიჩარდი იყო ტირანი, დესპოტი, მონსტრი.

თანამედროვეები, რომლებსაც უნახავთ რიჩარდი და სურათები, რომელიც გადაურჩა ფამთა სიავეს, არავითარ მინიშნებას ფიზიკურ ნაკლებზე არ იძლევიან. რიჩარდი იყო ვაჟაკური იერის, საშუალო ტანის, შავგვრემანი მამაკაცი.

რა თქმა უნდა, რიჩარდის წინააღმდეგ ყველაზე უფრო მძიმე ბრალდება მცირეწლოვანი უფლისწულების მკვლელობაა. ეს მეტად შემზარავი ისტორიაა და რაც უფრო მეტი დრო გადის სულ უფრო ბინდით მოცული ხდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ვინც ამ შემადრწუნებელ ფაქტს გადმოგვცემს, უმთავრესად ემყარება ჭორებს, ხმებს, რომელსაც, ბუნებრივია, რიჩარდის მტრები ავრცელებდნენ. დღეს ამ ზეპირი ინფორმაციის შემონახვა პრაქტიკულად შეუძლებელია. თანამედროვე მეცნიერებას არ მოეპოვება ისეთი სარწმუნო მასალა, რომელიც ნათელს მოჰფენს ამ საკითხს. ეს არცაა გასაკვირი. ახალი დინასტია შეეცადა, რომ კვალი სამუდამოდ წაშლილიყო. ტიუდორებს სურდათ, რომ ბავშვების მკვლელობა რიჩარდს დაბრალებოდა. ეს არის ძალიან კარგი თემა ამ მოვლენების დრამატიზებისათვის. [19. 180].

მართალია, რიჩარდი არ ყოფილა ანგელოზი, მაგრამ განა მისი წინამორბედები და შემდეგ გამეფებული ტიუდორები ნაკლები ტირანები, დესპოტები და მონსტრები იყვნენ?

მიუხედავად იმისა, რომ რიჩარდ III ძალიან ცოტა ხანს იმეფა, წყაროებში მაინც დატოვა კვალი, არა როგორც მონსტრმა, ტირანმა, დესპოტმა, არამედ უნისტენლის სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც „ღირსეულმა მონარქმა“, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა შემოღობების

შედეგები საშუალო ფენისთვის. მისი პოლიტიკური იზოლაციის მიზეზიც, სწორედ აქ უნდა ვეძიოთ [19. 32, 34].

შექსპირის სურდა დაენერა უარყოფით მონარქზე. ასეთი უარყოფითი მონარქი შექსპირისდროინდელი ინგლისის მმართველი წრეების თვალში შეიძლება ყოფილიყო რიჩარდ III. ამ რთულ ამოცანას შექსპირმა ბრწყინვალედ გაართვა თავი და დაწერა შესანიშნავი პიესა, რომელმაც ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს თეატრების სცენა. ისტორიული რიჩარდი განსხვავდებოდა სცენურისაგან. [35].

### ლიტერატურა

- 1 Б Могильницкий, К вопросу о соотношении исторического и художественного познания - сб "средние века", Вып, 39 М., 1975
- 2 О Ваништапи, Историкография средних веков. М., 1940
- 3 ლ. ფირცხალავა, ისტორიული მეცნიერების შესავალი, თბ., 1995
- 4 არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1979
- 5 გ ყორანაშვილი, პროფესია ისტორიკოსი, თბ., 1986
- 6 შ მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994. ჯეჯელი, ისტორიის ფილოსოფია, თბ., 2002
- 7 Н. Ерофеев, Что такое история, М., 1977
- 8 Э Гонкур, Ж. Гонкур, Дневники. Записки о литературной жизни, т. I. М., 1964
- 9 Н. Иробаджаков, Кляно перед судом истории, М., 1972 А Гульга, Эстетика историн, М., 1974 გ კილურაძე, ახალი ისტორია, ნან, I თბ., 1970
- 10 Гетель, соч., т 8 М., 1935
- 11 Историкография новой и новейшей историн стран Европы и Америки, М., 1977
- 12 T Schieder, Begegnungen mit der Geschichte Göttingen, 1962.
- 13 J Kuczynski, W Heise, Bild und begriff Studen über die Beziehungen zwischen kunst und Wissenschaft. Berlin-Waimar, 1975
- 14 L. von Ranke, Maria Stuart und ihre zeit, Berlin, 1942. L. von Ranke, Geschichte Wallenschein, Leipzig, 1869 L. von Ranke, Don Carlos, Berlin, 1879
- 15 L Febvre, Le Probleme de l'incroyance au XVI siecle La religion de Rabelas, P 1942 ამ საკითხზე დანვრილებით იხილეთ В. Далин, Историни Франции XIX-XX века, М., 1981
- 16 М. Бахтин, Творчество Франсуа Рабле и народная культура средневековья и ренессанса, М., 1965
- 17 Фр Мейндке, Возникновение историзма, М., 2004 Э Трёлль, Истризм и его проблемы, М., 1994

- 18 E. Engelberg, Fr. Schiller als Historiker - in Studien über die deutsche Geschichtswissenschaft, Band. 1. Berlin. 1963 Th. Schieder, Schiller als Historiker - in: Historischen Forschungen und Problem, P. Rasow. 70 Geburtstage, Wiesbaden, 1961. G. Mann, Schiller als Historiker - in Sarbuch der deutschen Schillergesellschaft. №4. 1960 H. von Srbik, Goethe und Schiller und die Geschichte, Zurich, 1971 Fd. Fucier, Geschichte der neuen Historiographie, München, 1936
- 19 М. Барт, Шекспир и история, М., 1975
20. 6 ბერძენივილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ნან, VII, თბ, 1974.
- 21 И. Биск, Курс лекции по источниковедению новой и новейшей истории, Тамбов, 1971. И. Григорьева, Источниковедение новой и новейшей истории стран Европы и Америки, М., 1984 Т. Маскалкин, Н. Николаев, Курс лекции по источниковедению новой и новейшей истории, М., 2004
- 22 "Procès de condamnation de Jeanne D'arc", Paris, 1959 "La réhabilitation de Jeanne la Pucelle", Paris, 1961 А. Люблинская, Жанна Д'арк - "Средние века". вып. 22. М., 1962. В. Раница, Жанна Д'арк Факты, легенды, гипотезы, Л., 1982 ა. ლევანდოვსკი, ფანა დ'არკი, თბ, 1973. 8. კალანდაძე ფრიდრიხ შილერი და ფანა დ'არკის ისტორია - საბჭოთა ხელოვნება, 2 1980 მ. კალანდაძე, ფანა დ'არკი - საქართველოს ქალი, 12 1989.
- 23 Кр. Хенг, Елизавета I Англиская, Ростов на дону, 1997. О. Дмитриева, Елизавета Тюдор, М., 2004 ივ. მენთემაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ, 2002. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ, 2005 მ. კალანდაძე, ფრიდრიხ შილერი და მარიამ სტოუარტის ისტორია - საბჭოთა ხელოვნება, 3 1984. მ. კალანდაძე, ელისა ბედი - მანდილი, 10, 1990
- 24 А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973.
- 25 Ю. Стеклова, Политическая полиция и провокация во Франции, Пг, 1917
- 26 ფოზეფ ფუშეზე დანეროლებით იბ. L. Madelin, Fouche, Paris, 1955. А. Егоров, Фюше, P/D 1998
- 27 ამერიკელი ისტორიკოსის ო. რენემოს ნიგნზე იხილეთ ლ. ალიბინას რეცენზია „Средние века“ вып; 35 М., 1972.
- 28 "Французские короли и императоры" P/D 1997 ამ საკითხზე დანეროლებით იბ. А. Люблинская, Французский абсолютизм в первой половине XVII века, М-Л, 1965 ქართულ ენაზე იბ. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ, 2005.
- 29 კარდინალ რიშელიეზე დანეროლებით იბ. П. Черкасов, Кардинал Ришелье, М., 1990 P. Кнехт, Ришелье, P/D, 1997. P. Erlanger, Richelieu, P., 1997
- 30 ისტორიული ბეკინგეში სულ სხვანაირი იყო Л. Ивоиния, Джордж Виллере, Терюг Бекингем. - "Новая и Новейшая история" №1 1993

31. П. Губер, Мазарини, М., 2000. Л. Ивоинна, Мазарини, М., 2007.
32. Е Черняк, Приговор веков, М, 1971. А Шевеленко, Реальный Д'артини - "Вопросы истории", №11. 1977. В. Квитко, памяти Д'артаньяна - "Неделя", №27. 1976. ქართულ ენაზე იხილეთ მ. კალანდაძე, დიუმა და მისი „სამი მუშეკეტერი“ - „ჯეჯილი“, თბ., 1988
33. დანერჩილებით იხ. რ. მეტრეველი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ, 1972.
34. И. Осиповский, Томас Мор, М., 1978.
35. ქართულ ენაზე იხ. მ. კალანდაძე, ისტორიის ერთი საიდუმლო - „დროშა“, 3 1990. 8. კალანდაძე, რიჩარდ III - „დროშა“ 5-6. 1993. 8. კალანდაძე, ფილიპ დე კომინი და რიჩარდ III - „არტანუჯი“, 1. 1994. 8. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ, 2005.

## კარი II

### ნაპოლეონი ქართულ მხარელობაში

#### I თავი

#### ნიკოლოზ ბარათაშვილი და ნაპოლეონი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა XIX საუკუნის პირველი ნახევარის თითქმის არც ერთი გამოჩენილი მწერალი, რომელსაც თავისი აზრი არ გამოეთქვა ნაპოლეონ ბონაპარტზე. ამ მხრივ ქართული რომანტიზმის აღიარებული თავკაცი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ცხადია, გამოწვევის არ წარმოადგენს და ნაპოლეონს მიუძღვნა ამავე სახელწოდების ლექსი. [1].

ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ნაპოლეონით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და თავისი რეალური საფუძველი გააჩნდა. ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც რომანტიკოსს, ნაპოლეონი პირველ ყოვლისა, ხიბლავდა და იტაცებდა როგორც ძლიერი პიროვნება, რომელსაც ის უწინარესად აღიქვამდა როგორც ისეთ ადამიანს, რომელიც უპირისპირდებოდა ძველ, დრომოჭმულ, აბსოლუტურ მონარქებს და მასში მისთვის ესოდენ სასურველი ზედმეტი ადამიანის განსახიერებას ხედავდა.

ალბათ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ რომანტიკოსები ნაპოლეონის ურიცხვ აპოლოგეტთა შორის ერთ-ერთ პირველ მწკრივში დგანან. ნაპოლეონი მათი განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობდა.

საფიქრებელია, რომ ბარათაშვილი იმაზე კარგად იცნობდა ნაპოლეონის ისტორიას, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს მისი ლექსიდან, ყოვლად წარმოუდგენელია ბარათაშვილს ეს ლექსი დაენერა ისე, რომ არ გაცნობოდა საფრანგეთის ისტორიას XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე. უნდა დავეთანხმოთ აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძეს, რომ „ბარათაშვილს რომ ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ომები, თვით საფრანგეთის ისტორია ღრმად არ სცოდნოდა, ასე

სწორედ, ასე მეცნიერული სიზუსტით ვერც მის პიროვნებას გაიცნობდა, ვერც მის პორტრეტს დახატავდა". [2. გვ. 222].

ნ. ბარათაშვილის ლექსის „ნაპოლეონის“ ლიტერატურულ ღირსებებზე საუბარი სცილდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს და ფილოლოგების საქმეა. ჩვენ გვაინტერესებს ამ საკითხის ისტორიული, უფრო ზუსტად, ისტორიოგრაფიული ასპექტი – ბარათაშვილის მიერ ნაპოლეონის შეფასება. ბარათაშვილის ეს ლექსი ისტორიკოსების ყურადღებით განებივრებული არ ყოფილა. ამ კუთხით ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნiewთ შეგვეცხოვროთ ეს ხარვეზი და ისტორიულ ასპექტში განგვეხილა აღნიშნული თემა.

ნაპოლეონისადმი დამოკიდებულების მხრივ, ნიკოლოზ ბარათაშვილს და ევროპელ რომანტიკოსებს შორის პრინციპული ხასიათის სხვაობას ვერ ვხედავთ. ამავე დროს, უდაოა, რომ ბარათაშვილმა ნაპოლეონის პორტრეტში ბევრი საინტერესო შტრიხი შეიტანა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი მსჯელობის ღირებულებას. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ნაპოლეონისადმი ნ. ბარათაშვილის კეთილგანწყობილებას წმინდა პატრიოტული დატვირთვა გააჩნდა. ალბათ, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ნ. ბარათაშვილს ასეთი გმირი ნამდვილად ეოცნებება თავის სამშობლოსთვის – საქართველოსთვის და იგი როგორც პატარა ქვეყნის შვილი მასში ხედავდა თავისი სამშობლოს დამცველს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და მისი პოლიტიკური ერთიანობის გაწინააღმდეგე. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბონაპარტიტული ფრთის ფუძემდებლად ქართული რომანტიზმის აღიარებული თავკაცი ნიკოლოზ ბარათაშვილი უნდა მივიჩნიოთ.

თავისთავად ბარათაშვილის მიერ თემის არჩევანი მრავლისმეტყველო უნდა იყოს და მასში, მნიშვნელოვანწილად გამყვანებულია პოეტის სიმპათია ნაპოლეონისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ბარათაშვილს საგანგებო ლექსი მიეძღვნა იმ პიროვნებისადმი, რომელსაც არავითარ პატივს არ სცემდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი იმ ევროპელ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ნაპოლეონს (სტენდალი, ბალზაკი, პიუგო, ბერანაჟე, ა. დე ვინი, გოეთე, ჰაინე, ბაირო-

ნი, პუშკინი, ლერმონტოვი, მიცკევიჩი). ბარათაშვილის პოზიციაში ალოგიკური არაფერია. მას როგორც რომანტიკოსს ნაპოლეონში უწინარესად, მოსწონდა მისი საგმირო საქმენი.

საინტერესოა რა წყაროებით სარგებლობდა ბარათაშვილი. ამ კითხვაზე ზუსტი, ამომწურავი, პასუხის გაცემა ძნელია. საქმე ისაა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა ფაქტობრივად არ გავაჩნია და ამიტომ პიპოთეზების სფეროთი უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ბარათაშვილს ნაპოლეონზე ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე არხი შეიძლება ჰქონოდა.

შესაძლოა, ეს იყო ის უშუალო შთაბეჭდილებები, რომელიც მას შეექმნა 1812 წლის ომის მონაწილე ქართველი გენერლებისგან, რომელთა უმრავლესობა მისი თანამედროვე და ახლო ნათესავი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა ბარათაშვილის ურთიერთობა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან. აქ ჭაბუკ პოეტს შეეძლო მოესმინა ბევრი საინტერესო მონათხრობი ნაპოლეონზე.

გამორიცხული არაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ნაპოლეონზე საინტერესო ინფორმაცია მიეღო თავის მასწავლებლის სოლომონ დოდაშვილისგან, რომელიც საკმაოდ კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის ისტორიას.

ბარათაშვილისთვის ნაპოლეონზე ინფორმაციის კიდევ ერთი წყარო შეიძლება ყოფილიყო რუსი დეკაბრისტები და პოლონელი პატრიოტები, რომლებიც გადმოსახლებული იყვნენ საქართველოში და რომელთა დიდი ნაწილის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი დადებითი იყო. ნიკოლოზ ბარათაშვილს მათგან, ძირითადად პოზიტიური ინფორმაცია შეიძლება მიეღო, ყველაფერმა ამან სავარაუდოა, რომ თავისი გავლენა მოახდინა აღნიშნულ საკითხზე მისი შეხედულებების ფორმირებაზე.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ის მემუარული, მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა, რომელიც ბარათაშვილისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა, XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, ცენზურის აკრძალვის გაუქმების შემდეგ, რუსეთში გამოვიდა მდიდარი ლიტერატურა ნაპოლეონზე. შესაძლოა, ამ ლიტერატურის რაღაც ნაწილს თბილისშიც ჩამოედინა და ბარათაშვილის ხელშიც აღმოჩენილიყო; ხოლო კონკრე-

ტულად რომელი, ამის თქმა, წყაროების სიმწიფის გამო, შეუძლებელია.

აღბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ბარათაშვილის ლექსი არის სიტყვაკაზმული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი ნიმუში ქართულ სინამდვილეში, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება საფრანგეთის იმპერატორის კოლორიტულ ფიგურას.

ნაპოლეონისადმი ბარათაშვილის სიმპათია, როგორც კარგად შენიშნა მკვლევარმა ბ. ბარდაველიძემ, უკვე ლექსის პირველი სტრიქონიდანვეა გამჟღავნებული, სადაც პოეტი ხატავს ნაპოლეონის პიროვნებას ყველაზე უფრო ამაღლებულს, გრანდიოზულს. [3. გვ. 129]

„ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი  
ფრანციას... და რა იხილა თვის  
დიდების მსხვერპლი თვის წინა,  
მისს მოღრუბლულ შუბლს შუკი  
რალაც გარდაეფინა. სახელი ჩემი  
ვქსახელეთ ქვეყნის საოცრად“.

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთმა მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია. ნაპოლეონის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანი თავის მეზუარებში აღნიშნავდა „ამიენის ზავის შემდეგ საფრანგეთი სარგებლობდა ისეთი დიდებით, სახელით და ძლევამოსილებით, რომ ამას ყველაზე პატივმოყვარე გმირიც ვერ ინატრებდა თავის სამშობლოსათვის. განსაკუთრებით განსაცვიფრებელი იყო ის, რომ ეს ყველაფერი მოხდა ორწელიწად ნახევარში – 1799 წლის 9 ნოემბრიდან 1802 წლის 27 მარტამდე. საფრანგეთმა თავი დააღწია იმ დამამცირებელ მდგომარეობას, რომელშიც დირექტორიის წყალობით აღმოჩნდა და ევროპაში პირველი ადგილი დაიკავა“. [4. გვ. 164]. „დაუმონე გულმტკიცენი მას [ე. ი. საფრანგეთს – მ. კ.] სადიდებლად“ – დასძენდა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

მრავლისმეტყველი ჩანს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის დასასრული და ის, ჩვენი აზრით, ნაპოლეონისადმი ქართველი პოეტის დამოკიდებულების თავისებურ რეზიუმედ შეიძლება მივიჩნიოთ. შეიძლება ითქვას, რომ ნაპოლეონისადმი ბარათაშვილის კეთილგანწყობა ლექსის დასასრულს თავის აპოგეას აღწევს:

„ბევრი დღე გავა, რომ ჯერ  
ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი  
თვით სიკვდილიც მას უებროდ  
აღმოგვიჩინებს: დამქრალი  
ცეცხლი და ზღვის ლელვა  
ნარმოგვიდგენს მისს ცეცხლსა  
სულსა და ზღვა-გულს განსაკვირველებს“.

მოუხედავად ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობისა ნიკოლოზ ბარათაშვილი მის ბრმა აპოლოგეტად, რომელიც ნაპოლეონის ყველა ნაბიჯს გაამართლებდა, ხოტბას შეასხამდა, არ უნდა მივიჩნიოთ. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ბარათაშვილის გამჭრიახ გონებას, არც ნაპოლეონის მოღვაწეობის მეორე მხარე გამოიჩენია მხედველობიდან – მას აფიქრებდა ნაპოლეონის ევოლუცია რესპუბლიკის გენერალიდან დიქტატორამდე, იმპერატორამდე:

„ვერა ვერ გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა,  
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფობდენ,  
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,  
თვით სამარეც მევიწროვოს თუ ტოლი მყვანდეს“.

ცხადია, ნაპოლეონის პორტრეტის ეს შტრიხი ბარათაშვილისათვის მოუღებელი იქნებოდა, მაგრამ როგორც ლექსიდან ჩანს, ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონის დაგმობამდე არ მისულა. ეს კი საინტერესოა.

ბარათაშვილის პოეზიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს პრობლემას – დიდ ადამიანს ყოველთვის თან ახლავს მუდმივი უკმარისობის გრძნობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონი“. პირველ ყოვლისა, ბარათაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთა. აქ იმას ვგულისხმობთ, რომ თავისი ჩანაფიქრის საილუსტრაციოდ ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურა მართლაც კარგი კანდიდატურაა. „ბარათაშვილმა გენიოსის მიხვედრით იგრძნო ნაპოლეონის ზვიადი ბუნება და დაუსრულებელ ეჭვად ქცეული მისი შინაგანი სისუსტეც. ფრანგუ-

ლი სახე სულ ქართული საღებავებით დახატა და მინც ნაპოლეონის უნიკალური ფრანგული პორტრეტი შექმნა". [2 გვ. 82].

ლიტერატურათმცოდნეებს ლექსი „ნაპოლეონი“ (1838) ახსენებთ მის მეორე ლექსში „ფიქრნი მტკერის პირზედ“ (1837) ნამოჭრილ საკითხს და უფრო იმ მოსაზრებისაკენ იხრებიან, რომ ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ლექსში ბარათაშვილი ცდილობს კონკრეტულად გადაჭრას „ფიქრნი მტკერის პირზედ“ დასმული საკითხი და ამის საილუსტრაციოდ ნაპოლეონის მაგალითი მოყავთ:

„თვითონ მეფენი უძლეველნი, რომელთ უმაღლეს არა ვინლა არს, და ნინამე არც ვინლა აღუდგეს რომელთა ხელთ ეპყრათ უმაღლესი სოფლის დიდება შოთრევენ და დრტვივენ და იტყვიან: როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოსო? და აღძვრიან იმავ მინისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითონ არიან“.

ფიქრობენ, რომ ბარათაშვილის ლექსში „ნაპოლეონი“ ამ სტრიქონებს ეხმიანება შემდეგი სტროფი:

„მაგრამ ვინ იცის, იქნება ბედსაც მოვსწყინდე და სხვა მან ჩემის სახელით დააგვირგვინოს!.. არა, არა მნამს, რომ ბედმა მე მიორგულოს, მე მან გამზარდა და თვის განვრთნილს რალა მიხერხოს“.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის აზრით, ბარათაშვილის ლექსში „ფიქრნი მტკერის პირზედ“ „ის არის ნათქვამი, რაც „ნაპოლეონშიც“ თავისუფლად შეიძლება თქმულიყო, თუმცა ვარიაციებით მინც იგივეა განმეორებული. ამ ორი ლექსის ფილოსოფიურ-იდეური კავშირი იმდენად აშკარაა, რომ არავითარი ეჭვი არ არის, მათ შორის განვლილი დროის მოუხედავად ვიგრძნობთ ორივეს ნათესაური სიახლოვე. მათში გამოთქმული კონცეფცია, ეტყობა, დიდხანს მნიფდებოდა ბარათაშვილის ლირიკული გმირის სულიერი ქვეყნისთვის და სწორედ ამან განაპირობა ორივე ლექსის სრული იდენტურობა“. [2. 224–225].

ამგვარ მიდგომაში ალოგიკური არაფერია და მას ვააჩნია არსებობის უფლება, მაგრამ თუ ეს ასეა და ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონს აღიქვამს როგორც მხოლოდ „აღუვსებელ სან-

ყაულს", მაშინ უფრო ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზე მთლად დადებითი აზრის არ უნდა იყოს და მასზე ასეთ აღფრთოვანებულ ლექსს არ დანერდა. მაგრამ არსად არ ჩანს, რომ ბარათაშვილს ნაპოლეონზე აზრი შეეცვალა და მას სადმე აუგად იხსენიებდეს. ამიტომ ასეთი მსჯელობა საკამათოდ მიგვაჩნია და, ჩვენი აზრით, ნაპოლეონისადმი ნ. ბარათაშვილის დამოკიდებულების ადეკვატურ სურათს ვერ გვიქმნის.

ამ ორ ლექსს შორის კავშირს არ უარეყოფთ, მაგრამ მას სულ სხვა კუთხით შეიძლება შევხედოთ. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა უფრო საინტერესო იქნება. აქ იგი იმგვარი პოლიტიკური მოღვაწის ანალოგიას კი არ ეძებს, რომელიც დაგვიხატა ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, როგორც ამას ხაზს უსვამენ ლიტერატურათმცოდნეები, არამედ, ჩვენი აზრით, მის ანტითეზას გეთავაზობს. მართლაც, ლექსში „ნაპოლეონი“, ნ. ბარათაშვილი ცდილობს გადაჭრას „ფიქრნი მტკვრის პირზედ“ ნამოჭრილი პრობლემა და იმ შეფეებს, რომელიც მას „აღუვსებელ სანყაულს“ აკონებენ და პოეტისათვის სრულიად მიუღებელი არიან, ის უპირისპირებს მისთვის სასურველი გმირის ნაპოლეონის სახით. მნიშვნელოვანნილად, სწორედ, ამით იყო გამოწვეული, რომ ბარათაშვილის ლექსი ნაპოლეონისადმი სიმპათიებითაა გაჯერებული. საინტერესოა, რომ ბარათაშვილის არჩევანი ნაპოლეონზე შეჩერდა. ვფიქრობთ, ეს არ იყო შემთხვევითი და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნ. ბარათაშვილის განსაკუთრებულ პატივისცემას ამ პიროვნებისადმი. ნ. ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, შესაძლოა, აიდეალებდა ნაპოლეონს, მაგრამ მის მიერ მოხმობილი კონტრარაგუმენტი საკმაოდ სერიოზულია, ძლიერია.

ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ნ. ბარათაშვილი თავის ლექსში ნაპოლეონს აუგად არსად არ იხსენიებს. „ხედავდა თუ არა ბარათაშვილი ნაპოლეონში ისეთი მმართველის განსახიერებას როგორც დაგვიხატა ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირზედ“, იყო თუ არა ეს ადამიანის ეგოიზმისა და აღუვსებელი ბუნების საილუსტრაციო ლექსი? – არა. ყოველ შემთხვევაში არ ჩანს, რომ ნაპოლეონის იგივე მისწრაფებები ბარათაშვილს დაგმობისა და განკიცხვის სურვილს აღუძრავ-

დეს" [3. გვ. 130]. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო ადეკვატური უნდა იყოს.

ნ. ბარათაშვილს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის გმირული ეპოპეის ისტორიულად პროგრესული ხასიათი. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზე საკმაოდ მაღალი აზრის იყო და როგორც რომანტიკოსებს ჩვევიათ, შესაძლოა, აიდეალებდა კიდევ მას.

გამორიცხვულად არ მიგვაჩნია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი წმინდა ინტუიციით, ალღოთი, შესაძლოა გრძნობდა ნაპოლეონის ომების ხასიათში რაციონალურ მარცვალს, პროგრესულ ელემენტს. დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. იქნებ ამიტომ იყო, რომ ნ. ბარათაშვილისათვის ნაპოლეონი არ აღმოჩნდა მხოლოდ დამპყრობელი, ტირანი, დესპოტი, „აღუვსებელი საწყაული"? „ნაპოლეონმა აბსოლუტიზმს მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა, რომლისგანაც ის წელში მეტი ველარ გასწორდა. სწორედ ამაში მდგომარეობდა იმ გმირული ეპოპეის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული". [5 გვ. 9]. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ნაპოლეონის პოლიტიკის შეფასების საკითხში ბარათაშვილის სახით საქმე გვაქვს XIX საუკუნის ქართველი სამოციანელების (ნ. ნიკოლაძე, გ. ნერეთელი, დ. მიქელაძე) ერთ-ერთ წინამორბედთან, რომლებსაც, როგორც დამაჯერებლად უჩვენა პროფესორ ვარლამ დონაძემ, მშვენივრად ჰქონდათ გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების ევოლუცია. [6]. აი რას წერდა ნიკო ნიკოლაძე „მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806–1807 წწ.) მან, იქ, ამასთან ერთად, ძველი უწყობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია" [7. გვ. 113–114].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც ქართველ რომანტიკოსს განსაკუთრებით მოსწონდა და იტაცებდა ნაპოლეონის ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების პატრიოტული მხარე. ნაპოლეონმა თავის სამშობლოს შორს გაუთქვა სახელი. ასეთი გმირი მის სამშობლო საქართველოსთვისაც

სასურველია. ნ. ბარათაშვილს საკმაოდ კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული სამხედრო ბონაპარტიზმი.

ნაპოლეონის ურიცხვი აპოლოგეტები, ადოლფ ტიერიდან დაწყებული ლუი მადლენით და ანდრე კასტელოთი დამთავრებული, ნაპოლეონის აღზევების უმთავრეს მიზეზს მის პირად თვისებებში ეძებდნენ და უსაზღვროდ განადიდებდნენ თავიანთ სათაყვანებელ კერპს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრანგი ისტორიკოსის ედუარდ დრიოს მოსაზრება, რომ ამ პრობლემის მკვლევარის მთავარი ამოცანაა ღრმად ჩასწვდეს „ნაპოლეონის უზარმაზარ პიროვნებას“. XIX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, ჟორჟ ლუფიერი ვერ ფარავს თავის აღტაცებას და „ნაპოლეონს საუკუნის ადამიანს“ უწოდებს. ინგლისელი ფელდმარშალი უოლსლი ნაპოლეონს მოიხსენიებს როგორც „უდიდესს უდიდესთა შორის“. ნაპოლეონს უსაშველოდ განადიდებდა XIX საუკუნის ცნობილი რუსი მწერალი დიმიტრი მერეჟკოვსკი. მისთვის ნაპოლეონი იყო „ადამიანი ატლანტიდან“, „მზის ღმერთის უკანასკნელი განსახიერება“, რომლის ერთადერთი შეცდომა, მისი შეხედულებით, ის იყო, რომ „1812 წელს ნაპოლეონმა არ გააუქმა პატრიწმობა რუსეთში“. [8. გვ. 293].

მოუხედავად ბარათაშვილის რომანტიკოსობისა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ამ საკითხში საკმაოდ რეალისტური პოზიცია უკავია. ეს იმით გამოიხატება, რომ ბარათაშვილი არც ნაპოლეონის პიროვნულ თვისებებს უარყოფს და არც იმ სოციალურ გარემოს, რომელიც ხელს უწყობდა ამ წარმატებებს. აი რას წერდა პოეტი: „ხოლო მე (ე. ი. პიროვნებამ – მ. კ.) უნდა მას (ე. ი. ეპოქას – მ. კ.) მოვასხა შარავანდედი“. ალლო, ინტუიცია პოეტს კვლავ არ ღალატობს და სწორ გზას იჩვენებს. [9. 136–137].

ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაპოლეონის წარუმატებლობის მიზეზს ეძებდა მის მისწრაფებაში გამხდარიყო მსოფლიოს ბატონ-პატრონი. აი რას წერდა დიდი პოეტი:

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე

და სხვას მან ჩემის სახელით დაავგირვეინოს!..

არა, არა მნამს, რომე ბედმა მე მიორგულოს.

მე მან გამზარდა და თვის განერთილს რალა მიხერხოს

ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მეტოქეებსა!

რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფობდეს“.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის დაინტერესება ნაპოლეონით მხოლოდ ამ ერთი ლექსით არ ამოიწურება. პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს დიდი პოეტის ყრმობაში სკოლაში სწავლის დროს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბარათაშვილის და მისი სკოლის მეგობრის მიერ გამოცემული ხელნაწერი ალმანახი, სადაც გვხვდება გამოძახილი 1812 წლის ნაპოლეონის ლაშქრობაზე რუსეთში.

„როს ნაპოლეონ შვიდ მეფით, სამტუროდ ჩვენზედ მოვიდა, ბრძოლისა გამო ჩვენისა სირცხვილეული წავიდა“... [2. გვ. 207].

საქართველო მეფის რუსეთის შემადგენლობაში შევიდა და ლექსში ამის გამოძახილი აშკარად იგრძნობა.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, გატაცებული იყო ნაპოლეონის გმირული ეპოპეით და მასში, პირველ ყოვლისა, მისთვის სასურველ ძლიერ პიროვნებას ხედავდა, რომელიც ყოველგვარი დრომოჭმულის, ძველის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის, რომანტიკოსებისთვის ესოდენ სასურველი ზედმეტი ადამიანის, განსახიერებად ესახებოდა. ნაპოლეონისადმი რომანტიკოსების, მათ შორის, ცხადია, ნ. ბარათაშვილის კეთილგანწყობას პირველ ყოვლისა ნაპოლეონის სამხედრო წარმატებები ასაზრდოებდა. ისინი ძირითადად „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ იყვნენ ორიენტირებული. ნიკოლოზ ბარათაშვილს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის ეპოპეის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა. ნაპოლეონისადმი ნ. ბარათაშვილის სიმპათიების გასაღებიც სწორედ, აქ ძვეს. ნ. ბარათაშვილის მიერ ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება საცხებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს, მაგრამ ნ. ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, შესაძლოა, აიდეალებდა ნაპოლეონს. ნაპოლეონის განდიდება, ცხადია, არ ღირს და ზედმეტია. მოუხედავად ნ. ბარათაშვილის ბონაპარტისტული განწყობისა სწორი არ იქნება ის ნაპოლეონის ბრმა აპოლოგეტად მივიჩნიოთ. ევროპელი რომანტიკოსების მსგავსად, ბუნებრივია, მასაც აფიქრებდა ნაპოლეონის, როგორც პროგრესისათვის მებრძოლი გმირის ევოლუცია დამპყრობელ-დიქტატორად. ნაპოლეონის ეს შტრიხი მისთვის ცხა-

დია, მოუღებელი იქნებოდა. აქ აისახა საეკლესიო რეალური ვითარება. ნიკოლოზ ბარათაშვილმა კარგად გამოხატა ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი რომანტიკოსებისათვის ნიშანდობლივი ტენდენცია – აღტაცება და იმედგაცრუება, თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვა რომანტიკოსების მსგავსად, ნაპოლეონის დაგმობამდე არც ის მისულა. ეს კი მთავარი იყო.

\*\*\*

აღნიშნულ საკითხზე საუბარი აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა, რომ არა ერთი გარემოება. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს შეხების ის ნერტივები, რომელიც ბარათაშვილის და ნაპოლეონის ჩანაწერებში გვხვდება. ნაპოლეონმა ახალგაზრდობაში ლიტერატურაში ცადა ბედი და არცთუ წარუმატებლად. როგორც ნაპოლეონის ნაწერებიდან ჩანს, თავდაპირველად მისთვის უცხო არ ყოფილა „სულით ობლობის“ მოტივები, ამიტომ ახალგაზრდა ბონაპარტს და ბარათაშვილის სულიერი განწყობის დამთხვევა გასაკვირი არ უნდა იყოს და იგი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე მოდური ლიტერატურული მიმდინარეობის – სენტიმენტალიზმისადმი ხარკის მოხდით. ერთი სიტყვით, მათ ნაწერებში კარგადაა გამოხატული რეალური სიტუაცია. იმ ეპოქის საერთო განწყობა, ტენდენცია.

1786 წლის 3 მაისს დაწერილ წერილში ახალგაზრდა ლეიტენანტი ნაპოლეონ ბონაპარტე წერდა: „აღამიანთა შორის ყოველთვის მარტო ვარ. ჩემს ფიქრებს და ოცნებებს ვუბრუნდები მხოლოდ მაშინ, როდესაც მარტო ვარები“. ახალგაზრდა ლეიტენანტის სულიერი მარტოობით გამოწვეული პესიმიზმი, რალაციით ენათესაება ბარათაშვილის განწყობას.

„ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!  
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,  
ძნელლა ჰპოვოს რა დაკარგოს მან ტოლი“.

სულით ობლობის მსგავსი მოტივები ყლერს მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბერს გაგზავნილი წერილში: „კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყენილობამ, ვისაც სა-

განი აქვს ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც შენ იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ, არ დაიჯერებ მაიკო, სიცოცხლე მამძულებია ამდენი მართობით. შენ ნარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა პყავს, დედაც, დებიც, მრავალი მონათესავენიც, მაგრამ მაინც კიდევ ვერავენი მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ საესე და ვრცელ სოფელში”.

„ადამიანები, რომლებთანაც მე ვცხოვრობ და რომლებთანაც ვიცხოვრებთ ყოველთვის, ზნე-ჩვეულებებით ჩემგან ისე შორს არიან, როგორც მთვარისა და მზის შუქისაგან“ – დასძენდა თავისი გარემომცველი ანტურაჟით უკმაყოფილო ახალგაზრდა ბონაპარტე. როგორც ირკვევა, უკეთესი განწყობილება არც მოხელედ გამწესებულ ბარათაშვილს ჰქონია აი რას ნერდა იგი 1837 წელს გრიგოლ ორბელიანს: „მოხელეთა წრე არაა ხელსაყრელი ზნეობრივი განვითარებისათვის“. ნაპოლეონის და ბარათაშვილის სიდიადე იმაში გამოიხატა, რომ უზამსმა გარემომცველმა სამყარომ ვერ ჩაკლა მისწრაფება მაღალი მწვერვალებისაკენ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ თუ ნაპოლეონმა შესძლო თავი დაეღწია ჩინოვნიკური გარემოცვისათვის, ბარათაშვილზე ამას ვერ ვიტყვი, თუმცა ამას მისი გენიალობისათვის სულაც არ შეუძლია ხელი.

„მე რომ გადამებიჯებინა სამოცი წლისათვის, მაშინ მე პატივს ვცემდი ადამიანთა განსჯას და მოთმინებით მივენდობოდი დროის მდინარეებს“ – ნერდა ნაპოლეონი აი რას ამბობდა სუედაპორული ტატო: „ჭემმარიტად მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ისეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ისეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნებოდა ჩემისთანა უსყიდველი მსაჯული“. ორივე სამოცი წლის მოხუცს ედრება. რაშია საქმე? აქ კარგად ჩანს სულის ის უდროო სიბერე, რომელიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ახალგაზრდობის განმასხვავებელ ნიშნად იქცა. ამგვარმა სენტიმენტალურმა განწყობამ განსაკუთრებით ფართოდ მოიკიდა ფეხი გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვენებანის“ გამოსვლის შემდეგ.

„რა გავაკეთოთ ამ ქვეყანაზე, თუ უნდა მოვკვდე, უკეთესი არ იქნება თვითონ მოვიკლა თავი“ – ნერს ნაპოლეონი [10. 18-22]. რა არის ეს? აფექტაცია, ჭაბუკურ გრძნობებს აყოლა თუ

ხარკის მოხდა მოდური სენტიმენტალიზმისადმი? არც ერთი და არც მეორე. ჭაბუკი ლეიტენანტი თავისი დროის ლეიძლი შვილია, მეგობრებს შორის თანამოაზრე ვერ უპოვია და ამიტომ სიცოცხლე მოჭალებია. მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ცნობილ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი წუხდა: „სიცოცხლე მამძულებია ამდენი მარტოობით“. ასეთი პესნიმისტური განწყობილება ცხოვრებაში საკუთარი გზის მოძიების სიძნელებითაც უნდა იყოს გამოწვეული. ახალგაზრდა ოფიცერ ნაპოლეონ ბონაპარტში ძნელია დავინახოთ ცინიკოსი, რომელიც ცივად, ანგარიშიანად მიიკვლევს გზას ზემოთ. [10. 22].

მიუხედავად განწყობილების სიახლოვისა, აუცილებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონსა და ბარათაშვილს შორის თვით ამ თვალსაზრისითაც კი კოლოსალური განსხვავება იყო. თუ ნაპოლეონმა თავი დააღწია არასასურველ გარემოცვას და სენტიმენტალური განწყობილება მისთვის ნამიერ მოგონებად იქცა, ბარათაშვილზე ამას ვერ ვიტყვით. „სულით ობლობის“ მოტივი პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ლაიტმოტივია და იგი ასაზრდოებს მისი პოეზიის გენიალობას.

#### ლიტერატურა

1. ნ ბარათაშვილი, პოემები, ლექსები, თბ., 1968.
2. გ უიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, თბ., 1968
3. ბ ბარდაველიძე, ნ. ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონი“, ჟურნალი „ცისკარი“ №9, 1968
4. Талерман, Мемуары, М., 1959.
5. Э Тарле, Наполеон, М., 1957
6. ვ დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ თბ., 1970 ვ დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978 ვ დონაძე, ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებები, თბ., 1987.
7. ნ ნიკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა, თბზ., ტ. 2 თბ., 1962.
8. Дя. Мерзлякович, Наполеон, М., 1993
9. მ თავაძეშვილი, ნ. ბარათაშვილის პოეზიის ზოგიერთი საკითხი - „მნათობი“, 1972. 7
10. А. Машифед, Наполеон Бонапарт, М., 1973

## II ტაპი

### ალექსანდრე ორბელიანი და ნაპოლეონი

ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობით დაინტერესდა ქართული რომანტიზმის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე ორბელიანი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში. ის ამ ეპოქის ქართული საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ, თუ როგორ აფასებდა იგი ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობას. თემა არის საინტერესო და აქტუალური მით უმეტეს, რომ ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

მწერალმა როსტომ ჩხეიძემ მიაკვლია ალექსანდრე ორბელიანის საინტერესო წერილს „ნაპალიონი და მაშინდელი ანგლიის მთავრობა“, რომელიც დაწერილია 1844 წლის 3 ივნისს კაზრეთში და გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“. [1].

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს პატარა, მაგრამ საინტერესო პუბლიკაცია, ქართული ნაპოლეონიანას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია. ალექსანდრე ორბელიანს სხვა რომ არაფერი დაენერა, მისი ანალიტიკური აზროვნების საინლუსტრაციოდ, ალბათ, ეს პატარა, მაგრამ ღრმა შინაარსის წერილიც იკმარება.

ალ. ორბელიანის დაინტერესება ნაპოლეონის მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და რამდენიმე ფაქტორით უნდა იყოს მოტივირებული: მას როგორც რომანტიკოსს ნაპოლეონი იტაცებდა და ხიბლავდა როგორც ძლიერი პიროვნება. ყოველგვარი დრომოჭმულის, ძველის ნინაალმდეგ მებრძოლი გმირი, რომელიც მთელ აბსოლუტისტურ ევროპას უპირისპირდებოდა და რომანტიკოსებს მათთვის სასურველი, ზედმეტი ადამიანის განსახიერებად ესახებოდათ ქართველი

რომანტიკოსების, კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ალექსანდრე ორბელიანის გატაცებას ნაპოლეონის პიროვნებით გააჩნდა მძლავრი პატრიოტული მუხტი. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ მათ ხიბლავდათ ნაპოლეონის ტრიუმფალური წარმატებების პატრიოტული მხარე. ნაპოლეონმა თავისი ნიჭის, ბრწყინვალე გამარჯვებების წყალობით, თავის სამშობლოს, საფრანგეთს, შორს გაუთქვა სახელი. ცხადია, ისინი ოცნებობდნენ, რომ ასეთი გმირი საქართველოშიც გამოჩენილიყო და მის სახელს საქართველოს გადარჩენას უკავშირებდნენ.

რა თქმა უნდა პირველ ყოვლისა, თანამედროვე მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს მართლწერიის საკითხი – ნაპოლეონი. შესაძლოა, მაშინ ასე იყო მიღებული, მაგრამ ამგვარი მართლწერა ვერ დამკვიდრდა და მალე დაიწყებულ იქნა.

აღ. ორბელიანის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თემა მან ძალიან კარგად შეარჩია. მის ყურადღების ცენტრში მოექცა ნაპოლეონის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე და აქტუალური საკითხი ინგლის-საფრანგეთის უკომპრომისო დაპირისპირება XIX საუკუნის გარეგნაურზე [2. 159]. მართალია, აღ. ორბელიანმა ერთი კონკრეტული საკითხი აიღო, მაგრამ საკმაოდ დიდი ერუდიცია გამოამჟღავნა და ამ ეპოქის ისტორიის ძალიან კარგი ცოდნა გამოავლინა.

XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთსა და ინგლისს შორის უმწვავესი კონფლიქტით აღ. ორბელიანის დაინტერესება, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მას ევროპის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად, საფუძვლად ედო ქართული რეალობა. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ პრობლემას არ შეიძლება აღ. ორბელიანისათვის არ აღედრარუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ანალოგია, და ის ნაპოლეონსა და საფრანგეთს შორის კონფლიქტის მინიატურად წარმოუდგებოდა. ამიტომ აღ. ორბელიანის ეს პატარა წერილი წმინდა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ მნიშვნელობასთან ერთად, პოლიტიკურ დატვირთვას იძენს, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ღირებულებას.

«იქნებ ძალზე შორეული ასოციაციაა, მაგრამ მეჩვენება, რომ ქართველ ავტორს (ე. ი. აღ. ორბელიანს — მ. კ.) ნაპოლეონზე წერის დროს ერეკლეს სახეზე უდგას თვალწინ, ხოლო

ინგლისის მთავრობის უსამართლო და უღირსი საქციელი რუსეთის უღირს საქციელს აგონებს. ერეკლემ თავისი ვაჟკაცობით, ქვეყნის სიყვარულითა და მალაღზნეობრივი ცნობიერებით ხალხის გულში სამუდამოდ დაიმკვიდრა საყვარელი მეფის სახელი, ხოლო მაშინდელმა რუსეთის მთავრობამ, რომელმაც არაერთხელ მოატყუა ერეკლე და ვერაგულად უღალატა საქართველოს, „სულ აღარაფერი სახელი დაიგდო“ [1. გვ. 172].

უწინარესად ყურადღებას იპყრობს ამ საკითხში მისი ინფორმირებულობა, რაც მისასაღმებელი უნდა იყოს. ალ-ორბელიანი საკმაოდ კარგადაა ჩახედული XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ ევროპის ისტორიის რთულ პერიპეტეიებში, კონკრეტულად კი საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად ტენდენციებში. იგი, ფრიდრიხ შილერის მსგავსად, ამ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ კვანძს ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში ხედავდა. ამ უშეღავათო ბრძოლაში, ბაირონის მსგავსად, ალ. ორბელიანის სიმპათიები მთლიანად უფრო პროგრესული სანყისისაკენ, ნაპოლეონის საფრანგეთისაკენ იხრებოდა. მიუხედავად საფრანგეთისადმი კეთილგანწყობილებისა, უნდა ითქვას, რომ ალ. ორბელიანის პოზიცია საკმაოდ ახლოა რეალობასთან.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხერხდება იმ კონკრეტული წყაროების დადგენა, საიდანაც იღებდა ინფორმაციას ალ. ორბელიანი. მიუხედავად ამისა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ იგი ძალიან კარგად იცნობდა ნაპოლეონის ეპოქის ისტორიას და მასზე არსებულ ლიტერატურას.

ალ. ორბელიანმა შესანიშნავად დაინახა, რომ საფრანგეთის მთავარი მონიშნულმდეგე, სწორედ, „ნისლიანი ალბიონია“. იგი საკმაოდ კარგადაა ჩახედული მათ შორის მიმდინარე ბრძოლის პერიპეტეიებში, ხასიათში და მეთოდებში. „საფრანგეთი თავისი ძალით და საკუთარი გონებით მოქმედებდა, ხოლო ანგლია, ფულით და საიდუმლო პოლიტიკით. პირველთან მთელი ევროპა ძრწოდა შიშით, მეორე კი მთელი ძალისხმევით უმეგობრდებოდა ევროპას და ნაპალიონს ძირს უთხრიდა. უკა-

ნასკენლმა დასძლია. მაინც ასეა. პირდაპირ კაცს, თუნდაც დიდი გონიერება ჰქონდეს და ბევრის დაკლებაც შეეძლოს, ბოლოს წინააღმდეგი ცბიერი კაცი აჯობებს, ნამეტნავად თუ ფულის შემწეობა აქვს და დახარჯვასაც არ დაიშურებს" [1].

ინგლისის პოლიტიკის კრიტიკა წმინდა მეცნიერული და შემეცნებითი მნიშვნელობისა, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, პოლიტიკური მუხტის შემცველია და მასში რუსეთის პოლიტიკური კურსით ალ. ორბელიანის უკმაყოფილების ირიბი ანარეკლი შეიძლება დავინახოთ.

ალ. ორბელიანს XIX საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპაში პროგრესული სანყისის განსახიერებად, სწორედ, ნაპოლეონი და იმ ხანის საფრანგეთი ესახებოდა. ეს თვალსაზრისი, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს და ალ. ორბელიანის მსჯელობის ძლიერ მზარედ გვევლინება. მისი პროგრანგული ორიენტაცია პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე იყო გათვლილი და გააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი. შესაძლოა, ალ. ორბელიანი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას შეღამაზეებული სახით წარმოაჩენდა და ნაპოლეონისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო. ეს მისი ანალიტიკური მსჯელობის ემოციური მუხტია. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფონზე ეს იყო გრანდიოზული მნიშვნელობის სიახლე, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანს, რა თქმა უნდა, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად, იმ ეპოქის მონინავე ევროპული ლიტერატურული აზროვნების დონემდე ამაღლებს.

ნაპოლეონის თაყვანისმცემელი ისტორიკოსები ვარდისფერებში წარმოაჩენენ ნაპოლეონის ომებს, ყოველმხრივ ცდილობენ მიჩქმალონ საფრანგეთის პოლიტიკის აგრესიული ხასიათი, ნაპოლეონის ექსპანსიონისტური მისწრაფებები. ნაპოლეონის დიდი თაყვანისმცემელი, გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ალბერ ვანდალი წერდა: „ნაპოლეონი ელბაზე და ოდერზე რომ იბრძოდა, მაშინაც საფრანგეთს იცავდა“. ეს უკვე მეტიმეტია. ეს გაცოდებით უფრო ბევრია, ვიდრე ფრანგი პოლიტიკოსების ისტორიკოსების სასურველი თეზისი „ბუნებრივი საზღვრების“ შესახებ: ატლანტიის ოკეანე, პირინეი, რაინი, ალპები. სხვათა შორის, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა ცოტა

შელამაზებული სახით არის წარმოჩენილი ისტორიკოს ალბერტ მანფრედის საინტერესო ნიგნში „ნაპოლეონ ბონაპარტე“ [3]. ნაპოლეონის მშვიდობისმოყვარეობაზე საუბარი დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ძალიან საკამათოა.

უნდა დავეთანხმოთ გამოჩენილ გერმანელ მწერალს ფრიდრიხ შილერს, რომელიც თავის ლექსში „ახალი საუკუნის დასაწყისი“, რომელიც დაწერილია 1801 წელს, დასძენდა, რომ ამ ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა. ეს ორივე ქვეყანა იბრძვის მსოფლიო ბატონობისათვის – საფრანგეთი ხმელეთზე, ინგლისი კი ზღვაზე და გულისტკივილით დასძენს „არ არის დედამინის ზურგზე ქვეყანა, სადაც ყვავის თავისუფლება“ [4. 321]. თუ შილერის მსჯელობაში პესიმისტური ტონი იგრძნობა, ალ. ორბელიანი უფრო ოპტიმისტურად გახლავთ განწყობილი. თუ ამ ბრძოლაში ინგლისი უმთავრესად კონსერვატიულ საწყისს ანსახიერებდა, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ძალღონეს არ იშურებდა, რათა წინ აღდგომოდა ახალი იდეების გავრცელებას, ნაპოლეონი პირიქით, ებრძოდა ევროპის აბსოლუტურ მონარქებს. „ნაპოლეონმა აბსოლუტიზმს მიაყენა ისეთი ძლიერი დარტყმა, რომ ის ამისაგან ნელში მეტი ველარ გასწორდა ამაში მდგომარეობდა ამ ეპოქის პროგრესული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული“ [5. გვ. 9] – დასძენს აკად. ევგენი ტარლე. ალ. ორბელიანმა ძალიან კარგად გაიცნობიერა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის სამკედრო-სასიცოცხლო დაპირისპირება იყო პირველობისათვის, მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლა და ამ უშელავათო დავაში მისი სიმპათიები მთლიანად ნაპოლეონის და საფრანგეთისაკენ იხრება, რომელიც მისი ღრმა რწმენით, გაცილებით უფრო პროგრესულ საწყისს განსახიერებდა. ამაში ალ. ორბელიანი საცხებით მართალი იყო, მაგრამ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის შელამაზება მინც არ ღირს. ნაპოლეონს სურდა საფრანგეთის პეგემონიის დამყარება. აქედან იღებს სათავეს მისი პოლიტიკისათვის ნიშანდობლივი აგრესიული და ექსპანსიონისტური მისწრაფებები. და ამის წაყრუება მართებული არ იქნებოდა.

ალ. ორბელიანის და ფრ. შილერის მოსაზრებებს შორის არსებული სხვაობა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და

უმთავრესად იმითაა გამოწვეული, რომ ისინი ამ საკითხს სხვადასხვა კრიტერიუმით უდგებიან. ალ. ორბელიანი ამ თემას განიხილავს პროგრესის, წინსვლის თვალსაზრისით, შიღერი კი სამართლიანობის პოზიციებიდან. პროგრესი ხშირად სამართლიანი გზით არ ხორციელდება და მტკივნეულ ხასიათს ატარებს.

ალ. ორბელიანს არც ის გარემოება გამოაპრვია მხედველობიდან, რომ ინგლისი ამ ბრძოლაში უმთავრესად იყენებდა „სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკას“ და ამ უკომპრომისო ჭიდილში უპირატესად თავის ფინანსებს ეყრდნობოდა. უხვად ამარაგებდა ფულით ნაპოლეონის წინააღმდეგ მის მიერ შექმნილ კოალიციებს. ბისმარკის თქმით, „ინგლისი ყოველთვის პოულობდა ისეთ სულელს, რომელიც საკუთარი მკერდით დაიცავდა მის ინტერესებს“.

მოუხედავად იმისა, რომ ამ უშელავათო დაპირისპირებაში ინგლისი საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ალ. ორბელიანი ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთმა, ნაპოლეონის დროს, მრავალი უსიამოვნება მიაყენა ინგლისს და არაერთხელ დასცა ბეჭებზე თავისი მრისხანე კონკურენტი. კონკრეტული ფაქტები ალ. ორბელიანს არ მოყავს, მაგრამ საფარაუდოა, რომ შემდეგ მოვლენებს უნდა გულისხმობდეს. შეიძლება ითქვას, რომ ამ დაპირისპირების კონკრეტულ ფაქტობრივ მხარეს ის საკმაოდ კარგად იცნობდა. 1802 წლის 27 მარტს ხელმოწერილ იქნა ამიენის ზავი ინგლისსა და საფრანგეთს შორის. აღსანიშნავია, რომ ზავის თანახმად, ინგლისმა საფრანგეთს ვერც ერთი დაპყრობილი ტერიტორია ვერ დაათმობინა. ეს ნაპოლეონის პოლიტიკის დიდი წარმატება იყო. ტალიერანი თავის მემუარებში აღნიშნავდა აყოველთაო გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ ამიენის ზავის შემდეგ, საფრანგეთი სარგებლობდა ისეთი დიდებით, სახელით, ძალაუფლებით, რომ ყველაზე პატივმოყვარე გმირიც კი ვერ ინატრებდა უკეთესს თავისი სამშობლოსათვის. უფრო საკვირველი იყო ის სისწრაფე, რომელშიც შეიქმნა ეს მდგომარეობა. ორნელინადნახევარზე ცოტა ხანში - 1799 წლის 9 ნოემბრიდან - 1802 წლის 27 მარტამდე, საფრანგეთმა თავი დააღწია დამცირებულ მდგომარეობას, რომელშიც ის აღმოჩნდა დირექტორიის მემუარებით და დაიკავა ევროპაში პირველი ადგილი“ [6. 164]. შემდგომში ინგლისი კიდევ უფრო მძიმე

დღემი ჩავარდა. აუსტერლიცთან ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვებამ შეინორა საფრანგეთის ყველაზე უფრო დაუძინებელი მტერი ინგლისის პრემიერ-მინისტრი, კონსერვატიული პარტიის აღიარებული თავკაცი უილიამ პიტ-უმეროსი. როდესაც 1806 წლის 23 იანვარს მას მოახსენეს აუსტერლიცის ბრძოლაში ნაპოლეონის ბრწყინვალე გამარჯვება, მან ერთი მწარედ ამოიოხრა და მეორე მხარეს გადაბრუნდა, შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ რუკას და წინასწარმეტყველურად წარმოთქვა „ჩამოსხენით ეს რუკა. იგი ინგლისს ათი წლის განმავლობაში აღარ დასჭირდებაო“ და სული განუტევა. ეს მართლაც ასე მოხდა. ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია მყარდება. ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით ინგლისის ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებამ ტრაფალგართან ბრძოლაში 1805 წლის 20 ოქტომბერს ინგლისი უფრო მეტი უსიამოვნებისაგან იხსნა. ინგლისში ფრანგული დესანტის გადასხმა პრაქტიკულად გამოირიცხა. ინგლისის დამოუკიდებლობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. სერ უინსტონ ჩერჩილის თქმით „თავისი ბრძოლებიდან ბრიტანეთი ყოველთვის იგებს ერთს – გადაშწყვეტს“. ეს იყო ვატერლოოს ბრძოლა 1815 წლის 18 ივნისს.

აღ. ორბელიანი ყურადღებას ამახვილებს დამარცხებული ნაპოლეონისადმი ინგლისელების დამოკიდებულებაზე. ამ საკითხისადმი მისი მიდგომა საინტერესოა. აი რას ნერდა იგი. „როგორც ნაპალიონის დროს მაშინდელი ანგლიის მთავრობა დიდი კაცი იყო, ისე მისი უბედურების დროს მცირე სული შეიქმნა, როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ საკუთარი ხასიათი გამოიჩინა, ისე უბედურების დროს უხასიათო შეიქმნა“ [1]. ნაპოლეონისადმი პატივისცემის ფონზე ცდილობს გამოკვეთოს ინგლისის მთავრობის მოქმედების პლუსები და მინუსები. ამის შემდეგ აღ. ორბელიანი დასძენს „როგორც ნაპალიონის ბედნიერების დროს ნაპალიონის დათრგუნვა უნდოდა მაშინდელი ანგლიის მთავრობას და შეურიგებელი მტერი იყო, ისე მისი უბედურების დროს წყნარი მწუხარებით კლაედა ნაპოლიონს. პირველ ქცევას ანგლიის მთავრობისა ძლიერი პატივი ეკუთვნის და მეორეს სიმდაბლისა“ [1]. აქ მას, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლება ჰქონდა მხედველობაში. არავითარ ეჭვს არ ინვევს ის ფაქტი, რომ ამ შედარების

დროს ალ. ორბელიანის სიმპათიები სულ მთლიანად ნაპოლეონის მხარეზეა და მიუხედავად ნაპოლეონისადმი აშკარა კეთილგანწყობისა უნდა აღინიშნოს, რომ მისი მსჯელობა მეტად ახლოა სინამდვილესთან.

ამ შვირე მოცულობის საინტერესო ნერილის დასასრული, აღნიშნული საკითხისადმი ალ. ორბელიანის შეხედულებების თავისებურ რეზიუმედ მიგვაჩნია და ნაპოლეონის აპოთეოზად ფიქსს. „ნაპალიონის ბედნიერების დროს ისტორიის მაღალი პირი შეიქმნა მაშინდელი ანგლიის მთავრობა და ნაპალიონის უბედურების დროს ისტორიის ხარისხი სულ დაკარგა და დასასრული რა იყოს? ნაპალიონი უდიდეს და უსაყვარლეს ნაპალიონად დარჩა! მაგრამ მაშინდელმა ანგლიის მთავრობამ სულ აღარაფერი სახელი დაიგდო“ [1]. ნაპოლეონის მიმართ ალექსანდრე ორბელიანის კეთილგანწყობილება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და უპირატესად, იმით იყო განპირობებული, რომ ალ. ორბელიანი ძირითადად სამხედრო ბონაპარტიზმზე ორიენტირებული და მასში ხედავდა ძლიერ პიროვნებას, ხიბლავდა მისი საქმენი საგმირონი. ძნელის საფიქრელია, რომ რომანტიკოსებს გაცნობიერებული ჰქონოდათ ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ისტორიული მნიშვნელობა, ეს მხარე მათ, ალბათ შედარებით ნაკლებად აინტერესებდათ. მართალია, ნაპოლეონი დამარცხდა, მაგრამ ალ. ორბელიანის აზრით, ზნეობრივი, მორალური გამარჯვება ნაპოლეონის მხარეზე იყო. ამას კი ალ. ორბელიანის თვალში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში, პირველ ყოვლისა, 1832 წლის შეთქმულების ექო უნდა დაეინახოთ. შეთქმულები დამარცხდნენ, მაგრამ მორალურ გამარჯვებას მიაღწიეს. ეტყობა, ამას ალ. ორბელიანის თვალში ძალიან დიდი ფასი ჰქონდა და ნაპოლეონის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად, სწორედ, ამიტომ აირჩია. ცარიზმის კოლონიური უღელით სულშეხუთული ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი დიდპატივს მიაგებენ ნაპოლეონს და აღფრთოვანებული არიან მისი ტროუმფალური გამარჯვებებით.

\*\*\*

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ ასეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ:

1. ალ. ორბელიანის საინტერესო, ანალიტიკური წერილი „ნაპალიონი და ანგლიის მამინდელი მთავრობა“ დაწერილი 1844 წლის 3 ივნისს კაზრეთში, ქართული ნაპოლეონიანას ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად მიგვაჩნია. ნმინდა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ღირებულებასთან ერთად, მას გარკვეული ისტორიოგრაფიული დატვირთვა გააჩნია, ეს ასპექტი საინტერესოა.

2. ალ. ორბელიანი საკმაოდ დიდ ენუდიციას ამჟღავნებს. ის კარგად იცნობს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დასავლეთ ევროპის, კონკრეტულად კი ნაპოლეონის ეპოქის ისტორიას. მისი აღნიშნული წერილი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

3. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობით ალ. ორბელიანის დაინტერესება შემთხვევითი არ იყო და ის მასში, უწინარესად რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების ანალოგიას ხედავდა. ალ. ორბელიანის წერილი ყურადღებას იპყრობს, არა ფაქტობრივი მასალის მშრალი გადმოცემით, არამედ ანალიტიკური მუხტით, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ის ფაქტობრივ მასალას ცუდად იცნობდა. პირიქით, ამგვარი საინტერესო მსჯელობა, სწორედ, ფაქტობრივი მასალის კარგ ცოდნას უნდა ემყარებოდეს.

4. ალ. ორბელიანი სავსებით რეალურად აფასებს XIX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილ მდგომარეობას და ამ საკითხში საკმაოდ ჩახედული ჩანს. ხაზს უსვამს ნაპოლეონის ეპოქის საფრანგეთსა და ინგლისს შორის უმწვავეს დაპირისპირებას. ამ სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკებაში ალ. ორბელიანის სიმპათიები სულ მთლიანად უფრო პროგრესული სანაყისაკენ, ნაპოლეონის დროინდელი საფრანგეთისაკენ იხრება. მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ინგლისის მზაკურული პოლიტიკა. ალ. ორბელიანის პროფრანგული ორიენტაცია, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას ევროპის ისტორიის კარგ ცოდნასთან ერთად, საფუძვლად ედო

ქართული რეალობა. აქ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ვგულისხმობთ იმას, რომ აქცენტების ამგვარად დასმაში ცარიზმის მზაკვრული პოლიტიკით ალ. ორბელიანის უკმაყოფილებების ირიბი ანარეკლი შეიძლება დავინახოთ.

5. ალ. ორბელიანმა გააგრძელა ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ დაწყებული საქმე და განსაკუთრებით დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს. ის, ბარათაშვილის მსგავსად, ბონაპარტიტულად განწყობილ ქართველ რომანტიკოსთა რიგებს მიეკუთვნება, რაც მათი მსოფლმხედველობის პროგრესულობის ერთ-ერთი საუკეთესო საბუთია და ძირითადად ევროპულ რეალიზმზე პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული. ეს XIX საუკუნის პირველი ნახევარის ქართული საზოგადოებრივი აზრის ფონზე ახალი სიტყვა იყო და თვისებრივად წინაგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

6. ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავესებით მართლზომიერი უნდა იყოს და უმთავრესად „სამხედრო ბონაპარტიზმზეა“ ორიენტირებული. ალ. ორბელიანს კარგად ქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონის გმირული ეპოპეის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ ნაპოლეონის განდიდება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი რომანტიკოსები ქვერდში ამოუდგნენ თავიანთ ევროპულ თანამოკალმეებს და ნაპოლეონის სახელი გმირული დიდების რომანტიკული შარავანდედით შემოსეს.

7. შესაძლოა, ალ. ორბელიანი, შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ნაპოლეონის ეპოქაში, რაც მისი უდავოდ, შინაარსიანი წერილის „ნაპალიონი და ანგლიის მაშინდელი მთავრობა“ აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს თვალისმომჭრელი გამარჯვებები საფრანგეთს მეტად ძვირი დაუჯდა. დაუსრულებელი დაპყრობითი ომების შედეგად საფრანგეთი სისხლისგან დაიცალა. მისი გენოფონდი თითქმის განახევრდა, ამიტომ ნაპოლეონის იდეალიზაცია, რომელიც ნითელ ზოლად გასდევს ფრანგულ ისტორიოგრაფიას ადოლფ ტიერიდან დაწყებული ლუი მადლენით და ანდრე კასტელიოთი დამთავრებული, ცალმხრივია. სულ სხვა უკიდურესობაში ვარდება ფრანგი ისტორიკოსი პიერ ლანფრე, ის, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს იმას, რომ ნაპოლეონმა სისხლით მორწყა

ევროპა და სრულიად უგულვებლყოფს პოზიტივს, რომელიც ნაპოლეონის სახელს უკავშირდება [7]. მათ შორის კონსენსუსის მიღწევა, ცხადია, ადვილი საქმე არ იქნება და ეს დისკუსია, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს. [8] სიმართლე გითხრათ ამაში საკვირველს ვერაფერს ვხედავთ. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

#### ლიტერატურა

- 1 „ლიტერატურული საქართველო“, 1996. 25 ოქტომბერი აღ. ორბელიანი, სიტყვაა მამულის ტრაპეზზე, თბ., 1999.
- 2 მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005. ივ. მენტეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
- 3 А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973.
- 4 Фр. Шиллер, Начало нового века - собр. соч. т. I М., 1955.
- 5 Э Тарле, Наполеон, М., 1957
- 6 Талейран, Мемуары, М., 1959.
- 7 П. Ланфре, История Наполеона I. т.т. 1-5. СПб., 1870-1877.
8. მ. კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე - ჟურ. „კლდეკარი“, 3, 1998

### III თავი

#### გიორგი ნართელი და ნაპოლეონი

ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნაპოლეონის მოღვაწეობით დაინტერესება იზრდება და რაც მთავარია კიდევ უფრო მეტ სიღრმეს იძენს. აქ, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ქართულ სინამდვილეში პირველი მინიშნება ნაპოლეონის კანონმემოქმედებითი საქმიანობის ისტორიულ მნიშვნელობაზე. ეს, პირველ რიგში, ეხება ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც ნაპოლეონის მოღვაწეობის ეს მხარე საკმაოდ კარგად უნდა ჰქონდა გაცნობიერებული. ნაპოლეონის მოღვაწეობით გააცნობამ სიტყვაკაზმული ლიტერატურის, პოეზიის სფეროდან სამეცნიერო პუბლიცისტიკაში გადაინაცვლა. ნიკო ნიკოლაძის ნააზრევი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოება დიდ დაინტერესებას იჩენდა მსოფლიო ისტორიისადმი. მათ შორის იყო ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი. იგი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში და პუბლიცისტურ ნერილებში ეხებოდა მსოფლიო ისტორიის საჭირობოროტო საკითხებს და თავის მოსაზრებას გამოთქვამდა ამა თუ იმ პრობლემურ თემაზე. ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ გიორგი წერეთელის დამოკიდებულებას საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტისადმი. თემა არის საინტერესო და აქტუალური. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი და მას მხოლოდ გაკვრით შეეხო პროფ. ვარლამ დონაძე.

პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ ნაპოლეონ ბონაპარტის კოლორიტული ფიგურით გიორგი წერეთელის დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და უპირატესად ორ გარემოებას უკავშირდებოდა. „ნაპოლეონი – როგორც აკად. ვეგენი ტარლე აღნიშნავს – მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი რთული პიროვნება იყო“ [1. გვ. 5]. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ხანა ერთგვარ გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს. როდესაც ინგრევა

ძველი ნესნყობილება და თანდათან, ნელ-ნელა ყალიბდება ახალი საზოგადოება. გიორგი ნერეთლის შემოქმედების მთავარი თემა, სწორედ, ეს იყო. ძველი ყოფის აუცილებელი რღვევა და ახლის ფეხზე დადგომა [2].

გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ამ დაინტერესებას მძლავრი ბიძგი მისცა საეგზეთი კონკრეტულმა გარემოებამ. აქ ცხადია, ეგულისხმობთ იმას, რომ გ. ნერეთელი ნამოჭრის ერთ ფრიად აქტუალურ და საინტერესო საკითხს. განვრთნილი პროფესიული არმია უფრო ძლიერია თუ გაუნვრთნელი ჯარი, რომელიც თავის სამშობლოს დასაცავად იბრძვის. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მას საფრანგეთის დიდი რეკოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის ომები ესახებოდა. „სამშობლო ბრძოლაში და თავისუფლების დაცვაში თავის დამცველი ხალხი უფრო გამნარებული იბრძვის და ბრძოლასაც მოუგებს ძალიან კარგად განვრთნილ ჯარს, თუ ეს ჯარი შემოსული და ქვეყნის დამმორჩილებელია. აი ხალხი როცა თავგანწირულია და თავის ქვეყნისათვის იბრძვის რა შუეძლიათ. ამაზე უფრო ცხადი მაგალითი აღარ იქნება ქვეყანაზე. მე მხოლოდ ამ მაგალითებით მინდოდა მეთქვა, რომ იტალიაც ახლა იმ მდგომარეობაშია, როგორც ამერიკა მეთვრამეტე საუკუნეში. იტალიელებიც ახლა ისე იბრძვიან, იმათ წინ მოუძვით ისეთი ლენერალი, რომელიც ვაშინგტონს არ ჩამოუვარდება. ... ამ ბრძოლაში გარიბალდი იქნება იმათ განმათავისუფლებელი, როგორც ვაშინგტონია ამერიკელების განმათავისუფლებელი“ [3. 84]. „მაშინ ნაპოლეონ I-მა რათ დაიპყრო მთელი ევროპა? როდესაც იტალია, გერმანია, ავსტრია და პოლანდია მიამტვრ-მოამტვრია, რატომ ვერ გამოავდეს იმათ იქიდან? თუ იარაღში და სამხედრო რიგში გაუნვრთნელი ხალხი სჯობდა განვრთნილ ჯარს, უეჭველად ასეც მოხდებოდა“ [3. 84-85]. „როდესაც კარგად განვრთნილი ჯარი თავის სამშობლოსათვის, თავის ქვეყნისთვის და თავის მონათესავე და მოძმისათვის იბრძვის, იმას რაღა ეუობინება! იმას მაშინ ვერაფერი ვერ მოუწევია. ამისთანა ჯარს უჭვია სახალხო ჯარი, ამისთანა ჯარს ენოდება შეიარაღებული ვრი თავის შინა-წყლის დასაცავად. ქვეყანაში თუ იყო ჯარი, ისეთი, რომ შიშიანობის დროს მხედრად იყო და მშვიდობიანობის დროს მუშად, მშრომელ ხალხად. ყოველი ომი მხოლოდ მაშინ არის გასამართლებელი, როდესაც ქვეყნის დასაცავად არის ამტყ-

დარი. სხვა ომი კი ღმერთმა დასწყევლოს, ომი, რომელიც არის სხვა ქვეყნის დასაპყრობად აღძრული, ეს ომი არის წყევული. ამისთანა ომში მებრძოლნი არის ხალხის სისხლში შესვრილი და ადრე თუ გვიან რომ არ გადახდესთ ეს უსამართლობა არ იქნება" [3. 85-86].

ნაპოლეონისადმი გიორგი წერეთლის დამოკიდებულებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ნაწარმოებების და პუბლიცისტური წერილების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ნაწარმოები „კიკოლიკო, ჩიკოლიკი და კუდაბიკა (მგზავრის წერილებიდან)" და გაზეთ „კვალში" გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილები. ამ გაზეთის დაარსებასა და იდეური მიმართულების განსაზღვრაში გიორგი წერეთელს ხომ თავისი წვლილი მიუძღვის.

გიორგი წერეთელი წერდა: „... ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის სახელით შეესია ევროპას, იმის დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან განთავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხს ათავისუფლებდა მთავრობის შევიწროებისაგან. (იგულისხმება აბსოლუტიზმი - მ. კ.), ნუ დაივიწყებთ, რომ ეგ (ე. ი. ცვლილებები ომის ხასიათში - მ. კ.) შემდგომში მოხდა, როდესაც ნაპოლეონი იმპერატორი გახდა, ამან ჯერ საფრანგეთში მოახრჩო თავისუფლება და მერე მთელს ევროპაში და აი მაშინ კიდევ ადვილად მოახრჩვეს, როგორც ნაპოლეონი, ისე მისი მხედრობა... ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ჯარები (რევოლუციური საფრანგეთის და ნაპოლეონის არმია - მ. კ.) მაშინ შეიქმნა საშინი, როცა თავის დროშას დაანერგეს „სამშობლო და თავისუფლება", როცა ისინი თავიანთ თავს ბრძოლაში ამხნეებდნენ: ან უნდა მოეკვდეთ ან მტერი უნდა გავაგდოთ სამშობლოდანო" [3. გვ. 85].

თამაზად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი წერეთლის ყურადღების ცენტრში მოექცა მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და რთული საკითხი, რევოლუციური ომების ევოლუცია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ომებით გ. წერეთლის დაინტერესება საცხებით კანონზომიერია და მას უპირველეს ყოვლისა ქართული სინამდვილე ედო საფუძვლად. თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი წერეთლის დაინტერესება ამ რთული პრობლემით მისასაღმებელია. ობიექტურობისაკენ მისწრაფება გიორგი წერეთლის მსჯელობის მთავარ ღირსებად გვევლინება და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი თვალსაზრისის ღირებულებას. გიორგი წერეთელი ცდილობს თავი აარიდოს უკიდურესობებს, რომელიც ტრადიციულად იჩენს თავს ნაპოლეონის შეფასების დროს. იგი თავის მსჯელობაში ისწრაფვის მკაცრად გაემიჯნოს, როგორც ნაპოლეონის ურიცხვ აპოლოგეტებს, ისე კრიტიკოსებს.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ გიორგი წერეთლის მსჯელობაში საგულისხმო ჩანს მისი პოზიტიური დამოკიდებულება საფრანგეთის რევოლუციური ომებისადმი და რევოლუციური არმიისადმი. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ ბევრი რევოლუციური არმიის წარმატებებს გულგრილად ეკიდებოდნენ და მას ძირითადად ანტიფრანგული კოალიციის უნიათობას მიაწერდნენ. ერთ-ერთმა პირველმა ეს მოსაზრება გამოთქვა ნაპოლეონ ბონაპარტმა. იმდენად დიდი იყო მისი როგორც მხედართმთავრის ავტორიტეტი, რომ ეს შეხედულება შემდგომში ბევრმა ისტორიკოსმა გაიზიარა და ისტორიულ ლიტერატურაში მყარად დამკვიდრდა [4].

გიორგი წერეთლისათვის სრულიად უცხოა ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკის ყოველგვარი შეღამაზება, გაიდილება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX საუკუნის მიწურულის ფრანგულ ისტორიოგრაფიაში მას საფუძვლად ედო სავსებით რეალური გარემოება. საფრანგეთ-პრუსიის ომში განცდილი მარცხი. ფრანგულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა საფრანგეთის სამხედრო წარსულის გაზდიდება. ყველაზე მეტი ქება, ბუნებრივია, ნაპოლეონის ომებს ხვდა წილად. XX საუკუნის ფრანგი ისტორიკოსის, ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორის, ჟაკ გოდმოს თქმით „1914 წლის თაობა ნაპოლეონის კულტის პირობებში აღიზარდა“ [5. გვ. 177]. არის სხვა უკიდურესობა. ზოგიერთები ვერ ფარავენ თავის ანტიპათიას ნაპოლეონის მიმართ და გაიძახიან, რომ ნაპოლეონმა „სისხლით მორწყა ევროპა“ [6].

გიორგი წერეთელმა ძალიან კარგად დაინახა, რომ ნაპოლეონი იყო არა მარტო ჩვეულებრივი დამპყრობელი „ევროპელი ჩინგიზ-ხანი“, როგორც მას ხშირად ხატავდნენ, არამედ

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ტრადიციების გამგრძელებელი, რომელიც ნერგავდა რევოლუციის სოციალურ მონაპოვარს ევროპაში. წმენდა ევროპის ფეოდალიზმის ავგეოსის თავლებს". „ომის (ე. ი. ნაპოლეონის – მ. კ.) დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან გათავისუფლება მთავრობის შევიწროებისაგან”.

გიორგი წერეთელი აქ არ აპირებს წერტილის დასმას და განაგრძობს დაწყებულ მსჯელობას. მან, ვფიქრობთ, შეძლო გაეცნობიერებინა რევოლუციური და ნაპოლეონისეული ომების ხასიათში მომხდარი სახეცვლილება. დაინახა, რომ თავდაპირველად ეს ომი საფრანგეთის მხრიდან ატარებდა თავდაცვით, სამართლიან ხასიათს. ფრანგი ერო იცავდა საკუთარ სამშობლოს და რევოლუციის სოციალურ მონაპოვარს კონტრ-რევოლუციის და ინტერვენტების ხელყოფისაგან. ხაზს უსვამს რევოლუციის ეპოქის და ნაპოლეონის ომებს შორის მემკვიდრეობით კავშირს. მას არც ის გამოორჩენია მხედველობიდან, რომ თანდათან ამ ომების ხასიათში მკვეთრი ცვლილება მოხდა, რაც იმით გამოიხატა, რომ სოციალური ასპექტები სულ უფრო უკანა პლანზე გადადის და ომები მკვეთრად გამოკვეთილად დაპყრობით ხასიათს იღებს. სახეზეა აშკარა აგრესია, ექსპანსია. ფრანგი ისტორიკოსი ა. კალვე აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო სულისკვეთება თანდათან იხევს უკან დაპყრობის სულისკვეთების წინაშე. რევოლუციის ჯარისკაცის ზურგს უკან სულ უფრო ხშირად ჩნდება კონდოტიერი“ [7. გვ. 34].

მისასალმებელი უნდა იყოს, რომ გ. წერეთელი ცდილობს გაერკვეს, თუ რითი იყო გამოწვეული რევოლუციური ომების ასეთი მეტამორფოზი და მას არცთუ უმართებულოდ უკავშირებს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევას 1804 წლის 2 დეკემბერს. ეს მართლაც მნიშვნელოვანი მომენტია ნაპოლეონის პოლიტიკური ევოლუციის გზაზე. ერთმა თანამედროვემ მოსწრებულად აღნიშნა „იყო ბონაპარტი და გახდა იმპერატორი, რა დაცემაა“ [8. გვ. 451]. გიორგი წერეთელი განაგრძობს დაწყებულ მსჯელობას და დასძენს „ნუ დაივიწყებთ ეგ (ე. ი. ცვლილებები ომის ხასიათში – მ. კ.) მერე მოხდა, როდესაც ნაპოლეონი იმპერატორი გახდა. ამან ჯერ საფრანგეთში მოახრჩო თავისუფლება და მერე ევროპაში“.. თუ ამ მსჯელობას კიდევ უფრო დაეაკონკრეტებთ, გაცილებით ნათელ სუ-

რათს მივიღებთ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო შესაძრწევი ხდება 1807 წლის შემდეგ, როდესაც ხელმოწერილი იქნა ტილზიტის ზავი. ნაპოლეონი დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, როდესაც გენერალ გურგომ ნაპოლეონს ჰკითხა, თუ როდის იმყოფებოდა დიდების ზენიტში. ის ცოტა ხანს დაფიქრდა და მიუგო, „ალბათ ტილზიტის შემდეგ“. რუსი დიპლომატი კურაკინი რუსეთის იმპერატორს ატყობინებდა: „პირინეიდან ოდერამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე – ყველაფერი საფრანგეთია“. ომის ხასიათში მომხდარი სახეცვლილება პირველად ყველაზე უფრო მკაფიოდ ესპანეთში გამოვლავლდა. ამას მოჰყვა ომი რუსეთის წინააღმდეგ 1812 წელს. „აი მაშინ კიდევ ადვილად მოახრჩვეს როგორც ნაპოლეონი, ისე მისი მხედრობა“ – დასძენს გიორგი ნერეთელი.

ფრანგი ერის ბრძოლა თავისუფლების, დამოუკიდებლობისათვის, ინტერვენტების, შიდა კონტრრევოლუციის, აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოების თანაგრძნობით სარგებლობდა. ეს ადვილად გასაგებია. ქართველმა კაცმა კარგად იცოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ფასი, ყადრი. აი რას წერდა გიორგი ნერეთელი „ნუ დაივინყებთ, რომ ეგ ჯარები მაშინ შეიქმნა საშიში, როცა თავის დრომას დაანერეს „სამშობლო და თავისუფლება“, როცა ისინი ბრძოლაში ამხნევედნენ თავს, ან მოვკვდეთ ან მტერი უნდა გავაგდოთ სამშობლოდან“. თუ აქ შეიმჩნევა საფრანგეთის პოლიტიკისადმი რალაც სიმპათია, გაიდვალება, ეს უწინარესად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ქართველი საზოგადოების კეთილგანწყობილების ლოგიკური შედეგი უნდა იყოს.

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, რითი იყო, გიორგი ნერეთლის აზრით, გამოწვეული ნაპოლეონის თავბრუდამხვევი წარმატებები და შემდეგ მისი წარუმატებლობები. ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ გიორგი ნერეთელმა შეძლო გაცეხადებინა ნაპოლეონის აღზევების და დაცემის მიზეზები. ის ნაპოლეონის სწრაფად დანინაურებას არ უკავშირებს მარტო მის პირად თვისებებს, როგორც ამას ჩადიან მისი მრავალრიცხოვანი ბიოგრაფები და ამ გარემოებას უწინარესად პროგრესისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას უკავშირებს. როდესაც ის ებრძოდა ევროპის აბსოლუტურ მონარქებს და „წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავეკოსის თავლებს“,

ის გვევლინებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ტრადიციების ღირსეულ გამრძელებლად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. როდესაც სოციალურმა ასპექტებმა აშკარად უკან პლანზე გადაინაცვლა და ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო, კიდევ შემზადდა ნიადაგი ნაპოლეონის დამხობისათვის.

გიორგი წერეთელს შეუმჩნეველი არ დარჩენია ნაპოლეონის ომების ერთი ფრიად საინტერესო ნიუანსი, რომელსაც, სხვათა შორის, ბევრი მაშინაც ვერ ამჩნევდა და ზოგიერთები დღესაც ვერ ამჩნევენ. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ ნაპოლეონის ომების ორმაგი მისიას. მიუხედავად ნაპოლეონის ომების დაპყრობითი ხასიათისა, მასში პროგრესული ელემენტი მაინც რჩებოდა და დაკავებულ ტერიტორიებზე განახლების დაწერგვა მაინც ხდებოდა. „ნუ დაივიწყებთ, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის სახელით შეესია ევროპას, იმის დროშაზე დაწერილი იყო მტარვალისაგან განთავისუფლება. ის თავდაპირველად ხალხებს ათავისუფლებდა მთავრობის შევიწროებისაგან“. გაზეთ „კვალში“ ვკითხულობთ: „ნაპოლეონი ყველგან დაპყრობით ომებს ეწოდა, მაგრამ სადაც მივიდა, ყველგან დალენა ფეოდალური ურთიერთობა, ბატონყმობა და ახალი ურთიერთობები დაამყარა. საფრანგეთის განმათავისუფლებელი იდეები ყველგან მოჰქონდა. მან (ე. ი. ნაპოლეონმა – მ. კ.) გამოაფხიზლა დამორჩილებული ხალხები და ნაპოლეონის მიერ გამოჭედილი იარაღი იხმარეს ნაპოლეონის წინააღმდეგ“ [9. 10. გვ. 50]. ნაპოლეონის ომების ორგვარი მისიის გაცნობიერება გიორგი წერეთლის მსჯელობის პოზიტიურ მხარედ მიგვაჩნია.

ვფიქრობთ, საინტერესოა გავარკვიოთ, როგორ ესახებოდა გიორგი წერეთელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩოები. თემა არის რთული, აქტუალური და ისტორიკოსთა შორის სეროზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს როგორც ჩანს, გიორგი წერეთელი ნაპოლეონის მმართველობას რევოლუციის ხანად არ აღიქვამს. იგი არ უგულვებელყოფს მათ შორის არსებულ მემკვიდრეობით კავშირს, მაგრამ მას რევოლუციის გავრძელებად არ მიიჩნევს. ეს გაცილებით ახლო შეიძლება იყო სინამდვილესთან, ვიდრე ის მოსაზრება, რომელიც ნაპოლეონის ხანას რევოლუციის ეპოქად მოიაზრებს. ამ თვალსაზრისს საფუძველი ჩაუყარეს რესტავ-

რაციის ეპოქის ფრანგმა ისტორიკოსებმა და შემდგომში ისტორიოგრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი (ა. ტიერი, ფ. მინიე, ა. სორელი, ა. სობული, ე და კ ვილარები, ა. ოლარი, ფ. სანიაკი და სხვები). სად შეიძლება გადიოდეს გიორგი წერეთლის თვალსაზრისით სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის მმართველობას შორის? კატეგორიულად რამის მტკიცება ძნელია, რადგან გიორგი წერეთელი ამ თემას საგანგებოდ არ ეხება, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით მის მსჯელობას, ამ საკითხზე გარკვეულ მინიმუმებს აუცილებლად დაინახავთ. ეს ნამდვილად დაგვეხმარება კიდევ უფრო მეტი შუქი მოვფინოთ ამ აქტუალურ პრობლემას. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს გ. წერეთლის მიდგომა 1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებისადმი. გამოცხადდა არ მიგვაჩნია, რომ გიორგი წერეთელს საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ნაპოლეონის ხანას შორის წყალგამყოფად, სწორედ, 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება შეიძლება ჰქონოდა ნარმოდგენილი. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, გიორგი წერეთელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩოები შეიძლება ასე ესახებოდა: 1789–1799 წლები. ამგვარი პერიოდიზაცია სავსებით მისაღები ჩანს და ისტორიოგრაფიაში თავისი მომხრეები ჰყავს. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. დეკემბრის დეკლარაციაში ჩანერილი ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია“ სულაც არ იყო მხოლოდ ცარიელი სიტყვები და კარგად გამოხატავდა რეალურ სიტუაციას [11. გვ. 418]. ნაპოლეონის ერა არ შეიძლება გავაიგიოთ რევოლუციასთან და არც მთლიანად მოვწყვიტოთ მას. მათ შორის გენეტიკური კავშირი უეჭველად არსებობს, ნაპოლეონის ხანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირმშოა, მაგრამ მათი გაიგივება არ შეიძლება.

ყურადღებას იპყრობს გიორგი წერეთლის დამოკიდებულება 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალებისადმი. ეს იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდი „ბონაპარტის აღზევების“ საქმეში. სწორედ ასე უწოდა თავის ნიგნს გამოჩენილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალბერ ვანდალმა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გაზეთ „კვალში“ დაბეჭდილი

რამდენიმე წერილი, რომლის ავტორიც და მთავარი იდეური სულისჩამდგმელი გიორგი წერეთელი იყო.

სავსებით ვიზიარებთ პროფ. ვარლამ დონაძის მოსაზრებას, რომ „გიორგი წერეთელი ნეგატიურ შეფასებას აძლევდა თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას“ [10. ვვ. 47]. ამის საილუსტრაციოდ მას მოყავს სათანადო მასალა. გიორგი წერეთელი თავის სტატიამი „წარსული წლის პოლიტიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1896 წელს გაზეთ „კვალში“, აღნიშნავდა „ჩაქრა თავისუფლების ამგზნები სული და რევოლუციის დიდებული დრომა ნაპოლეონ პირველის ხელში ისევე თვითმპყრობელობის დრომად გადაკეთდა“ [12. 10. 47]. ზუსტად ანალოგიურ შეფასებას აძლევდა 18 ბრიუმერის გადატრიალებას გაზეთი „კვალში“ 1900 წლის ნოემბერში. „საფრანგეთის ხალხმა იმიტომ დაანგრია ძველი ნყობილება, გააძევა ძველი მეფეები და დაამყარა რესპუბლიკა, რომ ცოტა ხნის შემდეგ მის სათავეში მოქცეულიყო უცნობი კორსიკელი აზნაური და თავზე გვირგვინი დაედგა“ [13. 10. 47]. ჩვენი აზრით, გიორგი წერეთელი ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას. 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებისასდმი ასეთ მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ ყოფილა და უწინარესად იმით აიხსნებოდა, რომ გ. წერეთელი ძალიან დაახლოებული იყო მესამე დასთან და მარქსიზმისაკენ იხრებოდა.

1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებას „კონტრრევოლუციური“ დავარქვავთ საკამათო უნდა ჩანდეს. ამ პერიოდში კონტრრევოლუციური შეიძლება ვუნოდოთ ფეოდალურ-არისტოკრატიულ ელემენტებს, რომლებსაც სასტიკად სძულდათ რესპუბლიკა და გააფთრებული იბრძოდნენ მის წინააღმდეგ. მათი ოცნება იყო ძველი რეჟიმის რესტავრაცია. სრულიად ამკარაა, რომ 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება ამ ჩარჩოებში არ თავსდება. 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სტაბილიზაციის გზაზე, რომლის დროსაც ნათლად გამოიქვლავნდა საშუალო ფენის მისწრაფება სტაბილურობის, ნესრივისაკენ. იყო ამაში რამე მიუღებელი? რა თქმა უნდა, არა [14].

ნაპოლეონის მმართველობის არადემოკრატიულ ტენდენციებზე აქცენტირება ცალმხრივია და აღნიშნულ საკითხის ამომწურავ სურათს როდი იძლევა. ძნელია დავეთანხმოთ XX

საუკუნის გერმანულ ისტორიკოსს ერნსტ ენგელბერგს, რომელიც ნაპოლეონში ხედავდა „რევოლუციის არადემოკრატიული მხარის წარმომადგენელს“.

გიორგი წერეთელი ნაპოლეონს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მესაფლავედ აღიქვამდა. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ მან (ე. ი. ნაპოლეონმა – მ. კ.) ჯერ საფრანგეთში მოახრჩო თავისუფლება (ე. ი. იგულისხმება 1799 წლის 18 ბრიუმერის გადატრიალება – მ. კ.) და მერე ევროპაში (იგულისხმება ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა – მ. კ.) [3. 85]. ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ უნდა იყოს და ამის მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილი მემარცხენე ელფერი დაკრავს, ახლოს არის მესამე დასთან და მარქსიზმისაკენ იხრება. ამ მოსაზრებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი მარქსისტულ ლიტერატურაში და მისი მთავარი ტონის მიმცემი „დიდი ბელადი“ ი. სტალინი იყო. „ნაპოლეონმა ჩაახშო საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ... შეინარჩუნა ის შედეგები, რაც ხელსაყრელი იყო მსხვილი ბურჟუაზიისათვის“ [15. 14. 10. 46]. ნაპოლეონის გამოცხადება საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მესაფლავედ დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ძალიან საკამათოა.

ნაპოლეონმა ნერტილი დაუსვა რევოლუციის შედეგად გამოწვეულ ქაოსს ნგრევას, არეულობას. მან შეძლო რევოლუციის დროს გახლეჩილი ფრანგი ერის გაერთიანება, გამთლიანება ეროვნული იდეის გარშემო. იგი ითვალისწინებდა კომპრომისს არისტოკრატიულ და რევოლუციურ ტენდენციებს შორის, რომლის მთავარი ამოსავალი ნერტილი იყო რევოლუციის სოციალური მონაპოვრის აღიარება. ნაპოლეონმა დაგმო რევოლუციისათვის დამახასიათებელი ზედმეტი ექსცესები, უკიდურესობანი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ნაპოლეონი საფრანგეთის რევოლუციის მესაფლავე იყო“. მან შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი და ცდილობდა მის გავრცელებას, დანერგვას ევროპის ქვეყნებში. ნაპოლეონი ებრძოდა ევროპის აბსოლუტურ მონარქებს. ნაპოლეონი ცდილობდა ოქროს შუალედი მოეძებნა ძველ რეჟიმს და რევოლუციას შორის. ნაპოლეონის დამსახურება ის იყო, რომ დირექტორიის რეჟიმი დაუყოვნებლივ შეცვალა კონსულობის რეჟიმით, რომელიც განასახიერებდა ძველი რეჟიმის და რევ-

ოლუციის სინთეზს სწორედ ეს კომპრომისული პოლიტიკა აღმოჩნდა ძველი რეჟიმის ალტერნატივა, რომელიც მნიშვნელოვანწილად მისაღები იყო ფრანგი ხალხისთვის. სტაბილიზაცია ახალი რეჟიმის მთავარი მიღწევა იყო. ძირითადი განსხვავება, რომელიც იყო რევოლუციის ხანასა და ნაპოლეონის მმართველობას შორის, სწორედ ამაში მდგომარეობდა. მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა, შეიძლება ითქვას, რომ მის პოლიტიკაში შუქი მაინც ჭარბობდა ჩრდილს. ამიტომ ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმის“ ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ [16].

\*\*\*

ამრიგად, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ გიორგი წერეთლის მსჯელობის ღირებულებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მიერ ნამოჭრილი თემის აქტუალობა. მან დასვა ფრიად მწვავე საკითხი. თავისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი ის სავსებით სამართლიანად მიაპყრობს ყურადღებას საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის ეპოქის ომებს. თმა არის საინტერესო და რთული. გიორგი წერეთლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ასეთ რთულ საკითხებთან შეჭიდებას არ გაურბის და იოლ გზას არ ირჩევს. ცდილობს ქართული საზოგადოება ჩაახედოს მსოფლიო ისტორიის რთულ პერიპეტიებში მისასალმებელია, რომ გიორგი წერეთელი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტების უბრალო კონსტატაციით, მშრალი თხრობით და დიდ ყურადღებას უთმობს მათი გამომწვევი მიზეზების გამოკვევას მის მსჯელობაში ანალიტიკური მუხტი ჩნდება. სწორედ ეს ანიჭებს მის კულტურტრეგერულ მისიის ისტორიოგრაფიულ დატვირთვას. ამ საკითხებისადმი გიორგი წერეთლის მიდგომა, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისება იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. პირველ ყოვლისა მან კარგად დაინახა და ხაზი გაუსვა საფრანგეთის რევოლუციის ეპოქის და ნაპოლეონის ომებს შორის არსებულ გენეტიკურ, მემკვიდრეობით კავშირს, მას შეუმჩნეველი არ დარჩენია ამ ომების ხასიათში მომხდარი სახეცვლილებები. მაგრამ მიუხედავად ამისა არ უგულებელყოფს, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დაწერგვა მაინც ხდებოდა, სწორედ ამაში მდგომარეობდა ნაპოლეონის ომების ორმაგი

მისია პროგრესული და ნეგატიური, რომელიც სტენდალმა კარგად გამოხატა ფერებით – ნითელი და შავი. გიორგი ნერეთლის შეხედულებების კიდევ ერთ ღირსებას იმაში ვხედავთ, რომ მან შეძლო ზუსტად განესაზღვრა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიური საზღვრები 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალების უარყოფითი შეფასება საკამათო ჩანს და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ნაპოლეონის რევოლუციის მესაფლავედ გამოცხადება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და ასევე სადაოა. გიორგი ნერეთლის აღნიშნული მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა მის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი მემარცხენე რადიკალური ელფერი დაკრავს, ძალიან ახლოს იდგა მესამე დასთან და მარქსიზმისაკენ იხრებოდა. ქაოსი, ნგრევა, ჩაანაცვლა ერთპიროვნულმა მმართველობამ. ეს იმ რთული სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი იყო, რომელსაც შექონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. საშუალო ფენას სურდა ნესრიგი, სტაბილურობა. როიალისტი პუბლიცისტის ლა რივალორის თქმით „ყველა რევოლუცია მთავრდება ხმლით“.

#### ლიტერატურა

- 1 E. Тарле, Наполеон, М, 1957
- 2 ი კილასონია, გიორგი ნერეთლის პოლიტიკური და სამართლებრივი მსოფლმხედველობა, თბ, 2005 თ ჯგაფონიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია (XIX ს) თბ, 2004
- 3 გ ნერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა (მგზავრის ნერილებიდან), თბ, 1935
- 4 Г Зиньель, История французской революции и его времена, ч. 1-4, СПб 1863-1867. Г Дельбрюк, История военного искусства, т. IV, М., 1938 ამ საკითხზე დანერჩილებით იხილეთ გ კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ, 1963
- 5 ციტ: Историкография новой и новейшей истории стран Европы и Америки, М, 1977
- 6 П Ланфре, История Наполеона I. т 1-5 СПб 1870-1877.
- 7 A. Calvet, Napoleon, Paris, 1943
- 8 А Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973
- 9 „კვალი“, 1900, 2

10. ვ დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ., 1978.
- 11 კილურაძე, ახალი ისტორია, ნან. 1 თბ., 1970.
12. გ ნერეთელი, წარსული წლის პოლიტიკა, „კვალი“, 1897 1
13. „კვალი“, 1900, 22.
- 14 Дж. Туган-барановский, У истоков Бонапартизма, М., 1986. Дж. Туган-барановский, Наполеон и власть, М., 1993.
15. ი სტალინი, პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებისა და ტროცკისტ და სხვა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე... თბ., 1937
16. დ. ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, წიგნი 1 და 2. თბ., 1994–1997. კ. ანთაძე, შ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.

## IV ტაპი

### კონსტანტინე გამსახურდია და ნაპოლეონი

1. შესავალი. წინამდებარე მონაკვეთი მიზნად ისახავს განიხილოს XX საუკუნის დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება ნაპოლეონ ბონაპარტისადმი. თემა საინტერესო და აქტუალურია. აქ ყურადღების ცენტრში დგას საკმაოდ რთული პრობლემა. გამოჩენილი მწერლის შემოქმედებაში დიდი პიროვნების მოღვაწეობის გააზრება, შეფასება, თავის მხრივ უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდია და ნაპოლეონი რთული პიროვნებები იყვნენ და ამიტომ ქართველი კლასიკოსის დამოკიდებულება საფრანგეთის იმპერატორის მოღვაწეობისადმი, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა.

აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის პიროვნება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კ გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“, საინტერესო ესე „გოეტე, ნაპოლეონი, ნიც-შე“, რომელიც დაიბეჭდა 1921 წელს ფედერალისტური პარტიის გაზეთში „სოციალ-ფედერალისტში“. ამიტომ ეს ტრილოგია საბჭოთა პერიოდში არსებითად იგნორირებული იყო და მწერლის თხზულებებში შეტანილი არ ყოფილა. მხოლოდ 90-იან წლებში მოხდა დიდი მწერლის ამ ესეს რეანიმაცია. მას ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მიაქცია პროფ. სოსო სიგუამ თავის წიგნში „მარტვილი და ალამდარი“. ეს ორი ნაწარმოები იმ მხრივაც საინტერესოა, რომ აქ დიდი მწერალი საგანგებოდ ეხება ნაპოლეონს. ამავე დროს მწერალი თავის უკუდავ რომანებში „მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“ და საინტერესო ესეში „გოეტეს ცხოვრების რომანი“ გაკვერთი მოიხსენიებს ნაპოლეონს.

მწერლის დამოკიდებულება ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი იყო რთული და წინააღმდეგობრივი. უწინარესად ეს იმით გამოიხატებოდა, რომ მას ხან ცაში აპყავდა ნაპოლეონი და ხან კიდევ ეკამათებოდა მას. გასათვალისწინებელია, რომ ამას კ. გამსახურდია არსად არ მიყავს ნაპოლეონის დაგმობამდე. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. კ. გამსახურდიას ყო-

ველთვის აინტერესებდა ძლიერი პიროვნების ბედი და ნაპოლეონის ბობოქარი ეპოპეით მარად აღტაცებული რჩება. აღნიშნულ თემაზე გაკერით ჩერდება და საკმაოდ საინტერესოდ განიხილავს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთ-ერთი კომპეტენტური მკვლევარი პროფ. სოსო სიგუა. ეს თემა ისტორიკოსის თვალთ შერ არ ყოფილა დანახული. შევეცადეთ შეგვევსო ეს ხარვეზი. კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნაპოლეონის შეფასებას წმინდა ლიტერატურულ და ფილოსოფიურ დატვირთვასთან ერთად ისტორიოგრაფიული მნიშვნელობაც ენიჭება და სწორედ ამ მხარეს ნამოვნევთ წინ.

2. კ. გამსახურდიას ტრილოგია „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცმე“. როგორც ჩანს, ნაპოლეონის მოღვაწეობით კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესების პირველმა სიმბტომებმა თავი იჩინეს 20-იან წლებში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“ (1920) და ესე „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცმე“ (1921). აღნიშნულ თემაზე საუბარი კ. გამსახურდიას ამ ესეს განხილვით უნდა დავიწყოთ. კონსტანტინე გამსახურდიას ეს ესე ეძღვნება იმ ისტორიულ პერსონაჟებს, რომლებსაც დიდი მწერალი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს და თაყვანს სცემს. მას ყოველთვის იტაცებდა ძლიერი და დიდი პიროვნებები [1].

კონსტანტინე გამსახურდიას ეს ესე არ დაუმთავრებია, რაც უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო გამოწვეული. სწორედ ამ წელს მოხდა საქართველოს გასაბჭოება და მწერალმა ამ ესეს გასრულებისაგან თავი შეიკავა, მოგვიანებით მხოლოდ „გოეტეს ცხოვრების რომანი“ გამოაქვეყნა. დაბეჭდილი ესე საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ და ეტყობა, რომ მწერალს განზრახული ჰქონდა მასზე მუშაობის გაგრძელება. გამოეთქვამთ მეტად ფრთხილ ვარუდს, რომ დიდ მწერალს, შესაძლოა, ჩაფიქრებული ჰქონოდა ანალოგიური ხასიათის ესეები დაუნერა ნაპოლეონზე და ნიცმეზე, რაც, ცხადია, ძალიან საინტერესო იქნებოდა. სხვა უფრო ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამ რთულ ამოცანას წარმატებით დააგვირგვინებდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დადუმება ამჟობინა და დანყებული საქმე ბოლომდე არ მოუყვანია. ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გამეჭებული.

კონსტანტინე გამსახურდიას გატაცება ნაპოლეონის პიროვნებით, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზნები პირველ ყოვლისა გამოჩენილი მწერლის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ნაპოლეონის თემატიკა მისი შემოქმედების კონტექსტიდან ამოვარდნილი არ ჩანს და კარგად თავსდება მისი შემოქმედებითი ძიებების თეორიულ ჩარჩოებში.

1. უნინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის პიროვნებით გატაცება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მის შემოქმედებაში ძლიერი პიროვნების კულტის ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ [2. გვ. 321-322].

2. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების მთავარ ლაიტმოტივად გვევლინება რთული ფილოსოფიური პრობლემა - ისტორიაში პიროვნების და ხალხის როლი. თემა არის საინტერესო და აქტუალური. ისტორიკოსებს შორის ამ საკითხში ერთსულოვნება არასოდეს ყოფილა და გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები. კ. გამსახურდია ცდილობს თავიდან აიცილოს ამ საკითხის გაგებაში არსებული უკიდურესობანი და საშუალებო ხაზი გამოიხატოს. ამ იდეის საილუსტრაციოდ ნაპოლეონი მართლაც შესაფერი კანდიდატი ჩანს. კ. გამსახურდია არ უარყოფს ისტორიაში პიროვნების როლს, მაგრამ სოციალ-ეკონომიკურ გარემოს არ განიხილავს როგორც დიდი პიროვნების მოღვაწეობის უბრალო ფონს. დიდ პიროვნებას ეპოქა წარმოშობს. დიდი პიროვნება კატალიზატორის როლს ასრულებს და აჩქარებს მოვლენათა მსვლელობას. ის არც ისტორიაში ხალხის როლს უარყოფს და მიაჩნია, რომ დიდ პიროვნებას თავისი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებლად ესაჭიროება ხალხის მხარდაჭერა დიდი პიროვნება ხალხის ენერჯიას სწორ კალაპოტში წარმართავს [2. გვ. 329-331].

3. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში დიდი ყურადღება ექცევა საჭირობოროტო თემას - დანაშაული და ძლიერი პიროვნება. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის პიროვნება ძალიან კარგად თავსდება ამ კონტექსტში. ნაპოლეონმა არნახულ წარმატებებს მიაღწია „პირინეიდან ოდერამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე ყველაფერი საფრანგეთია“ - დასძენდა რუსი თავადი კურაკინი. ევროპაში საფრანგეთის ჰეგემონია გამოიკვეთა, მაგრამ რა ფასად იქნა მიღწეული ეს წარ-

მატება? განა ყველაფერი ეს მიღწეული არ იყო გაუთავებელი დაპყრობითი ომების შედეგად საფრანგეთის მოსახლეობის სისხლისაგან დაცლის ხარჯზე? დანაშაული თან სდევს ძლიერ პიროვნებას [2. გვ. 327–328].

4. კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედება პერო-იკულ-რომანტიკული სულისკვეთებითაა გამსჭვალული. მისი პერსონაჟები განსაკუთრებული პიროვნებები არიან. ასეთია მათი ცხოვრების დევიზიც. ან ყველაფერი ან არაფერი. მისი პერსონაჟებისათვის ძალზე ნიშანდობლივია მხედრულ-პერო-იკული განწყობილება. ამ მხედრულ-პეროიკული სულის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურა [2. გვ. 322–325].

5. კონსტანტინე გამსახურდიას გმირების უმრავლესობისათვის ნიშანდობლივია ორი დიდი გატაცება – პოლიტიკა და ქალი. ნაპოლეონის პიროვნება, ვფიქრობთ, სავსებით თავსდება ამ კონტექსტში [3]. ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს იპოლიტ ტენს თავის ნიგნში ნაპოლეონზე მოყავს მისი ერთი ასეთი გამონათქვამი, „ჩემი საყვარელი პოლიტიკა“.

შესაძლოა, კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესებდეს ნაპოლეონის პიროვნებით გარკვეული ბიძგი მისცა იმანაც, რომ მწერალი სიჭაბუკეში თურმე სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. ამ მხრივ ნაპოლეონი მართლაც შესანიშნავი კანდიდატი უნდა იყოს. ის არის დიდი მხადართმთავარი და სამხედრო საქმის ნოვატორი, რეფორმატორი [4].

ნაპოლეონისადმი კონსტანტინე გამსახურდიას მიდგომა, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიამ. ნაპოლეონით კ. გამსახურდიას გატაცება ძლიერი და დიდი პიროვნების კულტის მორიგ გამოვლინებად გვევლინება (გოეთე, დავით აღმაშენებელი, თამარი, სტალინი).

სავსებით კანონზომიერი უნდა იყოს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას დაინტერესება ნაპოლეონის პიროვნებით ინტენსიურ ხასიათს ატარებდა 20-იან წლებში, ხოლო შემდეგ 30-იანი წლების მონურულიდან თანდათან კლებულობს. კ. გამსახურდიას ასეთი მკვეთრი მეტამორფოზი საინტერესოა და მჭიდროდ უკავშირდება იმ ფერისცვალებას, რომელსაც ადგილი

პქონდა მთელს მის შემოქმედებაში და უნინარესად დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ კატაკლიზმებთან, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, 1937 წლის მოვლენებთან, რომელსაც ადგილი პქონდა საქართველოში. საქმე ისაა, რომ უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევით ნაპოლეონს უყურებდნენ როგორც „ეუროპელ ჩინგის-ხანს“, ხოლო ნიცშეს მიიჩნევდნენ ფაშიზმის წინამორბედად და მთავარ სულისჩამდგმელად. ორივე ეს მიდგომა იყო უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური [5].

„1792 წლის იენისის ათში, პარიზში, ჯერედ უცნობი ლეიტენანტი ბონაპარტი პარიზის ქუჩებში დახეტიალობს უსაქმოდ, თავის სკოლის მეგობარ ბურიენტან ერთად. ქუჩაში ხალხი ეფინება, გაუმარჯოს ნაციას, გაუმარჯოს სანკიულოტებს. გაისმის ხმები. გავყევით ერთი ამ კანალიას! ეუბნება ნაპოლეონი ბურიენს. ორივენი ტიულირისაკენ გაემართნენ. აქ ხეზე მიყრდნობილი ნაპოლეონი უყურებს ფანჯრიდან ლუი XVI-ის თავს, წითელი ჩაჩით, რომელიც გასამასხარავებლად დაუხურავს მისთვის სისხლმონყურებულ ბრბოს. სულელი, სულელი, ... ნაიბუტბუტა ახალგაზრდა კორსიკელმა ლეიტენანტმა. რას ამბობ? აბა როგორ ვიფიქროთ, რა უნდა ექნა მას? - ზარბაზნებით გადაეხვეტა ხუთასიოდე კაცი და სხვებიც გაიქცეოდნენ. ასე ფიქრობდა ბონაპარტე“ [1]. აქ არის ერთი პატარა უზუსტობა. ეს მოხდა არა ათ რიცხვში, როგორც ამას ხაზს უსვამს ბ-ნი კონსტანტინე, არამედ ცოტა მოგვიანებით 1792 წლის 20 იენისს [6. გვ. 18-19]. ხომ არ გვაქვს აქ საქმე უბრალო კორექტულ შეცდომასთან?

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს კ. გამსახურდიამ კარგად არ იცოდა ნაპოლეონის მოღვაწეობის ფაქტები. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტების მშრალი თხრობა მას ნაკლებად იზიდავს, აინტერესებს. მის მიზანს არ წარმოადგენს. იგი ამ საკითხს სულ სხვა რაკურსით მიუდგა. ისტორიაში მას უნინარესად სულიერება აინტერესებს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის ნაპოლეონის გენიალობის სულიერი ენერჯის გამოვლინება, რომელსაც სრულიად სხვადასხვა შედეგები შეიძლება მოყვეს. ამგვარი მიდგომა გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ფაქტების უბრალო თხრობა. „როცა ჩვენ წარსულში დანთქმულ და განვლილ სულობას ვითვალისწინებთ, ჩვენ დავიწყებთ ნაველეჯთ ამ სულობას, ჩვენ ვხდით და

ვაყენებთ მათ დროის გარეშე. ჩვენ ვამსხვრევთ დროისა და წარმავლობის ჩარჩოებს. ჩვენ ვხდით მას ჩვენი სულობის ნაწილად, ჩვენ ვამარადისებთ მას" [1]. ნაპოლეონისადმი კ. გამსახურდიას მიდგომა ისტორიულ-ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს და ეს დიდად განაპირობებს მისი მსჯელობის მნიშვნელობას, განსაზღვრავს მის ისტორიოგრაფიულ დატვირთვას.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ისტორია არის თანადროულობას მონყვეტილი მეცნიერება, რომელსაც მხოლოდ წარსულში მოხდარი მოვლენები აინტერესებს. XX საუკუნის გერმანელი ისტორიკოსი რ. ვიტრამი აღნიშნავს „ჩვენ ისტორიკოსები, დაკავებული ვართ უცნაური საქმით: ჩვენ ვცხოვრობთ მკედრების ქალაქში. ჩვენ გარშემორტყმული ვართ ჩრდილებით. ჩვენ თვალს ვადევნებთ განვილის" [7. 115]. სულ სხვაგვარად უდგება ამ თემას კონსტანტინე გამსახურდია. იგი ხაზს უსვამს წარსულსა და თანადროულობას შორის არსებულ გენეტიკურ კავშირს. აი რას ნერდა კ. გამსახურდია. „ანწყოს შევსება, ანწყოს სურათის დასრულება ყოველ საუკუნეში, ყოველ დროში წარსულიდან სულის სესხებით დანყებულა მუდამ. საოცარი დამოკიდებულება არსებობს მაინც ჩვენ ანწყოსა და ჩვენ წარსულს შორის" [1]. ამის საილუსტრაციოდ მას მოყავს გოეთეს, ნაპოლეონის და ნიცშეს მაგალითი. „მე მგონი არავის გაუკვირდება, რომ სწორედ დღეს, მე მიინდა გოეთეზე, ნაპოლეონზე და ნიცშეზე მოგითხროთ. წარსული დაუშრეტელი რეზერვია, რომლითაც ჩვენი თანამედროვეება უნდა შევავსოთ და დავასრულოთ. სხვა რაღათ უნდა ადამიანს ისტორია. ყველაფერი რაც ისტორიიდან რჩება, ეს გახლავთ ენტუზიაზმი, მე არ მნამს ტრადიციული გაგება ისტორიისა, ამიერიდან ისტორია ძველებურად ვერ დაინერება... ჩვენი სახელმძღვანელო ლოზუნგი უნდა იქნეს, თუ ჩვენ შევაბრუნებთ გოეთეს ფორმულას: ყოველი წარმავალი სვიმბოლოა მხოლოდ, ყოველივე ახდენილი სვიმბოლოა მხოლოდ!" [1].

„მე მიინდა მოგითხროთ ადამიანური გმირობისა და ინტელექტუალური არისტოკრატების შესახებ დღეს. ესენი გახლავთ: გოეთე, ნაპოლეონი, ნიცშე. სამი დიდი ევროპელი. ესენი გახლავთ სულიერი პეროლდები სულიერი არისტოკრატისმისა, ადამიანების კულტური დიდი და ძალოვანი ვეჭილენი... გოეთე და ნაპოლეონი! ორი დიდი სახელი. ორი დიდი

მილიონ უპიროვნებოს წინააღმდეგ მებრძოლი, ორი ხალხის მტერი და მეგობარი" [1].

საინტერესოა კ. გამსახურდიას თვალსაზრისით რა საერთო ჰქონდა გოეთეს და ნაპოლეონს. თითქოსდა მათ შორის ერთი შეხედვით არანაირი შეხების წერტილები არ არსებობდა, მაგრამ მოდით მოვუსმინოთ თავად ბ-ნ კონსტანტინეს. „რა აერთიანებს მათ (ე. ი. გოეთეს და ნაპოლეონს – მ. კ.) იმის გარდა, რომ ორივენი ერთ საუკუნეში ცხოვრობდნენ, ერთი რომ იყო ფრანგულ-იტალიური აქტიურ ენტუზიაზმის გამოვლინება, ხოლო მეორე, გერმანული სიბრძნის და სიღრმის. ერთი რომ იყო უდიდესი მახვილი უფლისა მინაზე ამონედილი, მეორე უდიდესი კალამი უფლისა, მიუნედომელისა და შუუც-ნობელის მხატვარი და ქადაგი. ის რაც ნაპოლეონსა და გოეტეს აერთიანებს ეს გახლავთ გმირობა – პეროსი. რადგან კალამი ისეთივე უტყუარი იარაღია გმირობის გამოსახატავად, როგორც მახვილი. სხვა რაღაა ისტორია ადამიანებისა, თუ არა და ისტორია გმირობისა, რომელიც გამოუჩენია კაცს, ღმერთთან, ბუნებასთან და თავისთან ბრძოლაში. ღმერთთან ბრძოლის პირველი პროტოტიპია ბიბლიური იაკობი, უკანასკნელი – ფრიდრიხ ნიცშე“ [1].

საუკუნეთა სიღრმეში ჩაკარგული სულიერი მწვერვალების განსახიერებად დიდ კონსტანტინეს მიაჩნდა სამი დიდი პიროვნება: გოეთე პოეზიაში, ნაპოლეონი პოლიტიკაში, ნიცშე ფილოსოფიაში. „ჩემი მოხსენებების საბოლოო მიზანი იქნება დაგანახოთ აბსოლუტური სული მწერლის მაგიდასთან, აბსოლუტური სული ცხენზე, აბსოლუტური სული პროფესორის კათედრასთან [1]. „მე-18-19 საუკუნეში ევროპაში ყველაფერი ნაპოლეონისათვის, ნაპოლეონის მეოხებით და ნაპოლეონზე იყო დამყარებული. ეს პოლიტიკაში და სახელმწიფოში... პოლიტიკა ნაპოლეონის პარიზიდან, – ამ ახალი მსოფლიო მეტროპოლიიდან იწყებოდა. პარიზი კარნახობდა ვენას, ბერლინს, პეტერბურგს და თვით ლონდონსაც. ვაიშარი სულიერ კულტურაში იგივე იყო, რაც პარიზი პოლიტიკაში და სახელმწიფოში“ [1].

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავდა, რომ გოეთე პოეტურობას დემონურობას უკავშირებდა, ხოლო ყველაზე დემონურ პიროვნებად მიიჩნევდა ნაპოლეონს და ბაირონს. „ნაპოლეონის

შემდეგ ბაირონი ახდენდა უდიდეს გავლენას გოეტზე. ექსცენ-ტრიული პოეტი-რაინდი მთელი მაშინდელი ევროპის ყურადღებას იქცევდა. ბაირონსაც ისეთივე დემონად სთვლიდა გოეტე, უკეთ ვთქვათ, დემონურ კავშირად, როგორც ნაპოლეონს" [8. გვ. 65]. „ნაპოლეონი შემოდის კონსტანტინე გამსახურდიას გმირთა ქვეყანაში, არა როგორც პირსისხლიანი იმპერატორი, არამედ როგორც განთავისუფლებული ადამიანური ენერჯის სიმბოლო" [2. გვ. 330].

კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი საინტერესოა და მას ამკარად ეტყობა დიდი მწერლის ხელი, რაც ამ თემაზე მის მსჯელობას ორიგინალურ იერს სძენს. ეს ძალიან კარგია და მისასალმებელია. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის პიროვნებისადმი ამგვარი მიდგომა ამკარად ეწინააღმდეგებოდა იმ კონცეფციას, რომელიც უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევის შედეგად, დამყარდა XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ნაპოლეონს უპირატესად განიხილავდნენ როგორც „ევროპულ ჩინგიზ-ხანს“. მნიშვნელოვანი ილად სწორედ აქ უნდა ვეძიოთ იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ 30-იან წლების მიწურულიდან კ. გამსახურდია თავს იკავებს გააგრძელოს თავის ტრილოგიაზე მუშაობა. მან კარგად დაინახა, რომ დაენერა ისე, როგორც მას სურდა, ამის უფლებას არ მისცემდნენ, ხოლო დაენერა ისე, როგორც მისგან ითხოვდნენ, ცხადია არ სურდა. ამიტომ დათმობა ამჯობინა და სავსებით მართალი იყო. აქ აისახა რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში დამყარდა ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატურა. კ. გამსახურდიას ისტორიულ-ფილოსოფიური კონცეფცია ამკარად ვერ თავსდება მარქსისტული იდეოლოგიის თეორიულ ჩარჩოებში. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიისათვის ყოველგვარი თვითმყოფადი, ორიგინალური სამიში იყო და მიუღებელია. კარგი მხოლოდ დოგმატური აზროვნებაა. რას იზამ „დრო იყო კოჭლი და ღირსება ნაკლად იყო გადაქცეული“. ცხადია, კონსტანტინე გამსახურდიასთვის ნაპოლეონის მოღვაწეობის მარქსისტულ-ლენინური ინტერპრეტაცია მისაღები ვერ იქნებოდა. განსხვავება პრინციპულ, კონცეპტუალურ ხასიათს ატარებდა, რაც რამე კონსენსუსს ფაქტობრივად გამორიცხავდა.

კონსტანტინე გამსახურდიას მიდგომა ნაპოლეონისადმი შემოქმედებითა და მის კონცეფციას გააჩნდა ძლიერი და სუსტი მხარეები.

კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნაპოლეონის მაღალი შეფასება, უეჭველად, შეიცავს რაციონალურ მარცვალს და სავსებით მართლზომიერია, რაც მისი მსჯელობის პოზიტიურ მხარეს ნარმოადგენს.

პირველ ყოვლისა, ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონისადმი თაყვანისცემას არასოდეს არ მიყავს ნგრევის და ძალადობის აპოლოგიამდე, რასაც მას ხშირად საყვედურობდნენ 30-იან წლებში პოლიტიკური ოპონენტები. ეს მოსაზრება მკვეთრად გამოკვეთილი კონიუნქტურული ხასიათით გამოიჩნეოდა და არავითარი ემცინიერული საფუძველი არ გააჩნია.

კონსტანტინე გამსახურდიას ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის გმირული ეპოპეის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა. ნაპოლეონის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ მას შეეძლო ფართო საზოგადოებისთვის პოზიტივის შეთავაზება. ფრიად სიმპტომატური უნდა იყოს, რომ მან დირექტორია დაუყოვნებლივ შეცვალა კონსულობის რეჟიმით. ამით ის ფრანგ ხალხს ფაქტობრივად თავაზობდა ძველის ალტერნატივას. ნაპოლეონის დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ ის არა მარტო ანგრევდა ძველ საზოგადოებას, არამედ გთავაზობდა პოზიტივს და ამით ფაქტობრივად იწყებდა ახლის შენებას. ნაპოლეონის მმართველობა წარმოადგენდა ძველი რეჟიმის და რევოლუციის სინთეზს, რომელიც იყო იმ ექსტრემალური სიტუაციიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი, რომელსაც ჰქონდა თავისი ღირსებები და ნაკლი. როიალისტი პუბლიცისტი ლა რივაროლი აღნიშნავდა, რომ „ყველა რევოლუცია მთავრდება ხმლით“ რა სიახლეებს სთავაზობდა ნაპოლეონი საფრანგეთის საზოგადოებას? ნაპოლეონი საზოგადოების წინაშე წარსდგა პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა პოლიტიკურ კომპრომისს ფართო ეროვნულ ნიადაგზე. ნაპოლეონი ცდილობს გამოძებნოს ოქროს შუალედი ძველ რეჟიმს და რევოლუციას შორის. იგი უარს ამბობს ორივე უკიდურესობაზე და რაღაც საშუალებდო გზას ირჩევს. ეს არის თანხმობის პოლიტიკა. სწორედ აქედან აღმოცენდა „ახალი

საფრანგეთი". როგორ აპირებდა ნაპოლეონი ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას? მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ამ კურსის პრაქტიკული განხორციელება ადვილი საქმე არ იქნებოდა. მისი წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ნაპოლეონის სწორმა საკადრო პოლიტიკამ, რომელიც ძირითადად ნიჭიერი ადამიანების დანიინაურებაზე იყო ორიენტირებული: ლაზარ კარნო, შარლ ტალეირანი, ჟოზეფ ფუშე, გოდენი. ამ პოლიტიკის შედეგია სტაბილიზაცია, რაც ნაპოლეონის რეჟიმის მთავარი მიღწევა იყო. ნაპოლეონმა დაგმოც რევოლუციისათვის ნიშნული ზედმეტი ექსცესები, ექსტრემიზმი, მაგრამ შეინარჩუნა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი და ცდილობდა მის გავრცელებას, დანერგვას ევროპის ქვეყნებში. თავდაპირველად ნაპოლეონის ბრწყინვალე სამხედრო წარმატებები, სწორედ ამით იყო გამოწვეული [4. გვ. 342-345. 9. გვ. 114-115]. იქნებ ამით აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონში ხედავდა „განთავისუფლებული ადამიანური ენერჯის სიმბოლოს“?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის გმირული ეპოპეა კონსტანტინე გამსახურდიას იტაცებდა, იზიდავდა მისი პეროიკულ-რომანტიკული სულისკვეთებით. ნაპოლეონში ის ხედავდა საუკუნის დიდ სულს და ამიტომ უაღრესად დიდ პატივს მიაგებდა მას. მისთვის ნაპოლეონი მეომრის გმირული სულის გამოვლინებას წარმოადგენს, რომლისთვისაც უცხო არაა დევიზი - ან ყველაფერი ან არაფერი. ის კარგად ხედავს, რომ ნაპოლეონს აქვს რაინდული სული, უტეხი და ჯიუტი ხასიათი, არაფრად არ ავდებს პირად საფრთხეს, სიკვდილს დაეძებს, გაიხსენეთ ლოდი, არკოლე, რივოლი. რა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდიამ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის. სამხედრო ისტორიკოსი ჟომინი აღნიშნავდა „ბონაპარტმა პირველი ლაშქრობის პირველი დღეებიდანვე გამოიჩინა კადნიერებადღე დაყვანილი საოცარი გამბედაობა და პირადი საფრთხის არაფრად ჩაგდება“ [10. გვ. 38]. ის კარგად ხედავს, რომ ნაპოლეონის პეროიკულ სულს ასაზრდოებდა ფიზიკური ენერჯია, გამძლეობა, უდიდესი შრომისმოყვარეობა. გმირობის ნყურვილი მისი ნორმალური სურვილია. ნაპოლეონი თავის დაუცხრომელ ხასიათს ომებში ავლენდა. ალბათ, არ შეეცდებოდა თუ ვიტყვი, რომ კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისით ნაპოლეონი,

დავით აღმაშენებელთან ერთად, წარმოადგენდა ფიზიკური ძალის კულტის და მაღალი სულიერი კულტურის, დიდი ერუდიციის სინთეზის საუკეთესო ნიმუშს, სიმბოლოს. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონის განადიდება კ გამასახურდიას არასოდეს არ მიყავს ძალის პოლიტიკის კულტამდე.

კონსტანტინე გამასახურდიას ესეში ნაპოლეონის განადიდება ცალმხრივ ხასიათს იღებს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და ჩვენი აზრით მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ დიდი მწერალი უმთავრესად „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ იყო ორიენტირებული. ეს ადვილი გასაგებიცაა, ნაპოლეონის ტრიუმფალურ სამხედრო წარმატებებს მართლაც თან ახლდა რალაც რომანტიკული შარში და თვალისმომჭრელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მან ნაპოლეონის არაერთ გამოჩენილ ბიოგრაფს მოჭრა თვალა (ადოლფ ტიერი, ალბერ სორელი, ალბერ ვანდალი, ლუი მადლენი, ჟორჟ ლეფევერი, ედუარდ დრიო, ჟომინი, კარლკლაუზ ვეგიცი, ტომას კარლაილი, მაქს ლენცი, ლეოპოლ ფონ რანკე, ჰანს დელბრიუკი, ემილ ლუდვიგი, ანდრე მორუა, ალბერ სობული, ანდრე კასტელო, დევიდ ჩანდლერი, ალექსანდრე ტრაჩევსკი, ევგენი ტარლე, ალბერტ მანფრედი), მაგრამ საქმე ისაა, რომ ნაპოლეონის დამსახურება ამით არ ამოიწურებოდა. აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე ნაპოლეონისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ნაპოლეონი არ იყო მხოლოდ დამპყრობელი, დიქტატორი, მონსტრი, როგორც მას ხშირად ხატავდნენ მისი ოპონენტები (ჟიულ მიშლე, ედგარ კინე, ჟან შარასი, პიერ ლანფრე, ემე მალეარდი, ედვარდ რაძინსკი და სხვები). ამავე დროს ნაპოლეონი იყო თავისი ეპოქის თვალსაჩინო რეფორმატორი და კანონმდებელი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში თავის საქმიანობაზე საკმაოდ მაღალი აზრის იყო თვითონ ნაპოლეონი და მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი ბრძოლა... ის რაც იცოცხლებს მარად ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“ [11. გვ. 123]. შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთ-ნაირი გენია ჩადო, როგორც სამხედრო ხელოვნებაში, ისე მმართველობაში“. ამ თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს „ნაპოლეო-

ნის კოდექსები", რომელიც 1804 წელს მიიღეს. მას მკვეთრად გამოკვეთილი პროგრესული ელფერი დაკრავს და ძირითადად რევოლუციის სოციალური მონაპოვარის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი. ამიტომ საბჭოთა სამართალმცოდნეების გულგრილი დამოკიდებულება ნაპოლეონის კანონმემოქმედებითი საქმიანობისადმი დამაჯერებელი არ ჩანს, მოძველებულია და უკვე ყველი გაუვიდა [12. გვ. 282-284]. კანონთა ეს კრებული, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავდა კერძო საკუთრების თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფას და თავისუფალი მენარმოების განმტკიცებას. ფაქტობრივად კოდექსები წარმოადგენდა რევოლუციის შედეგად საშუალო ფენის მიერ მოპოვებული წარმატების კონსტიტუციური კარანტიას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახალე იყო ის, რომ კოდექსების მიხედვით, სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი იყო. რა თქმა უნდა, ნაპოლეონის კანონმდებლობა უნაკლო არ ყოფილა (გაიხსენეთ პრესის კანონი), მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პოზიტივი აშკარად ჭარბობდა ნეგატივის [13]. ძნელია დაეთანხმობთ XIX საუკუნის გერმანელ ისტორიკოსს ერნსტ ენგელბერგს, თითქოსდა „ნაპოლეონი იყო რევოლუციის არადემოკრატიული მხარის წარმომადგენელი“. ამგვარი მიდგომა ცალმხრივია და ვფიქრობთ, ამუქებს საქმის ვითარებას. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ნაპოლეონის მოღვაწეობის ეს მხარე, „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“, შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად, უნდა პქონოდა გაცნობიერებული. როგორც ჩანს, მას ეს საკითხი გაცილებით უფრო ნაკლებად იზიდავდა, აინტერესებდა, რაც, ჩვენი აზრით, მისი კონცეფციის მცირე მინუსად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ ფაქტორის წინ წამოწევა უფრო მეტად გაამძიდრებდა ნაპოლეონის პოროვნების პალიტრას და მის დამსახურებაზე კიდევ უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს კონსტანტინე გამსახურდია ვერ ამჩნევდა ნაპოლეონის უარყოფით მხარეებს, მის ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელიც მსოფლიო ბატონობას ისახავდა მიზნად, მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამას დიდი მწერალი არასოდეს არ მიყავს ნაპოლეონის დაგმობამდე და იგი ყოველთვის

აღფრთოვანებული რჩება კორსიკელის საოცარი გმირობით. ნაპოლეონის განდიდება ამგვარი მიდგომის ლოგიკური შედეგია. ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით სწორია, მაგრამ მისი იდეალოზაცია, ცხადია არ ღირს, ზედმეტია. არ უნდა დაგვავინყდეს, თუ რა ფასად დაუჯდა ეს ბრწყინვალე გამარჯვებები ფრანგ ხალხს. გაუთავებელი ომების შედეგად ქვეყანა ლამის სისხლისგან დაიცალა, მისი გენოფონდი თითქმის განახევრდა. ამაში ნაპოლეონის ოპონენტები სავსებით მართალი არიან, მაგრამ ისინი სულ სხვა უკიდურესობაში ვარდებიან და სათანადოდ არ ითვალისწინებენ პოზიტივს. მათი ტენდენციურობაც, სწორედ, ამაში მდგომარეობს. ფრიად სიმპტომატურია, რომ როგორც კი ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო და სოციალურმა ასპექტებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა, მისი დამარცხება გარდაუვალი შეიქმნა.

დასასრულს უნდა შევეხოთ ერთ საინტერესო თემას. კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება ნაპოლეონის მარშლებისადმი. დიდი მწერალი ნაპოლეონის მარშლების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას ხომ არ იჩენდა? „მსოფლიო ომმა (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი - მ. კ.) არც ერთი ნაპოლეონი არ მოგვცა, მაგრამ მრავალი უფრო დიდი გენერალი, ვიდრე ნეი და მაკდონალდი“ [1]. ასეთი სკეპტიციზმი უეჭველად შეიცავს ქვამარიტების მარცვალს. შესაძლოა, ისინი ნაპოლეონთან მიმართებაში მართლაც დაბლა იდგნენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ არავითარი სამხედრო ტალანტი არ გააჩნდათ. ეს ასე არაა. ბევრმა მათგანმა დამოუკიდებლადაც კარგად გამოამჟღავნა თავი. ფურდანმა - ფლეროუსთან 1794 წელს, მასენამ - 1799 წელს შვეიცარიაში, კლემენსმა - 1799 წელს ეგვიპტეში, დეზემ - 1800 წელს მარენგოსთან, დავუმ - 1806 წელს აუერშტატთან, სიუშემ - 1809 და 1814 წელს ესპანეთში, ნეიმ - 1812 წელს მოსკოვთან ლანმა, ყველგან და ყოველთვის. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ნაპოლეონის მარშალი - მიურატი იყო ნეაპოლის მეფე, ხოლო მეორე მარშალი, ბერნადოტი გახდა შვედეთის მეფე. საინტერესოა, რომ არც ერთი და არც მეორე ურიგო მონარქი არ ყოფილა. რესტავრაციის ეპოქაში ნაპოლეონის მარშლებს საკმაოდ მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტები ეკავათ [14. გვ. 168].

შეიძლება ითქვას, რომ არც კონკრეტულად ნეის და მაკ-დონალდის მიმართ ჩანს კონსტანტინე გამსახურდიას სკეპსი-სი მთლად დამაჯერებელი. ნაპოლეონი საკმაოდ მაღალი აზრის იყო ნეიზე და მას ჟან ლანის დალუპვის შემდეგ, „უშამაცენის უშამაცენსთა შორის“ უწოდებდა, ხოლო მარშალი მაკდონალდი რუსტაგარაციის დროს იყო სახელმწიფო მდივანი მათ გაიარეს გრძელი და ურთულესი გზა ჯარისკაციდან მარშალამდე და ამას მიაღწიეს თავიანთი პირადი თვისებების, პირველ რიგში, სიამაყის წყალობით. საკითხისადმი ასეთი სკეპტიკური დამოკიდებულება შემთხვევითი არ უნდა იყოს და მასში, პირველ რიგში, იმ პერიოდის ისტორიული სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის გამოძახილს ვხედავთ [15. გვ. 191].

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდია ესეუი „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცმე“ დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს და მასში ხედავს საუკუნის სულის განსახიერებას. ამგვარი მიდგომა, ცხადაა, შემთხვევითი არ იყო და მასში, პირველ ყოვლისა, კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ძლიერი და დიდი პიროვნების კულტის გამოძახილი უნდა დაეინახოთ, რომელსაც ნიცმეს ფილოსოფია ასაზრდოვებდა. ამავე დროს ნაპოლეონის განდიდებას კონკრეტული მოტივები ედო საფუძვლად. მის ერთერთ ამოსავალ ნერტილად „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ კ. გამსახურდიას ორიენტირება მიგვაჩნია. შესაძლოა, ამან ნაპოლეონის განდიდებას ერთგვარად ცალმხრივი ხასიათი მისცა და ჩრდილში მოექცა ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ეს არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია, ფასი სულია. თანამედროვე გერმანელი მკვლევარის ებერჰარდ ვაისის თქმით, „ნაპოლეონის კოდექსები საუკეთესო საბუთია იმისა, რომ ის არ იყო მხოლოდ დამპყრობელი და დიქტატორი, არამედ იყო სახელმწიფო მოღვაწე, რომლის საქმეებმა მასზე დიდხანს იცოცხლეს“ [16. გვ. 421–422. გვ. 465]. შესაძლოა, ეს მსჯელობა ნაპოლეონის აპოთეოზად ჟღერდეს, მაგრამ იგი, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. ბონაპარტიზმის არსი მდგომარეობდა შემდგომში: პირველ ყოვლისა მას საფუძვლად ედო საზოგადოებრივი ნესრიგის იდეა და ორიენტირებული იყო ზომიერ სოციალურ რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალულია ლიბერალური სულისკვეთებით. სამხედრო დიდე-

ბა, ევროპის ხალხების გაერთიანება, რა თქმა უნდა საფრანგეთის მეთაურობით. ნაპოლეონის მცდელობა, შეექმნა ახალი გლობალური იმპერია, ნარმატებულად დასრულდა.

3. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“.<sup>1</sup> ნაპოლეონის პიროვნებით კონსტანტინე გამსახურდიას გატაცებამ, ალტაცებამ, კიდევ უფრო ძალუმიად გაძალა ფრთები მის უკვდავ მხატვრულ შედეგებში. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, აღნიშნის ლირსია კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“. ის საგანგებოდ ეხება კორსიკელის რთულ და საინტერესო პიროვნებას.

ყურადღებას იპყრობს კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის ბედი. ის დაიწერა 1920 წელს ბერლინში, მაგრამ თანდათან, დროთა განმავლობაში კ. გამსახურდიას ეს ნოველა ჩრდილში მოექცა და ფართო საზოგადოება მას შედარებით ნაკლებად იცნობდა. მისასალმებელი იყო, რომ 1992 წელს გამოვიდა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები. მათ შორის, ცხადია, მისი ნოველა „ნაპოლეონი“. ამით, ფაქტობრივად, ეს ნოველა დავიწყებას გადაურჩა [17. გვ. 43–44].

ეს თემა მჭიდროდ უკავშირდება ორ საინტერესო საკითხს: ნაპოლეონის სახე ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში და ნაპოლეონის მოღვაწეობით დაინტერესება საქართველოში.

კონსტანტინე გამსახურდიას ეს პატარა ნოველა, ნაპოლეონზე მის სხვა ნაწერებთან ერთად, ქართული ნაპოლეონიანას ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ [18]. ამ საკითხის გამორკვევა საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი. კონსტანტინე გამსახურდიამ ლირსულად გააგრძელა ქართული რომანტიზმის კორიფის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ დაწყებული საქმე და ნაპოლეონს პატარა მოცულობის ნოველა მიუძღვნა.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის ლიტერატურულ ღირსებებზე საუბარი აშკარად ცილდება ჩვენი კომპეტენციის

---

1. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მაღლობა მოვახსენოთ თბილისის უნივერსიტეტის პუბლიკარული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს დიმიტრი სილაქაძეს, რომელმაც მოგვანოდა დიდი კონსტანტინეს ეს ნოველა.

ფარგლებს და ფილოლოგების საქმეა. შევეცდებით გამოვარკვიოთ დიდი ქართველი მწერლის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი. ისტორიულ რაკურსში ეს თემა შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი და ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით მასზე საგანგებოდ გაგვემახვილებინა ყურადღება.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის მცირე მოცულობა საშუალებას გვაძლევს ის აქ მთლიანად მოვიტანოთ:

„ნახევრად ღია კარებში იდგა იმპერატორი. მას სისხლივით წითელი პორფირი ეცვა. ხელში ვარდები, სისხლივით წითელი, იკივლეს ვარდებმა ჩემს დანახვაზე, როგორც ჩემმა ათასმა საყვარელმა, რომელთაც არასოდეს უნახავართ, იკივლეს ვარდებმა ჩემს დანახვაზე.

ვინ მოგცათ სირ ეგ ვარდები? ვუთხარი ბონოპარტეს. ვინ მოგცა ამ შუა ზამთარში ვარდები? როცა ყინავს და მონაზვნებივით შავი ყვავები დასტრიალებენ ქალაქს.

ეს ვარდები ამბობდა იმპერატორი, ჩემმა საყვარლებმა მომიტანეს, სთქვა და კარი მთლიანად გააღო. ახლა შესმოდა თუ როგორ ხმაურობდნენ მის პალატებში მისი ტიტველი საყვარლები.

ეს ერთი... მიმითითა მან ერთ ფერმკრთალ ვარდზე. ეს ყველაზე უკეთესი იყო, ხომ იცი რჩეულები ადრე კვდებიან. ეს ვარდიც მოკვდება მალე.

მე ბრაზით ავენთე, გამოვგლიჯე ხელიდან თაიგული იმპერატორს, გამოვიღე ის ვარდი და სახეში შემოვკარი.

– გრცხვენოდეს სირ, გრცხვენოდეს, რომ რჩეულთა სიკვდილი შენც გჯერა.

– ჯერ მე კაცი არ მინახავს, რომელსაც სიკვდილი არ სჯეროდეს. დიდება შენ, რომელსაც სიკვდილის არ გჯერა. მან მოიხსნა პორფირი და გადამაცვა. მან მოიხსნა გვირგვინი და თავზე დამადგა. დიდება იმ კაცს, რომელსაც სიკვდილი არ სწამს. მე კიდევ შემოვკარი ნაპოლეონს მკვდარი ვარდი ცხვირპირში. გრცხვენოდეს სირ, გრცხვენოდეს! ნაპოლეონი გაწუმდა თავი ძირს დაჰხარა.

– აკი ამბობდი სირ „ჯერ ტყვია არ ჩამოსხმულა, რომელიც მომკლავდესო“.

აკი ატყუებდი შენს კარისკაცებს „მე სიკვდილის არ მეშინიაო“...

ჰო, მაგრამ – ნაიბუტბუტა – კორსიკელმა და სიტყვა გაუნ-  
ყდა პირში.

ჰო, მაგრამ ... შენ არ იყავი ბერუზინაზე რომ მოჰკურცხლე,  
შენ არ იყავი შავ ვატერლოდან, რომ გარბოდი დიაცივით...

შენ დიდო კეისარო შენ შენი ახლა მესამეჯერ მივუტანე იმ-  
პერატორს მკვდარი ვარდი ცხვირთან, მინდოდა კიდევ შე-  
მომეკრა, მაგრამ შემეცოდა. შემეცოდა სიკვდილისაგან დაში-  
ნებული ლმერთკაცი" [17. გვ. 43–44].

პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ნამოიჭრება ტრანსკრიფ-  
ციის საკითხი. ნაპოლეონ ბონაპარტე თუ ბონოპარტე, როგორც  
ამას წერს ბ–ნი კონსტანტინე გამსახურდია ანდაც, შესაძლოა, ეს  
იყოს ჩვეულებრივი კორექტურული შეცდომა და ამ თემაზე კა-  
მათი არც კი ლირდეს. საერთოდ, ტრანსკრიფციის საკითხი საინ-  
ტერესოა. ცნობილია, რომ თავდაპირველად ნაპოლეონი თავის  
გვარს წერდა კორსიკული ტრანსკრიფციით ნაპოლეონე დი  
ბუონაპარტე, რაც, პირველ ყოვლისა, მისი პატრიოტული  
სულისკვეთების გამოვლინებას ნარმოადგენდა. მოგვიანებით  
დამკვიდრდა ფრანგული ტრანსკრიფცია ნაპოლეონ ბონაპარტე  
[19]. სხვათა შორის, სწორედ ასე წერდა იგი ცოტა მოგვიანებით  
თავის ესეში „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცშე" [1].

კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონის ცხოვრების და  
მოღვაწეობის შესახებ გაცილებით უფრო კარგად იყო ინ-  
ფორმირებული, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს  
მისი ნოველიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანიაში ყოფნის  
დროს მას საშუალება ექნებოდა გაცნობოდა ნაპოლეონზე არ-  
სებულ უზარმაზარ ლიტერატურას. კონკრეტულად რა ნიგნებს  
იცნობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი, ნყაროების სიმ-  
ნირის გამო, ძნელი სათქმელია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ  
ეს ყოფილიყო გერვინიუსის, შლოსერის, პოისერის, რანკეს,  
ზიბელის, ტრაიჩკეს, ფურნიეს, ლენცის, შერინგის, კირჰაინე-  
ნის შრომები, რომელიც გერმანიაში ყოფნის დროს მისთვის  
სავსებით ხელმისაწვდომი იქნებოდა. რა თქმა უნდა, ის იცნობ-  
და სხვა ლიტერატურასაც, რომლის შესახებაც, უკვე აღინიშნუ-  
ლი მიზეზის გამო, ინფორმაციას არ ვფლობთ.

კონსტანტინე გამსახურდია არ ისახავს მიზნად ნაპოლეო-  
ნის ცხოვრების და მოღვაწეობის ფაქტობრივი, ემპირული ის-  
ტორიის გადმოცემას, თუმცა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ

იგი ამ მხარეს ძალიან კარგად იცნობს. იცოდა როგორც მისი წარმატებები, ისე წარუმატებლობები. იგი ნაპოლეონს კარგად შეახსენებს, ბერეზინას და ვატერლოს, რომლიც გამოჩენილი ფრანგი მხედართმთავრის ბიოგრაფიის საუკეთესო ფურცელს არ წარმოადგენდა. მას სულ სხვა რამ აინტერესებს. ის საკითხს უფრო ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ჭრილში უყურებს, რომლის მთავარი ამოსავალია ინტუიცია. მის ყურადღების ცენტრში დგას მარადიული საკითხი პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობა. ასეთი მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მასში ექსპრესიონიზმით გატაცების ლოგიკური შედეგი შეიძლება დაეინახოთ ამგვარი ხედვა საინტერესოა და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კ. გამსახურდიას ნოველის ლირებულებას. ასე სერიოზულად ჩაღრმავებას კონსტანტინე გამსახურდია ვერაფრით ვერ შეძლებდა, ზედმინუნით კარგად რომ არ სცოდნოდა იმ ეპოქის ისტორია, ემპირიული, ფაქტობრივი მასალა.

ერთი სიტყვით, კონსტანტინე გამსახურდიას „ნაპოლეონი“ მისი ნოველების საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი არ ჩანს და სავსებით მიესადაგება მათ ესთეტიკურ ფილოსოფიურ მრწამსს. ეს არის ამ თემატიკის, პრობლემატიკის გაგრძელება ისტორიულ ფონზე.

„ნაპოლეონი“ ტიპური ექსპრესიონისტული ნოველაა. ავტორი რეალურსა და ირეალურის ზღურბლზე ტრიალებს და როგორმე ცდილობს მათ შერწყმას, შეხამებას. მას მხატვრულ ნაწარმოებში მითის ელემენტის შემოტანით სურს სინამდვილის გამოთება. ორივე ეს ასპექტი – რეალური და მითოლოგიური კ გამსახურდიას ნოველაში ფართო საექტრიითაა წარმოდგენილი, ძალუმად იგრძნობა და მწერლის ჩანაფიქრის ხორცშესხმას ისახავს მიზნად [20]. აქ კარგად ჩანს კონსტანტინე გამსახურდიასათვის დამახასიათებელი იმპრესიონისტულ-ექსპრესიონისტული დუალიზმი.

შესაძლოა, თავისებური ფორმით, მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ნაპოლეონი“ შეიმჩნევა წარსულის რომანტიკული გაიდულება და სინამდვილის გამოთება. საქმე ისაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარსულს განასახიერებს დიდი პიროვნების სახით, ხოლო ირეალურ სამყაროს წარმოგვიდგენს იმპერატორთან ავტორის შეხვედრა.

რა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა „ნაპოლეონი“ ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ის ძლიერი პიროვნებისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დიდი ინტერესის კიდევ ერთ მკაფიო გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

უწინარესად ხაზს გავეუსვამთ იმას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ თავის ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის კანდიდატი ზედმინევენით ზუსტად, სწორად შეარჩია. ამ თვალსაზრისით ნაპოლეონ ბონაპარტე მართლაც ძალიან კარგი პრეტენდენტი ჩანს.

კონსტანტინე გამსახურდია კიდევ ერთხელ მიაგებს განსაკუთრებულ პატივს ნაპოლეონს და მას თავისი ნოველის ცენტრალურ ფიგურად აქცევს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი ნოველის მთავარ პერსონაჟად ფრანგი იმპერატორს არ აირჩევდა. ამ შემთხვევაში მას საკმაოდ ფართო არჩევანი ჰქონდა და ნაპოლეონის ჩანაცვლება, მისთვის უფრო მისაღები პიროვნებით, სულ ადვილად შეიძლებოდა.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში ნამოჭრილია ერთი ფრიად სერიოზული საკითხი. გამოჩენილი პიროვნება, სიკვდილი, უკვდავება. კონსტანტინე გამსახურდია სავსებით მართალია იმაში, რომ დიდ პიროვნებას სიკვდილი არ უწერია. მისი საქმენი საგმირონი მარად უკვდავი იქნება. ამ იდეის საილუსტრაციოდ ნაპოლეონი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონზე მაღალი აზრისაა. ნოველის დასასრულს ნაპოლეონის განდიდებაზე ზენიტს მიაღწია და იგი ნაპოლეონისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულების თავისებურ რეზიუმედ გვევლინება. მიუხედავად ყველაფრისა, ნაპოლეონი ღმერთკაცად რჩება. თვით საკითხის ასეთი დასმა – ღმერთკაცი, სიკვდილი, უკვდავება ფრიად საინტერესოა და, ჩვენი აზრით, ნაპოლეონის აპოთეოზად შეიძლება მივიჩნიოთ.

კონსტანტინე გამსახურდიას ნოველის დასასრული საგულისხმოა და ორმაგი დატვირთვის მატარებელია. ერთის მხრივ ჩვენს წინაშეა სიკვდილის მიერ დაშინებული ჩვეულებრივი მინიერი არსება, ხოლო მეორე მხრივ ავტორს სურს ხაზი გაუსვას, რომ ღმერთკაცს სიკვდილი ვერაფერს დააკლებს. მისი ხვედრი ხომ უკვდავებაა. ორი ტენდენცია – რეალური და ირე-

ალური სამყარო, წარსულის რომანტიზაცია და სინამდვილის გამოთება კვლავ კვეთს ერთმანეთს და ნოველის დასასრულს თავის კულმინაციას, პიკს აღწევს.

ქ. გამსახურდიას ნოველის „ნაპოლეონი“ მთავარი ლაიტმოტივია ძლიერი პიროვნების კულტი, რაც ასე მახასიათებელი და ნიშნულია მთელი მისი შემოქმედებისათვის. ნაპოლეონს ის აღიქვამს როგორც დემონურ პიროვნებას, რომელიც, მწერლის ღრმა რწმენით, ღმერთსა და გმირს შორის დგას. ქ. გამსახურდია ძალიან აზღალებს ნაპოლეონს. ქ. გამსახურდიას მიერ ნაპოლეონის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს და სწორია, მაგრამ ნაპოლეონის გაღმერთება, ცაში აყვანა, ცხადია, არ ღირს, ცოტა ზედმეტი და სუბიექტურია. მიუხედავად ამისა, სწორი არ იქნება ის ნაპოლეონის ბრმა აპოლოგეტად, თაყვანისმცემლად მივიჩნიოთ. მას კარგად ახსოვს ნაპოლეონის წარმატებები და მარცხიც. შემთხვევითი არ უნდა იყოს რომ იგი იმპერატორს შეახსენებს 1812 წელს ბერეზინას და 1815 წელს ვატერლოს.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში „ნაპოლეონი“ კიდევ ერთხელ გაიფლავა ძლიერი პიროვნების კულტმა. ქ. გამსახურდიას მიერ ნაპოლეონის განდიდება ამის ლოგიკური შედეგი უნდა იყოს. თუ ესეში ნაპოლეონის განდიდება უფრო ისტორიულ-ფილოსოფიური ფორმითაა მოცემული, ნოველაში ის უკვე მხატვრულ-ფილოსოფიურ ფორმას იძენს. ორივე შემთხვევაში იგი, სხვადასხვა ფორმით, დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს.

4. ნაპოლეონი და სტალინი. დასასრულს, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შევეხოთ ერთ ფრიად საინტერესო და აქტუალურ საკითხს, რომელსაც ნამოჭრის დიდი კონსტანტინე გამსახურდია. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ნაპოლეონის და სტალინის შედარება, რომელიც გვხვდება მის მხატვრულ თხზულებებში, პირველ რიგში კი მის უკვე შედეგში „მთავარის მოტაცება“.

უწინარესად ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ კონსტანტინე გამსახურდია ძალიან მაღალი აზრის იყო სტალინზე და ასე განსაჯეთ მას გაიუს იულიუს კეისარზე, პეტრე დიდზე და ნაპოლეონზე მაღლა აყენებდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ერთ-ერთი მთავარი გმირის, თარამ ემხვარის

პოზიცია, რომელიც ამ შემთხვევაში ავტორის შეხედულებების რუპორად გვევლინება. თარაშ ემზეარს შესანიშნავად ესმის, რომ ყველა უბედურება, რომელიც მას დაატყდა თავს, დაენგრა ოჯახი, იძულებული იყო მიეტოვებინა სამშობლო და უცხოეთში გადახვენილიყო, სამშობლოში დაბრუნებული დააპატიმრეს, არ მიიღეს მისი ნაშრომი და ბოლოს, რაც მთავარია, მის სამშობლოს – საქართველოს ნაართვეს თავისუფლება, დამოუკიდებლობა. ფაქტობრივად, როგორც კლასობრივ მტერს მოუსპეს მომავლის პერსპექტივა, სწორედ სტალინის დამსახურებაა და ის სტალინზე მაინც ძალიან მაღალი აზრისაა. თარაში დიდ პატივს მიაგებს ძლიერებას [21. გვ. 13]. საკითხისადმი კონსტანტინე გამსახურდიას ამგვარი მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურის გამოვლინებას არ წარმოადგენდა. მისი გასაღები კონსტანტინე გამსახურდიას მსოფლმხედველობაში ძვეს და მის შემოქმედებაში ძლიერი პიროვნების კულტის კიდევ ერთი გამოვლინებაა. „ძლიერი და დიდი პიროვნების პრობლემა მუდამ აღელვებდა. ესეც იყო ერთი მიზეზი, რომ მიმართა სტალინის ცხოვრების თემას და არა სხვა მასალას. ვინ იცის, იქნებ ამით ერთგვარ ანალოგიასაც ხედავდა გოეთე–ნაპოლეონის პარადიგმასთან“ [2. 36].

რამდენად მართლზომიერი იქნებოდა ნაპოლეონის და სტალინის შედარება? მიუხედავად მათ შორის არსებული გარეგნული მსგავსებისა, სტალინის ნაპოლეონთან შედარება და მით უმეტეს მასზე მაღლა დაყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათოდ მიგვაჩნია.

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს მათ შორის შეხების ნერტილების არსებობას. ორივე იყო ძლიერი პიროვნება, ერთ-პიროვნული მმართველი, დიქტატორი, მაგრამ ყველა დიქტატორი ერთ სიბრტყეზე არ შეიძლება მოვათავსოთ. მათ შორისაც არის განსხვავება. საჭიროა საკითხისადმი კონკრეტული მიდგომა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ მივიღებთ. ნაპოლეონს და სტალინს შორის მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ნაპოლეონს შეეძლო არა მხოლოდ ნგრევა, არამედ შენება. ამ შემთხვევაში ნგრევა შეიცავს კონსტრუქტულ ელემენტს და ეს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. ამას დიდი მნიშ-

ვენელობა აქვს. ნაპოლეონმა შექმნა სახელმწიფოს მართვის ერთი მოდელი, რომელსაც აქვს თავისი ღირსებები და ნაკლი. „რევოლუცია არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა“. ნაპოლეონის ეპოქა საფრანგეთის რევოლუციის ლოგიკური გაგრძელებაა „ყველა რევოლუცია მთავრდება ხმლით“. ვ. ლენინის და ი. სტალინის ექსპერიმენტის მიმართ ამას ვერ ვიტყვით. სახეზეა აშკარა რეგრესი, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამერიკელმა ისტორიკოსმა ა. გლინსონმა ვ. ლენინის 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება შეაფასა, არა ინგლისის და საფრანგეთის დიდ რევოლუციებს, რაც ძალიან უყვარდა ი. სტალინს, არამედ, XVII საუკუნის დასაწყისში რუსეთში ფეოდალურ არეულობას, რომელსაც არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. ვ. ლენინის და ი. სტალინის ექსპერიმენტმა სრული ფიასკო განიცადა და მათი პირმშო საბჭოთა კავშირი არასიცოცხლისუნარიანი, ეფემერული სახელმწიფო აღმოჩნდა და არსებობა შეწყვიტა. ისტორიამ მას უღმობელი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი გამოუტანა. როგორც ხედავთ, განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია და ამის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, მართებული არ იქნებოდა.

მიუხედავად ნაპოლეონის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომებისა, მისი მმართველობის ერთპიროვნული ხასიათისა, უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის ეპოქაში ნითელი მაინც ჭარბობდა შავს, პოზიტივი დომინირებს ნეგატივზე. ამიტომ ნაპოლეონი პროგრესული ცეზარიზმის ერთ-ერთ წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ, რასაც ვერ ვიტყვით სტალინზე. მათ შორის არსებული პრინციპული განსხვავება ამის ლოგიკური შედეგია.

დავიწყებ იმით, რომ ორივე მათგანი იბრძოდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. ნაპოლეონი ებრძოდა ბურჰოთა აბსოლუტურ მონარქიას, სტალინი – მეფის თვითმპყრობელობას რუსეთში. საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში მოხდა ძველი რეჟიმის ჩანაცვლება ახალი საზოგადოებით. დაიბადა ახალი საფრანგეთი. ამაში ნაპოლეონს დიდი წვლილი მიუძღვის. აქ ნგრევა შეიცავს კონსტრუქციულ ელემენტს, ახლის შენების სახით. ბოლშევიკებმა, ვ. ლენინმა და ი. სტალინმა დაანგრირეს თვითმპყრობელური რუსეთის იმპერია და შექმნეს „სტალინური სოციალიზმის მოდელი“. ძნელია ვამტ-

ციკოთ, რომ ეს სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სტალინმა საძირკველი ჩაუყარა კაზარმულ კომუნიზმს, რომლის მთავარი იდეა ფიქსი იყო გათანაბრება უკიდურესი სიღატაკის დონეზე. ის განაპირობებს სტაგნაციას, რეგრესს. აქ რამე წინსვლაზე ლაპარაკი ძნელია. პონაპარტიზმი უმთავრესად ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის იდეაზე, ზომიერ სოციალურ რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალულია ლიბერალური სულისკვეთებით, სამხედრო დიდებაზე, ევროპის ხალხების გაერთიანებაზე. თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსის პიტერ კლაუს შარტმანის თქმით „ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა საფრანგეთის საზოგადოების ახალ სტრუქტურას, რომელმაც იარსება არა მარტო მთელი XIX საუკუნის მანძილზე, არამედ ძირითად შტრიხებში მოაღწია დღემდე. „ძალაუფლება და ერთიანობა ეროვნულ ნიადაგზე“ – ნესრიგის რაციონალური დაფუძნებით“ [16. გვ. 23]. ამიტომ ნაპოლეონის მმართველობა ძნელია მივიჩნიოთ XX საუკუნის ტოტალიტარული სახელმწიფოს წინამორბედად. სულ სხვა ბედი ენია სტალინიზმს. ბელადის გარდაცვალების შემდეგ საზოგადოება, რომელმაც განვითარების ეს გზა აირჩია ჩიხში აღმოჩნდა, ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა, რომელსაც ლეტალური ანუ სასიკვდილო შედეგი ჰქონდა. 1991 წლის დეკემბერში ვ ლენინის და ი. სტალინის მიერ შექმნილმა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. ვ. ლენინის და ი. სტალინის ექსპერიმენტი სრული კრახით დასრულდა. „მსოფლიო ისტორია არის სამსჯავრო“.

ნაპოლეონი იდგა სრულიად სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის სათავეებთან, რომელიც უმთავრესად ორიენტირებული იყო კერძო საკუთრების თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფაზე, თავისუფალი მენარმეობის განვითარების განმტკიცებაზე, პიროვნების თავისუფლებაზე, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაზე, საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე, ხოლო სტალინმა საძირკველი ჩაუყარა სრულიად განსხვავებულ სახელმწიფო სტრუქტურას, სადაც არ მოიძებნა ადგილი კერძო საკუთრებისათვის, თავისუფალი მენარმეობისათვის, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნისათვის. ფრიად მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ მიუხედავად ნაპოლეონის დამარცხებისა და რეაქციული ძალების დროებითი გამარჯვებისა, ის სიახლეები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაპოლეონის მმარ-

თველობაში, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი და ინდუსტრიალიზაცია შეუქცევად ხასიათს იღებს. ნაპოლეონის ომებმა დიდი როლი შეასრულეს იმ პროგრესული ძალების კონსოლიდაციის საქმეში, რომლებსაც წილად განესაზღვრათ ევროპის ისტორიის მომავალი. მართალია, საბჭოთა კავშირმა, ი. სტალინის მეთაურობით, დაამარცხა პიტლერული გერმანია, მაგრამ ომის შედეგები სულ სხვა იყო. მოხდა ისტორიაში უპრეცედენტო ამბავი. ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი დამარცხებული აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ვერ შეძლო მოპოვებული სამხედრო წარმატება გამოეყენებინა საკუთარი სამშობლოს დემოკრატიზაციისათვის. გამარჯვებული ხალხი ფაქტობრივად დამარცხებულ იქნა საკუთარი რეჟიმის მიერ და ყველაფერ ამაში ი. სტალინის „ლომის წილი“ იყო [22. გვ. 86-87].

მოუხედავად ნაპოლეონის და სტალინის ერთპიროვნული მმართველობისა, დიქტატურისა მათი მიზნები და შედეგები სრულიად სხვადასხვა იყო. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის პოლიტიკური კურსი გაცილებით უფრო პერსპექტიული და პროგრესული ჩანს, ვიდრე სტალინის. ბონაპარტიზმი წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთ ფორმას, რომელსაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ამიტომ მისი გაიდილება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეს იყო გაუთავებელი ომები, რომელმაც შეინარა ევროპის, მათ შორის, ცხადია, საფრანგეთის გენოფონდის საუკეთესო ნაწილი. ღირდა ამ ფასად მიღებული წარმატებები, პროგრესი? სვამენ საკითხს ნაპოლეონის ოპონენტები (ნაპოლეონის აგრესიული საგარეო პოლიტიკა შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად აიხსნებოდა მისი ხელისუფლების არალეგიტიმურობით. ის ტახტზე თავს მყარად ვერ გრძნობდა, პოზიციების განმტკიცება სამხედრო წარმატებების ხარჯზე სურდა. ცხადია, ეს არ ამართლებს მას). იმპერიის პერიოდში კონსერვატიული ტენდენციები კიდევ უფრო ძლიერდება. ადმინისტრაციულ ცენტრალიზაციას ემატებოდა პოლიტიკური კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. გაუქმებული იქნა ადმინისტრაციული თანამდებობის არჩევითობის პრინციპი. ამ პოლიტიკის

მწვერვალა პარიზის თვითმმართველობის მკვეთრი შეზღუდვა [23]. ნაპოლეონი თავის მისიად მიიჩნევდა დაპყრობილი ტერიტორიების რეფორმირებას. იქ ფრანგული კანონმდებლობების გავრცელებას. დაპყრობილ ქვეყნებში ცდილობდა თავისუფალი მენარმეობის განვითარებას, წინსვლას. დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა. ჯერ კიდევ ცნობილი გერმანელი ისტორიკოსი გეორგ გერვინიუსი ხაზს უსვამდა ნაპოლეონის როლს გერმანიაში ფეოდალური ბარიერების მოსპობის საქმეში [24. გვ. 258-336]. ეს უთუოდ პოზიტივი იყო. ის დაედო საფუძვლად ახლის შენებას.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ ი. სტალინმა სცადა „სტალინური სოციალიზმის მოდელი“ ძალით მოეხვია თავზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა და ეს ექსპერიმენტი სრული ფიასკოთი დასრულდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც ამ ქვეყნებს თავისუფალი არჩევანის შანსი გაუჩნდათ, ისინი უყოყმანოდ დაუბრუნდნენ განვითარების ნორმალურ გზას. ეს გაერთიანება პრაქტიკულად ეფემერული აღმოჩნდა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა.

ნაპოლეონსა და სტალინს შორის განსხვავება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ ნაპოლეონმა დირექტორია უმალ შეცვალა ახლით – კონსულობის რეჟიმით. სტალინმა დაანგრია ძველი რეჟიმი, მაგრამ სამაგიეროდ რა შექმნა ამის მაგივრად? „სოციალიზმის სტალინური მოდელი“. პირველი გზა იყო ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. საზოგადოება, რომელმაც განვითარების მეორე გზა აირჩია, სულ მალე ჩიხში აღმოჩნდა და კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი მიიღო. ვ. ლენინის და ი. სტალინის პირმშო საბჭოთა კავშირი აღესრულა. ნაპოლეონის ძალა იმაში იყო, რომ მან შეძლო საზოგადოებისათვის რაღაც პოზიტივის შეთავაზება, ამიტომ გაცილებით უფრო მართლზომიერი იქნებოდა არა ნაპოლეონისა და სტალინის, არამედ სტალინის და ჰიტლერის შედარება. სხვათა შორის, სწორედ ამ გზას ირჩევს ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ალენ ბულოკი თავის საინტერესო ნიგნში „ჰიტლერი და სტალინი“ [25]. ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატურია. ასევე უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ნაპოლეონთან

პიტლერის შედარება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ინგლისელი ისტორიკოსის დესმონდ სოუარდის ნიგნი „ნაპოლეონი და პიტლერი“ [26]. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო უპირიანი იქნებოდა ნაპოლეონთან ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ დელანო რუზველტის, და არა სტალინის და პიტლერის, შედარება. 1940 წლის დეკემბერში პაროუში წარმოთქმულ თავის სიტყვაში სერ უინსტონ ჩერჩილი ხაზს უსვამდა, რომ „მე კატეგორიულად უარვყოფ რაიმე შედარებას ბატონ პიტლერსა და ნაპოლეონს შორის. მე არ მსურს მიცვალებულის შეურაცყოფა“. XX საუკუნის ცნობილი პოლანდიელი ისტორიკოსი პიტერ პეილი შემდეგ დასკვნამდე მიდის „ფიურერის სახელის გვერდით იმპერატორის სახელი მოხსენიებისას დამნაშავედ გრძნობ თავს და გსურს პატიება თხოვო ნაპოლეონს“. ვფიქრობთ, იგივე შეიძლება გავიმეოროთ სტალინის და ნაპოლეონის კონტექსტში. „ნაპოლეონის დროს ფრანგული ცივილიზაცია მაინც თან ახლდა მისი არმიის დაპყრობით ლაშქრობებს, მაშინ როდესაც დაპყრობების ხასიათი, რომელიც მოვიდა ჩვენი თაობის დროს, შეუთავსებელია საერთოდ რომელიმე ცივილიზაციისათვის“ – დასძინეს იგივე პიტერ პეილი. „ნაცისტების გამარჯვება იქნებოდა ყველა ჩვენთაგანისათვის გაცილებით უფრო დიდი კატასტროფა, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო ნაპოლეონის გამარჯვება. ნაპოლეონს შეეძლო არა მარტო ნგრევა, არამედ შენებაც. ცივილიზაციის თვალსაზრისითაც არ შეიძლება გავავლოთ პარალელი ნაცისტებსა და ნაპოლეონის რეჟიმს შორის და თავისუფლებისმოყვარე ფრანგები არასოდეს არ გახდებოდნენ ისეთი უსაზღვრო ბარბაროსების იარაღი, რომელიც ახლა მოემართება ჩვენსკენ ბერლინიდან“ – აღნიშნავს სერ უინსტონ ჩერჩილი. თუ აქ კონტექსტში ბოლშევიკებს და სტალინს ჩავესვამთ, ალბათ, ბევრი არაფერი შეიცვლება. პოლანდიელი ისტორიკოსი პიტერ პეილი აღნიშნავს „რა არის პალმისა და პოფერის ნაშება, რა არის დამსჯელი ექსპედიციები გერმანიის და ესპანეთის ქალაქების და სოფლების წინააღმდეგ იმასთან შედარებით, რაც ჩვენ დროში ხდებოდა პიტლერელთა არმიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე“. განა იგივე არ ხდებოდა საბჭოთა კავშირში? გაიხსენეთ სტალინის დროს არსებული გულაგი. მათ შორის განსხვავება ყველაზე უფრო რელიეფურად მტლავნდება სამშობლოსთან მიმართებაში, თუ ნაპოლეონმა ასახელა კორსი-

კა, სტალინმა ძალისხმევა არ დაიშურა და დაიპყრო თავისი სამშობლო, პატარა საქართველო და გახდა მის მიერვე შექმნილი უნიტარული სახელმწიფოს სრულუფლებიანი წევრი. ვფიქრობთ, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია. თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი პანს შმიტი აღნიშნავს, რომ ნაპოლეონში „იყო არა მხოლოდ დამანგრეველის სული, არამედ მან განსაზღვრა ის გზა, რომლის მიხედვითაც წარიმართა ევროპის განვითარება არა მარტო XIX საუკუნეში, არამედ მნიშვნელოვანილად XX საუკუნეშიც. საძირკველი ჩაუყარა საფუძვლებს, რომელსაც დღემდე ემყარება ევროპის განვითარება“ [16. გვ. 465]. შესაძლოა, ის შელამაზებულად წარმოაჩინდეს ნაპოლეონის წელიწადს, მაგრამ მისი მსჯელობა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. სტალინმა მოსპო რუსეთში მეფის თვითმპყრობელობა, მაგრამ სამაგიეროდ ფაქტობრივად ვერაფერი შემოგვტავაზა. „სოციალიზმის სტალინური მოდელი“ ეფემერული, არასიცოცხლისუნარიანი გაერთიანება აღმოჩნდა და მალე შეწყვიტა არსებობა. მასში შემავალი ხალხები კვლავ დგანან ახალი გზის არჩევანის წინაშე. სტალინმა რუსეთი ააცდინა განვითარების ნორმალურ გზას. ახლა რუსეთი ცდილობს ამ გზაზე დაბრუნებას. ეს მტკივნეული პროცესი იქნება და მას გარკვეული დრო დაჭირდება. „რა საჭიროა გზა, თუ ის ტადართან არ მიგვიყვანს“. ვის რაში სჭირდება ისეთი სახელმწიფო, რომლის შექმნას მსოფლიო ისტორიაში არნახული ტერორი და გენოციდი დაჭირდა, ხოლო დამლას – ზღვა სისხლი და უკიდურესი სოციალური გაჭირვება, სილატაკე. ლენინის და სტალინის გარდა აღბათ, არავის [27].

და ბოლოს, რაც მთავარია, კაცობრიობას ამ უზარმაზარი მსხვერპლის გაღება მოუხდა რადიკალურად განსხვავებულ სიტუაციაში. ერთ შემთხვევაში ეს იყო დაუსრულებელი ომების გამო, მეორე შემთხვევაში კი მშვიდობიან პერიოდში. განსხვავება არის და თანაც ძალიან დიდი. ნაპოლეონის დროს აურაცხელი ადამიანი დაიღუპა ძირითადად განუწყვეტელი ომების გამო. ნაპოლეონმა ევროპა ლამის სასაკლაოდ აქცია. ეს ნაპოლეონის დანაშაული იყო, რომელსაც არავითარი გამართლება არ გააჩნია.. სტალინის პერიოდში უზარმაზარ მსხვერპლს ძირითადად ადგილი ჰქონდა მშვიდობიან პერიოდში და თითქმის მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის დანაკარგს

უტოლდება. არსებითად ეს იყო მსოფლიო ისტორიაში არნახული ტერორი, რომელსაც ანალოგი ძნელად მოეძებნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სტალინის დანაშაული კაცობრიობის წინაშე გაცილებით უფრო გრანდიოზული და დიდია, ვიდრე ნაპოლეონის. ამიტომ მათ შორის პარალელის გავლება, როგორც ამას კონსტანტინე გამსახურდია ჩადის, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათოა. „სოციალიზმის სტალინური მოდელი“, ფაქტობრივად სტალინიზმი, არსებითად კაცობრიობის განვითარების მთავარი, მაგისტრალური ხაზიდან გადახვევას წარმოადგენდა და იმ ხალხებს, რომლებსაც ეს მოდელი ძალად მოახვიეს თავს, მხოლოდ დიდი უბედურება მოუტანა. დღეს მათ თავიდან უხდებათ ისტორიული განვითარების გზების ძიება [28]. ნაპოლეონის მოდელი ძველი რეჟიმის ერთერთი ალტერნატივა იყო და ისტორიული განვითარების ერთერთ რეალურ ვარიანტად გვევლინება, რომელსაც გააჩნდა თავისი ღირსებები და ნაკლი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა დროის ყველაზე კაცთმოძულე და სისხლისმსმელ ისტორიულ პერსონალიებად მეცნიერები მიიჩნევენ რომის იმპერატორ ნერონს, სტალინს, ჰიტლერს და პოლ პოტს [29. გვ. 200]. ეს სავევებით სწორია, თუმცა მცირე კორექტივების შეტანას მაინც საჭიროებს. ჩვენი აზრით, არ უნდა გამოვტოვოთ პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი, ლენინი. უბრალოდ ის ადრე გარდაიცვალა და ვერ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელება, რაც გააკეთა მისი საქმის ღირსეულმა გამგრძელებელმა ი. სტალინმა.

ნაპოლეონის და სტალინის შედარება, სტალინის ნაპოლეონზე მაღლა დაყენება, ნაპოლეონისადმი კ. გამსახურდიას დამოკიდებულების აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია, აკნინებს ნაპოლეონს და კ. გამსახურდიას მწყობრ კონცეფციაში დისონანსად გაისმის. წინააღმდეგობის მუხტი შეაქვს.

5. დასკვნა. ვფიქრობთ, არ გადაეჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ქართველ მწერლებს შორის ნაპოლეონის პოპულარიზაციის და განდიდების საქმეში, ყველაზე უფრო დიდი წვლილი, სწორედ კონსტანტინე გამსახურდიას მიუძღვის. ქართულ მწერლობას ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურა უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია, მაგრამ ამდენი ნაპოლეონზე, რამდენ-

იც კონსტანტინე გამსახურდიას, ალბათ, არავის დაუნერია. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ ქართულ ლიტერატურაში მთელი ნაპოლეონიანა შექმნა. თავად განსაკუთრებით: 1920 წელს გამოქვეყნდა მისი ნოველა „ნაპოლეონი“. ამას მოყვა მისი საინტერესო ფილოსოფიური ესე „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცშე“. ნაპოლეონს ის ეხება თავის ესეში „გოეტეს ცხოვრების რომანი“. ნაპოლეონის სახე გაიფლავებდა კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავ მხატვრულ შედეგებში: „მთვარის მოტაცება“, „დიონისოს ღიმილი“, „ვერცხლის ბეჭედი“. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს შემკვიდრეობა, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო სოლიდური იქნებოდა. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონზე და ნიცშეზე დანერგა ისეთივე ხასიათის საინტერესო ფილოსოფიური ესეს, როგორც ეს გააკეთა დიდ გოეტეზე და ამით თავის ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანდა, შექმნიდა ბრწყინვალე ტრილოგიას – გოეტე, ნაპოლეონი, ნიცშე.

მწერლის დამოკიდებულება ნაპოლეონის, მსოფლიო ისტორიის ამ რთული და ერთ-ერთი საინტერესო პიროვნებისადმი, ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა. ის ხან დიდ პატივს მიაგებდა ნაპოლეონს და მის მიმართ ქებას არ იშურებდა, ხანაც კი ეკამათება მას და მისი ოპონენტის როლში ცდილობდა მოგვევლინა, თუმცა ამას კონსტანტინე გამსახურდია ნაპოლეონის დაგმობამდე არ მიყავს და ნაპოლეონის გმირული ეპოპეით აღფრთოვანებული რჩება. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და უნინარესად იმით აიხსნებოდა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ძალუმად იგრძნობა ძლიერი პიროვნების კულტი. მას ყოველთვის იტაცებდა და ხიბლავდა ძლიერი, განსაკუთრებული, ბედისწერის ურჩი ან პირიქით მისი გამგებელი პიროვნება, რომლის სახეში თავმოყრილია ყოფიერების უმთავრესი არსი. ნაპოლეონი ერთ-ერთი მათგანი იყო. „ნაპოლეონი შემოდის კონსტანტინე გამსახურდიას გმირთა ქვეყანაში, არა როგორც პირსისხლიანი იმპერატორი, არამედ როგორც განთავისუფლებული ადამიანური ენერჯის სიმბოლო“ [2. გვ. 330].

ნაპოლეონისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება, უდავოდ, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენი აზრით, სწო-

რედ ამაში მდგომარეობდა ნაპოლეონზე კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებების ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა, ფასეულობა. სტალინის და ნაპოლეონის შედარება და სტალინის ნაპოლეონზე მალლა დაყენება. ძალზე საკამათოა და კ. გამსახურდიას შეხედულებების აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

#### ლიტერატურა

- 1 კ. გამსახურდია, გოეტე, ნაპოლეონი, ნიცმე - „სოციალ-ფედერალისტი“, 118, 1921 წ. 23 ივლისი.
- 2 ს სიგუა, მარტილი და ალამდარი, ნიგნი 2 თბ., 2001
- 3 Ф Массон, Наполеон и женщины, М., 1912. Г Кирхвизен, Женщины вокруг Наполеона, М., 1991. А Леви, Интимная жизнь Наполеона, СПб., 1894
- 4 დ ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნიგნი 1, თბ., 1994 ამ საკითხზე აგრეთვე იხილეთ Н Левицкий, Полководческое искусство Наполеона, М., 1938. Ф Меринг, Очерки по истории войны и военного искусства, М., 1937. Г Дельбрюк, История воны и военного искусства в рамках политической истории, т. 4. новое время, М 1938. К. Клаузевиц, 1799 год. М., 1938. К. Клаузевиц, 1806 год. М., 1937. К. Клаузевиц, 1812 год. М., 1937.
- 5 ფრ ნიცმე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თბ., 1993 ფრ ნიცმეზე დანეროლებით იხ. თ. ბუაჩიძე, ფრიდრიხ ნიცმე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ - ნიგნი ფრ. ნიცმე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბ., 1993 А Патрушева, Жизнь и драма Фридриха Ницше - „Новая и новеншая история, №5. 1993
- 6 Э Тарле, Наполеон, М., 1957
- 7 ციტ : Н. Ерофеев, Что такое история, М., 1977
8. კ გამსახურდია, გოეტე - ნიგნი: კრიტიკა, თბ., 1959
- 9 კ ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005
- 10 Жомини, Политическая и военная жизнь Наполеона, СПб., 1844
11. ციტ. История Франции, т. 2. М., 1973
12. З Черниловский, Всеобщая история государства и права, М., 1983
- 13 С Баботов, Наполеон Бонапарт - реформатор и законодатель, М., 1998 Д. Тутан-Барановский, У истоков Бонапартизма, М., 1986 Д. Тутан-Барановский, Наполеон и власть, М., 1993
- 14 Н Троицкий, Маршалы Наполеона - „Новая и новеншая история“, №5 1993 ნაპოლეონის მარშლებზე იხილეთ აგრეთვე А Егоров, Маршалы Наполеона, Ростов на дону, 1998
- 15 А. Травчевский, Наполеон I первые шаги и консульство, М., 1907
- 16 Французские хорали и императоры, P/Д. 1997.
- 17 კ გამსახურდია, ნოელები, თბულებები ოც ტომად, ტ. 1 თბ., 1992.

18. შ კალანდაძე, ქართული ნაპოლეონიანა - მიეძღვნა ალ ორბელიანის ხსოვნას, მეორე სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 1998
- 19 F Masson et G Biagi, Napoleon inconnu, Papiers inédits, Paris 1895
20. თ დოიაშვილი, მატერიაზე გავლით სულობისაკენ - ნიგნში კ გამსახურდია, ნოველები, თხზულებები 20 ტომად, თბ., 1992.
- 21 ს სიგუა, „მთვარის მოტაცება“ - ეპოქის დოკუმენტი - ნიგნში კ. გამსახურდია, „მთვარის მოტაცება“, თბ., 1990
22. А. Гуревич. История историка, М., 2004
23. А. Ревакин, Наполеон и “Великая Империя” - в кн; Европейские монархи в прошлом и настоящем СПб., 2001 Ж. Тюлар, Наполеон, М., 1996.
24. Г Гервинус, История девятнадцатого века, т. 1 СПб., 1863.
25. А. Булок, Сталин и Гитлер. М 1994
26. Д. Сьюард. Наполеон и Гитлер, Смоленск, 1995. ამ ნიგნზე იხილე რეცენზია შ კალანდაძე, სადაო პარალელი - საქართველო, 17-23 მაისი, 2001
27. შ. კალანდაძე ისტორიის მსჯევერი - მესხეთი (საისტორიო კრებული), ნან IV, თბ., 2001 წ
28. საბჭოთა პერიოდში დანერგილი ი სტალინის ბიოგრაფიები უმთავრესად კონუნქტურულ ხასიათს ატარებს და ტენდენციურია. ასე შეიქმნა სტალინის აპოკრიფული, გამოგონილი, ბიოგრაფია ბევრად შეიცვალა მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მკაფიოდ იკვეთება სტალინის ნაღვანისადმი უფრო ობიექტური, კრიტიკულ ფილტრში გატარებული, მიდგომა Л. Волкогонов, Триумф и трагедия политический портрет И. В. Сталина, кн 1 и 2. М., 1989 Ф Волков, Взлет и падение Сталина, М., 1992. А. Антонов-Овсеенко, Портрет тирана, М., 1994 Р Пайнс, Россия при большевиках, М., 1997 Р Такер, Путь к власти 1879-1929 История и личность, М., 1990 სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებაში, თბ., 2002. გ ყორანაშვილი, სტალინი - შტრიხები პორტრეტისათვის, თბ., 2006 და სხვა მრავალი
- 29 В Кремер, Г. Тренклер. Лексикон популярных заблуждений, М., 2000 ამ ნიგნზე იხ რეცენზია შ კალანდაძე, ამაღლებული და რეალური - „ახალი 7 დღე“, 20-28 მარტი, 2002. ქართულ ენაზე ამ თემაზე იხილეთ შ. კალანდაძე, უმრავლესობა მიიჩნევს - „ახალი 7 დღე“, 20-25 აპრილი, 2002.

## V თავი

### ნაპოლეონი ანა კალანდაქის პოეზიამი

ნაპოლეონი რთული და წინააღმდეგობით აღსავსე ფიგურაა. მას ისტორიაში ერთმნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის შეფასება ისტორიკოსებს შორის სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს და გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები. ერთნი უსაშველოდ განადიდებენ, ცაში აყავთ, ხოტბას ასხამენ ნაპოლეონს და მისი შეცდომების გაგონებაც არ სურთ. ფაქტობრივად, ეს არის აპოლოგეტური მიმართულება, რომელიც ნაპოლეონის მოღვაწეობას საკმაოდ შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოადგენს. ნაპოლეონის აპოლოგის მწვერვალად გვევლინება თეზისი მისი მშვიდობისმოყვარეობაზე. თურმე ნაპოლეონი თავს არავის ესხმოდა და მხოლოდ თავს იცავდა. ადოლფ ტიერის, ალბერ სორელის, ალბერ ვანდალის, ედუარდ დროის, ლუი მადლენის გამოკვლევებში ნაპოლეონის აპოლოგია თავის მწვერვალს, პიკს აღწევს. მეორენი კი პირიქით, მის მიმართ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ და მის მოღვაწეობას პირდაპირ მიწასთან ასწორებენ. მათი ღრმა რწმენით, ნაპოლეონს კარგი არაფერი გაუკეთებია და მხოლოდ სისხლით მორწყო ევროპა. ეს სულ სხვა უკიდურესობაა. ისინი ძალიან გამუქებულად წარმოაჩენენ საქმის ვითარებას და არსებითად უგულბებლყოფენ პოზიტივის – ნაპოლეონის მოღვაწეობის მნიშვნელობას ძველი რეჟიმის მოდერნიზაციის საქმეში. ახალი საფრანგეთის შექმნაში ნაპოლეონის წვლილი სრულიად იგნორირებულია. ჟან შარასის და პიერ ლანფრეს შრომებში ნაპოლეონის განქიქებამ კულმინაციას მიაღწია. ოქროს შუაგულის გამოქვანა ადვილი საქმე არაა და ისტორიკოსთა მეტად მცირე ნაწილმა თუ მოახერხა (ერთ-ერთი ბედნიერი გამონაკლისია შვეიცარიელი ისტორიკოსი კირპაიზენი). დავა ნაპოლეონის პიროვნების ირგვლივ, ალბათ, კიდევ დიდხანს გასტანს და არც არასოდეს გასრულდება. ამაში ვასაკვირი არაფერია. ყოველთვის იქნებოან ნაპოლეონის მომხრე და მოწინააღმდეგე ისტორიკოსები. „ისტორია

დაუსრულებელი პოლემიკა". რუსი სამხედრო თეორეტიკოსი მ. დრაგომიროვი აღნიშნავდა, რომ „ნაპოლეონმა გააკეთა მასა დიდი საქმეებისა და დიდი უბედურებებისა, ის, ვინც დაინახავს მხოლოდ პირველს, დაუძახებს მას დიდ ადამიანს, ხოლო ის, ვინც დაინახავს მეორეს – გალანძლავს მას". ნაპოლეონის შესახებ არსებული უზარმაზარი ლიტერატურა ორ მკვეთრად დაპირისპირებულ ბანაკადაა გაყოფილი. ნაპოლეონის უსაზღვროდ მოტრფიალე ისტორიკოსები – ბონაპარტისტები და ნაპოლეონის მონინალმდებელები – ანტიბონაპარტისტები [1]. ამ ისტორიოგრაფიული პოლემიკის ანარეკლი გვხვდება სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. გაიხსენეთ დ. მერეეკოვსკის „ნაპოლეონი“, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ და ვალტერ სკოტის „ნაპოლეონი“. ნაპოლეონის სახე საზღვარგარეთის მხატვრულ ლიტერატურაში საინტერესო თემაა. აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე ლიტერატურა მწირად მოგვეპოვება [2].



ნაპოლეონის პიროვნება არც ქართულ მწერლობაში დარჩენილა შეუმჩნეველი და აღნიშნული თემის დამუშავების საქმეში ქართველმა მწერლებმა თავისი მოკრძალებული წვლილი დაიდეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში ნაპოლეონის პიროვნებით გატაცებას, დაინტერესებას, თავისი ტრადიცია გააჩნია და მის სათავესთან ქართული რომანტიზმის კორიფე ნიკოლოზ ბარათაშვილი დგას [3]. უნდა ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში ამჟამად დომინირებს ბონაპარტისტული ტენდენცია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონის სახელმა გაიფლავა ცნობილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის პოეზიაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმყრობს მისი ლექსები: „ნაპოლეონის ნილაბი აუსტერლიცის მუზეუმში“, „ო, იქ ცეკვავდა ნაპოლეონი“, „აქ ცოცხალ ყვავილებს დადებს“. [4. გვ. 389, 393, 395]. აღნიშნული თემის დასმის ინიციატორად პროფესორი დიმიტრი ცისკარიშვილი უნდა მივიჩნიოთ. ის პირველი შეეხო ამ საინტერესო საკითხს [5. გვ. 103], მაგრამ ეს თემა სპეციალურად შესწავლილი არ ყოფილა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ორიოდ სიტყვა გვეთქვა მასზე.

ჩვენი მსჯელობა მეტი დამაჯერებელი რომ იყოს აქ მოვიყვანო ანა კალანდაძის სამივე ლექსს, მით უმეტეს, რომ ეს ლექსები მოცულობით დიდი არაა:

ნაპოლეონის ნილაბი აუსტერლიცის მუზეუმში.

„ო, ბონაპარტეს ბრინჯაოს ნილაბს  
სამარადისოდ გახსნია ბაგე:  
აუსტერლიცის მზეს რომ უცინის  
გამარჯვებული, ამაყი ფრანგი?  
თუ წარმავალი იწვევს ამ ღიმილს  
და დიდებითა თავი და ბოლო?  
გამარჯვებული, დამარცხებული...  
აუსტერლიცი, და ვატერლოო...  
მორავიაში მისი მხედრები  
კვლავ გაპყურებენ „ვისოტა პრაცეს“...  
ისინი დგანან მორავიაში,  
ერთუროთის მტრობა არ აქვს არც ერთს  
ერთად დაკრძალეს მეტოქეები.  
ისინი ერთი ლოდის ქვეშ წვანენ...  
მათზე გვიჩვენებს მორავიელი  
და ფეხაკრეფით, მიმოდის წყნარად.  
გახსნია ბაგე ბრინჯაოს ნილაბს,  
ბაგე გახსნია ჩუმი და ცივი...  
მზის მკრთალი სხივი ადგას მის სახეს,  
აუსტერლიცის მზის ჩუმი სხივი“.

მეორე ლექსია „აქ ცოცხალ ყვავილს დადებს“. მას წინ უსწრებს მცირე შესავალი „აუსტერლიცში (მორავიაში) აგებულა ძეგლი – სასაფლაო 1805 წელს აუსტერლიცის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად. ახლა კი მოვიყვანო ამ ლექსის შინაარსი:

„აქ ორი დეკემბერს მუდამ  
მათი ხსენების დღეა  
და ცოცხალ ყვავილებს დადებს  
ლამაზი მორავია...  
და ნატყვიარი ისევ  
სტკივა „ვისოტა პრაცეს“

და ირონიულ ღიმილს  
მალავს „პატარა კაცი“..  
ო, სინანულო მისგან  
ცასავით მორავია...  
აქ ცოცხალ ყვავილებს დადებს  
მაგრამ... ვინ ტირის ასე,  
ო, ვინ, პრაცენის ველთა?  
მსოფლიოს ყველა ქალი –  
დაა, ცოლი და დედა...  
ისინი დგანან, დგანან  
ძეგლ–სასაფლაოს კარად...  
ამდენი მსხვერპლი, ცრემლი,  
გლოვა ნუხილი... კმარა!  
აქ ორ დეკემბერს მუდამ  
მათი ხსენების დღეა  
და ცოცხალ ყვავილს დადებს  
ლამაზი მორავია...”

და ბოლოს მესამე ლექსია „ო, იქ ცეკვავედა ნაპოლეონი“, რომელიც მოცულობით ყველაზე უფრო პატარაა. აი, ისიც:  
„აუსტერლიცის ლამაზ მინდვრებზე  
მგზავრთ მონატრული  
მოჩანს „განდია“ – ძველი სასტუმრო,  
ვითარცა ვანი მხოლოდ ვოლის...  
და როცა იგი ეფარვის მინდვრებს,  
იდუმალი ხმით გვაუწყებს გიდი:  
– ო, იქ ცეკვავედა ნაპოლეონი!”

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ანა კალანდაძის ეს სამი პატარა ლექსი საინტერესოა და თავისებურ პოეტურ ნაპოლეონიანას ქმნის, ამიტომ ამ თემისადმი გვერდის ავლა, ვფიქრობთ, გამართლებული არ იქნებოდა. ლექსების მოცულობა არ აკნინებს მათ მნიშვნელობას.

აღნიშნული თემატიკით დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა და მას, შესაძლებელია, საფუძვლად ედო ამ ადგილებ-ის მონახულებით მიღებული შთაბეჭდილება.

ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ანა კალანდაძის ეს ლექსები იმ თვალსაზრისით იყრობს ყურადღებას, რომ ის ნარმოადგენს

საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება ბობოქარი, დრამატუზმით აღსავსე ისტორია გადატყდეს, გადაისახოს ნაზ ლირულ პრიზმაში და სრულიად ახალი ლირსებები შეიძინოს.

ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ანა კალანდაძის ლექსების ლიტერატურულ ფასეულობაზე საუბარი ამკარად სცილდება ჩვენს კომპეტენციას და ფილოლოგების საქმეა. ჩვენ როგორც ისტორიკოსს, გვაინტერესებს, თუ რამდენად აისახა პოეტის ლირიულ პრიზმაში, ისტორიული რეალები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ნაპოლეონის კოლორიტული ფიგურა. საკითხი არის საინტერესო. მითუმეტეს, რომ ნაპოლეონი იყო უაღრესად რთული და წინააღმდეგობით აღსავსე პიროვნება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად შეფასებას არ ექვემდებარება. მარტო შავი და თეთრი ფერები საკმარისი არაა და ფერთა გამა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია.

აუსტერლიცის ბრძოლა 1805 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონის გმირული ეპოპეის კულმინაციაა, აუსტერლიცი სამხედრო ხელოვნების კიდევ ერთი კლასიკაა. სამხედრო ისტორიკოსების აზრით, ეს იყო ნაპოლეონის, როგორც მხედართმთავრის მწვერვალი. ნაპოლეონი ამბობდა, რომ „ეს საღამო იყო მის ცხოვრებაში ყველაზე უფრო ბედნიერი“ [ნ. გვ. 128]. მოკავშირეებმა მოუტყვებელი შეცდომა დაუშვეს და დატოვეს ბრძოლის ველზე გაბატონებული პრაცენის სიმაღლე, ნაპოლეონმა დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ მდგომარეობით და უმაღ დაუფულა ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტს. ალყაშემორტყმული მოკავშირეების ჯარი გაყინულ გუბურაზე შეყარა, ხოლო ყინულს ყუმბარები დაუშინა. ყინული იმსხვრეოდა. ჯარისკაცები ილუპებოდნენ. ნაპოლეონმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ პოეტი ბრძოლის პეროპეტიკებზე ინფორმირებულია. ალბათ, ეს არ იყო შემთხვევითი და როგორც ნებისმიერი ქართველი ინტელიგენტი, პოეტი შესაძლოა იცნობდა აკად. ევგენი ტარლეს წიგნს ნაპოლეონზე.

ახლა ვნახოთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ ბატალიებისადმი პოეტის მიდგომა. მისი დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი საინტერესოა და არ არის ერთგვაროვანი. ეს არ იყო არც ნაპოლეონის აპოლოგია და არც მისი უშვერი ლანძღვაგინება, განქიქება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტს აუსტერ-

ლიცთან გამარჯვების პლუსები და მინუსები კარგად უნდა  
პქონოდა გააზრებული. იგი მშვენივრად ხედავს, რომ აუს-  
ტერლიცის ბრძოლამ ნაპოლეონის სახელი დიდების შარავან-  
დოდით შემოსა და ძღვევამოსილ პიროვნებად აქცია, ამიტომ ნა-  
პოლეონი შენატრის აუსტერლიცის მზეს. ამავე დროს პოეტი  
ნებსით თუ უნებლიეთ ნამოჭრის ერთი ფრიად საჭირობოროტო  
საკითხს – რა ფასად იქნა ეს ნარმატება მოპოვებული. ამ ნარ-  
მატებას მოჰყვა უზარმაზარი მსხვერპლი ორივე მხრიდან, პოე-  
ტი გმობს ომის მთელ საშინელებას და ამ ფასად მიღწეული  
პროგრესი არ მოსწონს. ასეთი პოზიცია ჰუმანურია და სავსე-  
ბით მისაღებია, ისეთ დიდ ჰუმანიტს, როგორც ქ-ნ ანა ბრ-  
დანდებოდა, ცხადია, არ შეეძლო შეგუებოდა კაცის კვლას  
რაოდენ მაღალი მიზნების განხორციელებას არ უნდა ისახავდეს  
მიზნად. მარადიული დილემაა მიზანი და მისი მიღწევის საშუ-  
ალებანი, მიზანი მისაღებია, საშუალებები – არა. პოეტის მიდგ-  
ომაში, თუ ჩვენ ის სწორედ გავიგეთ, ვერავითარ წინააღმდე-  
გობას, გაორებას, ვერ ვხედავთ. საკითხი არის რთული და  
მრავალნახნაგოვანი. პოეტის დამოკიდებულება – ჰუმანურია.  
ფაქტობრივად პოლიტიკური პრობლემები მორალურ ეთიკურ  
ჭრილში ინაცვლებს. ვერ ვიტყვით, რომ საკითხის ამგვარად  
გადანუეტა პანაცეაა, მაგრამ ასეთ თვალსაზრისს გააჩნია არ-  
სებობის უფლება და შეიცავს რაციონალურ მარცვალს. აქვს  
თავისი პლუსები და მინუსები.

მიყავს თუ არა ყველაფერ ამას პოეტი ნაპოლეონის დაგ-  
მობამდე? ჩვენი აზრით, არა. საქმე ისაა, რომ პოეტი გმობს ნა-  
პოლეონის ომების დაპყრობით ხასიათს, მაგრამ ეს ნაპოლეონის  
მთელს მოღვაწეობაზე არ უნდა გავავრცელოთ. ჩვენი თვალ-  
საზრისით, პოეტის ხედვა ასეთი შეიძლება ყოფილიყო. იგი,  
უდავოდ, პატივს სცემს ნაპოლეონს, როგორც ძლიერ და ნიჭიერ  
პიროვნებას, რომელმაც თავისი პირადი ღირსებების წყალობით  
გაიკაფა გზა და ტროუმფალური გამარჯვებებს მიაღწია, მაგრამ  
ეს გაუთავებელი ომები, რა თქმა უნდა, არ მოსწონს.

მოუხედავად ნაპოლეონის ომების დაპყრობითი ხასიათისა,  
მასში რაციონალური მარცვალი მაინც რჩებოდა. ნაპოლეონი  
დაპყრობილ ტერიტორიებზე ფართოდ ნერგავდა რევოლუციის  
სოციალურ მონაპოვარს „წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავ-  
გეოსის თავლებს“. სწორედ ამამი მდგომარეობდა იმ გმირული

ეპოპეის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ნაპოლეონის სახელს უკავშირდება. „მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაანადგურა (1806-1807 წწ.), მან აქ, ამასთან ერთად, ძველი უნესობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“ [7. გვ. 113-114], აღნიშნავდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე. „ნაპოლეონმა აბსოლუტიზმს მიაყენა ძლიერი დარტყმა, რომლისაგანაც ის ნელში მეტი ველარ გასწორდა. სწორედ ამში მდგომარეობდა იმ გმირული ეპოპეის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც მის სახელთანაა დაკავშირებული“ – დასძენს ნაპოლეონის ეპოქის კომპეტენტური რუსი მკვლევარი აკად. ევგენი ტარლე [8. გვ. 9].

დასასრულს, ძალიან მოკლედ, უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელსაც ანა კალანდაძის ლექსთან არანაირი შეხება არა აქვს, თუმცა საინტერესოა ნაპოლეონის მოღვაწეობას გაგებისათვის. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დიდი ხნის განმავლობაში ნაპოლეონის მოღვაწეობას ვუყურებდით თავისებურად, ცალმხრივად, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ ძირითადად „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ ვიყავით ორიენტირებული. ასეთ მიდგომას აქვს თავისი რეზონი. ნაპოლეონის სამხედრო წარმატებები მართლაც თვალისმომჭრელი იყო. ის სამხედრო საქმის ნოვატორია, დიდი მხედართმთავარია. ნაპოლეონის თავბრუდამხვევემა გამარჯვებებმა ნებსით თუ უნებლიეთ დაჩრდილეს მისი მოღვაწეობა სხვა სფეროში, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მისი კანონმდებლობითი საქმიანობა. ნაპოლეონი მის შესახებ საკმაოდ მაღალი აზრის იყო და მას მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა, „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი ბრძოლა... ის რაც, იცოცხლებს მარად ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“ [6. გვ. 123]. ნაპოლეონის ამ სიტყვებს ყური უნდა მიუგდოთ. შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში. „უშუალოდ აქედან გამომდინარეობს, „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“ [9]. თანამედროვე ავსტრალიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფე-

სორმა მარტინ ლაიონსმა დამაჯერებლად უჩვენა, რომ ნაპოლეონმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა საფრანგეთის რევოლუციის სოციალური მონაპოვარი [10. 305]. ნაპოლეონი არ იყო მხოლოდ დამპყრობელი და დიქტატორი. ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს დიქტატორ-რეფორმატორთან, ნაპოლეონის პოლიტიკაში პოზიტიური მინც ქარბობდა ნეგატიურს, თუმცა ყველა ისტორიკოსი ასე არ ფიქრობს და „ნაპოლეონში ხედავს რევოლუციის არადემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელს“. რას იზამთ, პოლანდიელი ისტორიკოსის პიტერ პეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“. ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესული ცეზარიზმი“ ერთ-ერთ საუკეთეს ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ. ნაპოლეონის პოპულარობის გასაღებიც, სწორედ აქაა საძიებელი

ამრიგად, ანა კალანდაძის პოეზიაში გაიფურა ნაპოლეონის სახემ. თავისთავად ეს ფაქტი საინტერესოა და კარგად თავსდება პრობლემაში – ნაპოლეონი ქართულ ლიტერატურაში. ამ ლექსებით ანა კალანდაძემ თავისი სიტყვა თქვა აღნიშნულ საკითხზე, ამიტომ ამ ლექსების წაყრუება, მართებული არ იქნებოდა, მისი განხილვა საშუალებას მოგვცემს ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი ახალი ფურცელი გადავშალოთ. ანა კალანდაძე ლექსებში ნაპოლეონზე გადმოგვცემს თავის სულიერ აღელვებას, ემოციებს, რომელსაც საფუძვლად უდევს განჭვრეტა. ამ მისიას პოეტმა ჩინებულად გაართვა თავი და შექმნა შესანიშნავი ლირიული ლექსები, მაგრამ ეს ლექსები მხოლოდ შიშველი ემოციის, სულიერი აღელვების შედეგი არ უნდა იყოს, მასში არის რაღაც მეტიც. უბრალოდ აქ იმის თქმას ვაპირებთ, რომ პოეტი ნებსით თუ უნებლიეთ, ალღოთი, უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს. ლირიკულ ფონზე იკვეთება ისტორიული რეალები, რაც კიდევ უფრო მეტ ღირსებას მატებს ანა კალანდაძის ლექსებს ნაპოლეონზე. ეს ლექსები იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ პოეტი ნაპოლეონის მიმართ გულგრილი არ ჩანს, და მას როგორც ძლიერ, ნიჭიერ, პიროვნებას დიდ პატივს მიაგებს ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ, ანა კალანდაძის სახით საქმე გვაქვს ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ბონაპარტიტული ფრთის ერთ-ერთ საინტერესო წარმომადგენელთან,

რომელმაც დაარღვია ამ სფეროში მამაკაცების მონოპოლია, მაგრამ მოუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, რომ ანა კალანდაძე არასოდეს არ ყოფილა ნაპოლეონის ბრმა თავყვანისმცემელი, რომელიც ნაპოლეონის ნებისმიერ ნაბიჯს გაამართებდა პოეტს ძალიან კარგად ესმის, რომ ნაპოლეონი, როგორც ძლიერი და ნიჭიერი პიროვნება უნაკლო არ ყოფილა, მას არ მოსწონს დაუსრულებელი ომები. პროგრესი რთული და შრავალნახნავოვანი პროცესია და უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, სამართ ლიანი და ზნეობრივი გზით როდი ხორციელდება, ასე აღმოვჩნდებით სასურველის და რეალურის დილემის წინაშე. ფრანგი ისტორიკოსის ჟან ჟორესის თქმით, „რევოლუცია არის პროგრესის ბარბაროსული ფორმა“. ნაპოლეონის ეპოქა რევოლუციის ლოგიკური გაგრძელება იყო. ასეთია რეალობა, მისადმი დამოკიდებულება, ალბათ, არასოდეს არ იქნება ერთგვაროვანი.

### ლიტერატურა

- 1 მ კალანდაძე, ისტორიკოსები ნაპოლეონზე – ჟურნ „კლდეკარი“, №3, 1998
- 2 ვ. დონაძე, ჰაინრიხ ჰაინე ნაპოლეონ ბონაპარტეს შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 243, 1983 თბ, მ კალანდაძე, შილერი და ნაპოლეონი, „არტანუჯი“, 2-3, 1994 მ კალანდაძე, ბაირონის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“, დროშა, 11-12, 1999 2000 წლის 12-14 ივნისს ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესზე პროფ ივანე მენთეშაშვილმა გააკეთა საინტერესო მოხსენება „ნაპოლეონის სახე მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში“
- 3 ნ ბარათაშვილი, ნაპოლეონი, ლექსები, პოემები, თბ, 1968.
- 4 ანა კალანდაძე, რჩეული, თბ, 1976
- 5 დ ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ტ 2 თბ, 1997
- 6 “Cottrespondance” v. XI №9537. История Франции, т. 2. М., 1973
- 7 ნ იკოლაძე, გერმანიის მდგომარეობა, თხზ, ტ 2. თბ, 1962. ამ საკითხზე დანერჩილებით ის ვ დონაძე, საფრანგეთის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები და ქართული პუბლიცისტიკა, (XIX საუკუნის მეორე ნახევარი), თბ, 1978
- 8 Е Тарле, Наполеон, М., 1957
- 9 С Боботов, Наполеон Бонапарт – Реформатор и законодатель, М., 1998
- 10 В. Сироткин, Наполеон и россия, М, 2000

## კარი III

### ნაპოლეონი საზღვარგარეთის ლიტერატურაში

#### I თავი

#### ბაირონი და ნაპოლეონი

ჯორჯ ბაირონი ევროპული რომანტიზმის თავკაცია. ფრანგი ლიტერატურათმცოდნე ანდრე მორუას აზრით XIX საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში იყო სამი დიდი მწვერვალი – ბაირონი, ბალზაკი, ტოლსტოი.

ისტორიკოსი – მანფრედი აღნიშნავდა „ღრმა განცვიფრება ბაირონისა, ალბათ, ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა იმ მსგავსი უკმაყოფილებისა, რომელმაც ევროპის მონინავე მოაზროვნეები რეალური სამყაროს ხილვისას მოიცვა, რომელიც ასე დიდად განსხვავდებოდა განმანათლებელთა მიერ დაპირებული იდეალური სამყაროსაგან. ბაირონი არ მალავდა თავის უკმაყოფილებას არსებული ვითარებით, იგი მცირეოდენითაც არ ცდილა მასთან შერიგებას, მისთვის ყოველთვის უცხო იყო კომპრომისული გადაწყვეტილებანი. იგი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ბუნტარული მიდრეკილების მოაზროვნედ დარჩა და მის მეგობარ შელისთან ერთად ყოველთვის იბრძოდა რეაქციის შავბნელი ძალების წინააღმდეგ, ბაირონის სიკვდილი საბერძნეთში იყო არა მარტო მისი ბიოგრაფიის გმირული დასასრული, არამედ ისტორიული სიმბოლო. ის მონაშობდა, რომ საღვთო კავშირის ბატონობის წლებში თავისუფლების ძალები გატეხილი არ იყვნენ და ისინი განაგრძობდნენ ბრძოლას“ [1. 59].

ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი საინტერესოა და კიდევ ერთი ნათელი ილუსტრაცია იმისა, რომ ბაირონი პროგრესულ ლირებულებებზე იყო ორიენტირებული. ეს კი იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ფონზე, როდესაც ფართოდ ინერგებოდა ნაპოლეონის

სახელის აუგად მოხსენიება, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულებაზე უნდა ვიმსჯელოთ მისი მხატვრული ნაწარმოების, დღიურების და კერძო წერილების მიხედვით. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი ნაწარმოებები: „ჩაილდ ჰაროლდი“, „ბრინჯაოს საუკუნე“, „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტზე“, „ნაპოლეონის გამოთხოვება“, „ფრანგულიდან“, „ოდა ფრანგულიდან“, „საპატრიოლუგიონის ვარსკვლავებზე“, „ნაპოლეონის გაქცევა ელბიდან“, „ნაპოლეონის სათუთუნე“. ყველაფერი ეს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავისებურ ნაპოლეონიანას ქმნის. ნაპოლეონზე ასე ინტენსიური წერა მრავლისმეტყველი უნდა იყოს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ დიდ დაინტერესებას, გატაცებას, რომელსაც ბაირონი იჩენდა ნაპოლეონის მიმართ. სასურველად მიგვაჩნია, ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ბაირონის ლექსების ერთად თავმოყრა, ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს ამ საკითხის უფრო ღრმად გააზრებას.

აღნიშნულ თემაზე ქართულ ენაზე არსებობს მეტად მწირი ლიტერატურა, ამიტომ, ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მოკლედ გადავავლოთ თვალი ამ პრობლემას. ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულება არასოდეს არ ყოფილა ერთმნიშვნელოვანი, მხოლოდ დადებითი ან მხოლოდ უარყოფითი. საკითხი არის საინტერესო და რთული, რაც მნიშვნელოვანწილად იმითაა გამოწვეული, რომ ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი, როგორც ამ მოვლენების უშუალო თანამედროვის, დინამიზმით გამოირჩევა და ხშირად ემოციურ ხასიათს ატარებს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად ნაპოლეონი იყო უაღრესად რთული და მრავალნახნაგოვანი ფიგურა და მისი მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმაოდ ჭირს. ძნელია დავეთანხმოთ ლიტერატურათმცოდნე ა. ვინოგრადოვს, თითქოსდა ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი, როგორც ტირანის და დესპოტისადმი ძირითადად იყო უარყოფითი. [2. გვ. 68]. რა თქმა უნდა, ნაპოლეონი, როგორც დამპყრობელი, დესპოტი და ტირანი ბაირონისათვის მიუღებელია. ეს მედლის ერთი მხარეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბაირონისათვის ნაპოლეონი არასოდეს

არ ყოფილა მხოლოდ ტირანი, დესპოტი და დამპყრობელი, ამიტომ ბაირონის თვალსაზრისის ამგვარი ინტერპრეტაცია დამაჯერებლად არ მიგვაჩნია და აღნიშნულ თემაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ასეთი მსჯელობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას მკაფიოდ ეტყობა იმ დროის კვალი, როდესაც 30-იან წლებში უმთავრესად ი. სტალინის ძალისხმევით ნაპოლეონს უყურებდნენ როგორც „ევროპელ ჩინგიჭ-ხანს“. ასეთი შეხედულება იყო უაღრესად ცალმხრივი, სუბიექტური და ტენდენციური.

აღნიშნული პრობლემისადმი დიდ დაინტერესებას იჩენს ფილოლოგი, საქართველოში ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი. ამ თემას მან რამდენიმე საინტერესო ნაშრომი უძღვნა. პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ლირსია ბაირონის – „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტზე“ ქართულ ენაზე გამოცემა. 2000 წლის ივნისში ნაპოლეონ ბონაპარტისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესზე მან ნაიკითხა საინტერესო მოხსენება „ბაირონი, პრომეთე, ნაპოლეონი“. საკითხის ასეთი დასმა საგულისხმო უნდა იყოს, ხოლო მისი გადანვეთა ყურადღებას იპყრობს. ამ თემას ეხება ის თავის მეორე წიგნში „ბაირონი ქართულად“ [3].

ეს თემა დიდი ხნის მანძილზე გვაინტერესებდა და გამოჩენილი ინგლისელი პოეტის დაბადების 200 წლისთავთან დაკავშირებით გამოვაქვეყნეთ მცირე მოცულობის სტატია „ბაირონი და ნაპოლეონი“, რომელიც ქართულ სინამდვილეში ამ პრობლემის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ [4], მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო უკმარისობის გრძნობა მაინც გვრჩებოდა და ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ამ საკითხზე მუშაობა არ შეგვეწყვიტა [5].

\*\*\*

ბაირონი ნაპოლეონის თაყვანისმცემელ რომანტიკოსთა ერთ-ერთ ლიდერად უნდა მივიჩნიოთ. ბაირონის გატაცება ნაპოლეონის მოღვაწეობით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ბაირონს ნაპოლეონი იზიდავდა როგორც ძლიერი პიროვნება, რომელმაც საკუთარი ნიჭის წყალობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მარტო დაუპირისპირდა მთელს აბსოლუტურ ევროპას და

რომელიც რომანტიკოსებს, მათთვის სასურველი ზედმეტი ადამიანის განსახიერებად ესახებოდათ.

ნაპოლეონისადმი დამოკიდებულება ბაირონს აშკარად გამოარჩევს მისი თანადროული, XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ფონზე და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ საკითხზე მის შეხედულებების ფასეულობას. აქ, უპირველეს ყოვლისა, იმის თქმას ვაპირებთ, რომ თუ ბაირონის თანამედროვე ინგლისელი მწერლები და ისტორიკოსები ნაპოლეონის მოღვაწეობას, უპირატესად უარყოფითად აფასებდნენ, ბაირონზე ამას ვერ ვიტყვით. ნაპოლეონისადმი მისი დადებითი დამოკიდებულება კონტრასტს ქმნის იმდროინდელი ინგლისის პოლიტიკური აზროვნების ფონზე და ყურადღებას იპყრობს თავისი თვითყოფადობით, საკუთარი ხელნერით. გამოჩენილი ინგლისელი მწერლის ვალტერ სკოტის ნიგნი ნაპოლეონზე დანერვილია ტენდენციურად. იგი ნაპოლეონს ინგლისელი ობივატელის თვალთ უყურებს [6]. სკოტისა და ბაირონის თვალსაზრისს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავება ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი გასაღები მათ მსოფლმხედველობაშია საძიებელი. საქმე ისაა, რომ სკოტი ნაპოლეონის მოღვაწეობას, უნინარესად კონსერვატიული პოზიციებიდან განიხილავს, ხოლო ბაირონი კი, როგორც უკვე ითქვა, უპირატესად პროგრესულ-ლიბერალურ ფასეულობაზეა ორიენტირებული. ბაირონი ნაპოლეონს აღიქვამდა ისეთ ისტორიულ პიროვნებად, რომელიც „მეფედ შობილი არ იყო, მაგრამ ეტლში მეფეები ყავდა შებმული“.

ბაირონის გატაცება ნაპოლეონის პიროვნებით, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ პაროუდან იწყება. არსებობს გადმოცემა, რომ იგი თავგამოდებით იცავდა ნაპოლეონს თანაკლასელების გაკილვისაგან. ჭაბუკ ბაირონს, უეჭველად იზიდავდა რესპუბლიკის ახალგაზრდა გენერლის ბრწყინვალე გამარჯვებები მონარქისტული ევროპის ჯარებთან ბრძოლებში.

თავისი უკვდავი ქმნილების „ჩაილდ ჰაროლდის“ პირველ და მეორე სიმღერაში ბაირონი სასტიკად გმობს როგორც ნაპოლეონის შეჭრას ესპანეთში, ისე ინგლისის ორჭოფულ პოლიტიკას და ვერაგობას ესპანელი ხალხის მიმართ: „ჩაილდ ჰაროლდში“ ყურადღებას იპყრობს ბაირონის მიერ ესპანეთში ნაპოლეონის შეჭრის შეფასება. ეს მსჯელობა ნმინდა მხა-

ტვრულ-ლიტერატურულ ღირსებებთან ერთად, გარკვეულ ისტორიოგრაფიულ დატვირთვას იძენს. ნუთუ მხნეობა, სიჭაბუკე, სული ძლიერი, უნდა ემსხვერპლოს თავგასულ ტირანს, რომ განადიდოს ბედი მისი ყალბი, ცბიერი და ესპანეთს ხედეს სიკვდილი ნილად, ნუთუ ესპანეთს ველარ დაიხსნის ვერც გმირთა მკლავი, მამაცური ხმლის კვეთება, ველარც ჭაბუკთა მხნე აღმაფრენა, მხნედ ამხედრება, ვერც მამულიშვილური აღტაცება, ვერც ბრძენთა ბრძანება". ბაირონი უდიდეს პატივს მიაგებს ეროვნულ და პირად თავისუფლებას და მისი სიმპატიები სულ მთლიანად თავისუფლებისათვის მებრძოლი ესპანელი ხალხის მხარეზეა, იგი ამკარად იმაღლებს ხმას ესპანეთში ნაპოლეონის შეჭრის წინააღმდეგ. „მეომრებს გვერდში ამოუდგნენ დედაკაცებიც, რომ უგალობონ ომის ღმერთს... მათ ვერ ამინებთ რისხვა მტრისა და გამკაცრებით ფიცხელ ბრძოლაში მიჰქრიან ველური ძახილით". ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომელმაც დიდად შეუნყო ხელი ბაირონს კარგად გაეცნობიერებინა ესპანეთის ამბები, ესპანეთში მოგზაურობა იყო. ბაირონის სახით საქმე გვაქვს საფრანგეთის ოკუპაციის შედეგების უშუალო თვითმხილველთან. ის საკმაოდ ინფორმირებული ჩანს იმის თაობაზე, რაც ესპანეთში ხდებოდა. ალბათ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ბაირონმა ესპანელების თავისუფლების ხელყოფა თვით ნაპოლეონს ვერ აპატია. ბაირონის ეს მსჯელობა, უეჭველად, შეიცავს რაციონალურ მარცვალს. ალსანიშნავია, რომ მოგვიანებით 1819 წელს, წმინდა ელენეს კუნძულზე, როდესაც პოლიტიკური ვნებათაღელვა უკვე ჩაცხრა, ნაპოლეონმა აღიარა, რომ „მის მიერ დაშვებული ყველაზე სერიოზული შეცდომა იყო ექსპედიცია ესპანეთში", რასაც ის იმით ხსნიდა, რომ მისი მიზანი იყო ბურბონთა დინასტიის თავიდან მოშორება. ამის კიდევ ერთი მიზეზი იყო კონტინენტური ბლოკადა. მას სურდა პირიქის ნახევარკუნძული დაეკეტა ინგლისის პროდუქციისათვის. თანამედროვე ესპანელი ისტორიკოსის არტოლას თქმით ეს იყო „უსარგებლო ომი“ [7]. მიუხედავად ამ მიზნებისა შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთში ნაპოლეონის შეჭრამ კატალიზატორის როლი შეასრულა, დააჩქარა ესპანეთის მოდერნიზაციის პროცესი და მძლავრი სტიმული მისცა ესპანეთის სამხრეთ

ამერიკის კოლონიებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოვლიძებას.

ყველაფერ ამას მიყავს თუ არა ბაირონი ნაპოლეონის დაგმობამდე? რა თქმა უნდა არა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ჩაირლდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერა. „ვით საფრანგეთის სამარე მის წინ სისხლით დამბალი ძევს ვატერლოო...“ ნაპოლეონი დაემხო. ეს სიტყვები ნაპოლეონის დაცემით გამოწვეული გულსტიკივლით არის გაჯერებული. უსათუოდ, საგულისხმო უნდა იყოს, რომ ინგლისიდან ექსორიაყოფილმა ბაირონმა შვეიცარიაში ჩასვლამდე ბელგიაში შეიარა და ვატერლოოს ველი მოინახულა. ეს განცდები და შთაბეჭდილებები კარგად აისახა „ჩაირლდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერაში. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ნაპოლეონისადმი მის კეთილგანწყობას, საქმე ისაა, რომ ბაირონი ნაპოლეონში ხედავდა საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციების გამგრძელებელს და ამაში, უნდა ითქვას, რომ ბაირონი არ ცდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ 1814–1815 წლებში ბაირონის დაინტერესება ნაპოლეონის მოღვაწეობით თავის პიკს, მწვერვალს აღწევს. ბაირონის დიდი ინტერესი ნაპოლეონისადმი ადვილი გასაგებია. ნაპოლეონის ეპოპეა დასკვნით ფაზაში შედის. ბაირონმა დაინახა, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბაირონის დღიურები და წერილები. დღიურები ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო ისტორიული წყაროა. მათი ავტორი არ აპირებს მის გამოქვეყნებას და არ ცდილობს მოვლენების და ფაქტების შელამაზებას, როგორც ეს ხდება მაგალითად მემუარებში.

1814 წლის დასაწყისისათვის ნაპოლეონის იმპერიას მძიმე დღეები დაუდგა. ის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ევროპის აბსოლუტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. კვლავ შეიცვალა ომის ხასიათი. ამიერიდან იგი საფრანგეთისათვის თავდაცვითი, განმათავისუფლებელი ომის ხასიათს ატარებდა. ეს თანამედროვეებმა კარგად დაინახეს. 1814 წლის 18 თებერვალს ბაირონმა თავის დღიურში ჩაწერა: „ნაპოლეონი. ეს კვირა გადანყვეტს მის ბედს. ეტყობა, ყველაფერი მის წინააღმდეგაა, მაგრამ მე მწამს და ვიმედოვნებ, რომ ის გაიმარჯვებს...“ [8. 81]. ბაირონი ამ მოვლენების უშუალო თანამედროვეა და მისი

პოზიცია ემოციურია, გრძობები ბატონობენ გონებაზე და ბაირონს სასურველი შესაძლებლად ესახებოდა. სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. მოკავშირეები პარიზში შევიდნენ. 1814 წლის 6 აპრილს ნაპოლეონი იძულებული იყო გადამდგარიყო. ფრანგი ისტორიკოსის ჯაკ ბენეილის თქმით „1814 წლის 6 აპრილი იყო 1799 წლის 18 ბრიუმიერი გადმოტრიალებული სახით“.

დღიურიდან კარგად ჩანს, თუ როგორ გულდასმით ადევნებდა თვალს ბაირონი მოვლენებს. 1814 წლის 9 აპრილს ბაირონს დღიურში ჩაუწერია: „ექვსი დღის მანძილზე გასული ვიყავი ქალაქიდან, როდესაც დაებრუნდი შეეიტყვე, რომ ჩემი საბრალე პატარა კერპი, ნაპოლეონი, ტახტიდან გადმოუგდიათ. ყველაფერი თავის ბრალაა, მილიონის მსგავსად მან მუხის გაპობა მოინდომა, მუხამ კი პირი შეკრა და მისი ხელებიც შიგ ჩაიყოლია. ახლა ყველა მხეცს – ლომს, დათვსა და თვით ბინძურ ტურასაც კი შეუძლია მისი გაგლეჯა. მოსკოვურმა ზამთარმა მას ხელები მოანწკა და იგი მხოლოდ ფეხებითა და კბილებით იბრძოდა“. [3, გვ. 57–58]. ეტყობა, ბაირონი უფრო იმ თვალსაზრისისაკენ იხრებოდა, რომ 1812 წლის რუსეთის წინააღმდეგ ომში ნაპოლეონის დამარცხების მიზეზი იყო რუსული ზამთარი, სხვათა შორის, ბაირონი არ იყო ერთადერთი, რომელიც ამგვარად ფიქრობდა, ალსანიშნავია, რომ შემდგომში ამ ვერსიას ფართო პროპაგანდას უწევდა თვითონ ნაპოლეონი. მისი როგორც მხედარმთავრის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ეს მოსაზრება მრავალმა ისტორიკოსმა გაიზიარა მათ შორის იყო ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი, ჰანს დელბრიუკი.

რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს იმას, რომ რუსეთის მკაცრმა კლიმატმა მკვეთრად დასცა საფრანგეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა, მაგრამ ეს არ იყო 1812 წელს ნაპოლეონის არმიის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი. იყო ამის გამომწვევი სხვა უფრო სერიოზული ფაქტორები, რომლის გვერდის ავლა, მიწუმათება, მართებული არ იქნებოდა. [9, გვ. 196–197].

1814 წლის 9 აპრილს ბაირონი ირლანდიელ პოეტს თომას მურს წერდა: „ეკ, ჩემი საწყალი პატარა კუმირი, ნაპოლეონი, ჩამოაგდეს ტახტიდან. ლაპარაკობენ, რომ ის გადადგა, ამას შეუძლია ცრემლი ადინოს სატანას თვალებიდან“. ბაირონის დღიური და კერძო წერილები ნაპოლეონის გადადგომით

გამონეული გულისტკივილითაა გაჯერებული. 1814 წლის 18 აპრილს მას დღიურში ჩაუწერია: „ბურბონები დაბრუნდნენ. ძირს კეთილგონიერება, დიდი ხანია შევიძლე ჩემი თავი და ადამიანები, მაგრამ არასოდეს ეს სიტულებილი იმ ზომამდე არ მისულა, როგორც ახლა. მე სახეში ვაფურთხებ ჩემს თანამოძმეთ დედამინაზე. ოი, სულელი ჩემო თავო, ჭკუიდან შევიშლები“ [8, გვ. 93-98]. აქ კარგად ჩანს ის უარყოფითი რეაქცია, რომელიც გამოიწვია ბაირონში ნაპოლეონის დაცემამ და ბურბონთა დინასტიის რესტავრაციამ. აბსოლუტურად ნათელია, რომ ბაირონის სიმპათია ნაპოლეონის მხარეზეა. ეს გასაგებია. რომანტიკოსებს და მათ შორის, ცხადია, ბაირონს, ნაპოლეონი წარმოდგენილი ყავდათ პირველ ყოვლისა, როგორც პროგრესისთვის მებრძოლი, ანტითეზა ბურბონების, მეტერნიხის, კესტლერის, საღვთო კაჟმირის, რომელშიც ბაირონი ხედავდა რეაქციის ერთ-ერთ მთავარ ბურჯს. შესაძლებელია, ბაირონი აიდეალუბდეს ნაპოლეონს, მაგრამ მოუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ იგი სინამდვილესთან ძალიან ახლოს მივიდა.

ნაპოლეონი კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. ფუშეს თქმით: „ნაპოლეონი ელბაზე იტალიისათვის, საფრანგეთისათვის და მთელი ევროპისათვის იგივე იქნება, რაც ვეზუვი ნეაპოლისათვის“. ფუშეს ალლომ არ უმტყუნა, გადასახლებაში მყოფი ნაპოლეონი გულდასმით ადევნებდა თვალყურს საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას, მან კარგად დაინახა ის საერთო უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვია საფრანგეთში ბურბონების რესტავრაციამ. ნაპოლეონმა გადაწყვიტა დაბრუნებულიყო საფრანგეთში. ფრანგი ისტორიკოსები ამას „არნიეის აფრენას“ უწოდებენ. 26 თებერვალს ნაპოლეონმა დატოვა კუნძული ელბა. 1 მარტს შუადღის 3 საათზე მშვიდობიანად ჩაუშვა ლუზა სამხრეთ საფრანგეთში, დედაქალაქისაკენ ნაპოლეონის სვლა ტრიუმფალური იყო. 20 მარტს სალამოს 9 საათზე ნაპოლეონი პარიზში შევიდა. ერთი მოხუცი როიალისტი ერთგვარი გულისტკივილით ამბობდა „ყველაფერი ეს ძალიან გავდა კერპთაყვანისმცემლობას“. თანამედროვეებმა 1815 წლის მარტის მოვლენები აღიქვეს როგორც სოციალური გადატრიალება, რომლის შედეგადაც ხალხმა თავიდან მოიშორა პოლიტიკური რე-

ყიმი, რომელიც ლამობდა რევოლუციის სოციალური მონაპოვარის განადგურებას [10].

საინტერესოა როგორი იყო ბაირონის რეაქცია ისტორიული მოვლენების ამგვარ განვითარებაზე. ელბიდან ნაპოლეონის დაბრუნებით გამოწვეული ბაირონის ალტაცება კარგად ჩანს მისი წერილიდან თომას მურისადმი, 1815 წლის 27 მარტს. „ახლა თქვენი წერილის შესახებ... ნაპოლეონი, მაგრამ გაზეთებმა, ალბათ, უკვე შეგატყობინეს ყველაფერი; ამ საკითხში ნამდვილად შევთანხმდებით და თუ გსურთ იცოდეთ ნამდვილად რას ვფიქრობდით ამაზე ერთი წლის წინათ, გადახედეთ ჩემი დღიურის უკანასკნელ ფურცლებს, მე თქვენ, რომ გადმოგეცით. შეუძლებელია არ გაგაოცოთ, თვალი არ მოგჭრათ მისმა ბედმა, მისმა პიროვნებამ. მე არასოდეს არაფრით არ ვყოფილვარ ისე გულგატეხილი, როგორც მისი გადადგომის დროს და ვერაფერი ვერ შემარიგებდა მასთან, გარდა აღდგომისა – უკანასკნელი გმირობით რომ მოიპოვა, თუმცა თქმა არ უნდა, არავის შეეძლო მისი ასეთი სრული და ბრწყინვალე აღდგომა ეწინასწარმეტყველა“. ბაირონის ეს სიტყვები ნაპოლეონისადმი ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული. ნაპოლეონის დაბრუნება ყველაზე უფრო საუკეთესო რეაბილიტაცია იყო ბაირონის თვალში, ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბაირონის პატარა ოთხსტრიქონიანი ლექსი „ნაპოლეონის გაქცევა კუნძულ ელბადან“ [11. 102], რომელიც დაწერილია 1815 წლის 27 მარტს. ბაირონის ასეთი მყისიერი, სასწრაფო რეაქცია ფრიად ნიშანდობლივია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ფაქტით გამოწვეულ ბაირონის ალფრთოვანებას. ასეთი დადებითი ემოციური მუხტი ადვილი გასაგებია და სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, შეიძლება ითქვას, რომ ბაირონმა აისრულა სურვილი და ნაპოლეონი დაბრუნდა. 1814 წლის აპრილში ბაირონი წერდა „მანამ სანამ ელბა არ გადაიქცევა ვულკანად და უკან არ გადმოისვრის ნაპოლეონს, მე არ შემიძლია დაგიჯეროთ, რომ ყველაფერი დამთავრებულია“. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ ამჯერად, ბაირონი არ ცდებოდა, ნაპოლეონისადმი ბაირონის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეჭვს გარეშეა.

ნაპოლეონისადმი სიმპათიებს ამჟღავნებს ბაირონი თავის ლექსებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მისი ორი ლექსი

„ოდა ფრანგულიდან“, რომელიც მან დანერა 1815 წელს ვატერ-ლოოს ბრძოლის შემდეგ და „საპატიო ლეგიონის ორდენის ვარსკვლავი“, რომელიც დაწერილია 1816 წელს. პირველ ლექსში ის ნაპოლეონისადმი თავის დამოკიდებულებას მკაფიოდ გამოხატავს, მეორეში კი მას არაპირდაპირ აკუთებს და ეხება 1804 წლის 19 მაისს ნაპოლეონის მიერ დაარსებულ საპატიო ლეგიონის ორდენს [11-102-103,105-106].

თავის ლექსში „ოდა ფრანგულიდან“ ბაირონი იხსენებს ვატერლოოს ბრძოლას 1815 წლის 18 ივნისს და ვერ მალავს თავის გულისტკივილს ნაპოლეონის დამარცხების გამო. იგი აქებს ნაპოლეონს და მას უწოდებს „მოქალაქე ჯარიკაცს“, „თავისუფლების კეთილშობილ შვილს“, მაგრამ ამავე დროს ბაირონი ხაზს უსვამს მის პატივმოყვარეობას, ძალაუფლებობასავე ლტოლვას, რამაც ის აქცია დამპყრობლად, ტირანად, დესპოტად, რომელსაც არ ძალუძს უარი თქვას ძალაუფლებაზე. „იყო ბონაპარტე და გახდე იმპერატორი, რა დაცემდა“. პოლ-ლუი კიურეს ეს შეფასება კარგად გამოხატავდა იმ სულიერ მდგომარეობას, რომელიც დიდ ლორდ ბაირონს დაუფლებოდა. ნაპოლეონის თანამედროვე ტიბოდო სვედიანად დასძენდა: „გენერალმა ბონაპარტმა შექმნა მრავალი რესპუბლიკა. პირველმა კონსულმა მოახერხა შექმნა მეფე“. 1804 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევამ თანამედროვეთა გულგატეხილობა გამოიწვია. მათ შორის იყო დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი.

ბაირონი გულგატეხილობას არ მიყავს ნაპოლეონის დაგმობამდე, ის ზურგს არ აქცევს ნაპოლეონს, პირიქით, ეს არის პატივისცემი პიროვნების მიერ დაშვებული შეცდომებით გამოწვეული გულწრფელი გულისტკივილი. ამ მხრივ საინტერესოა ბაირონის ლექსი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“. ეს ლექსი არ იქნებოდა ფასეული ის მხოლოდ ნაპოლეონის პანაგერიკი რომ იყოს. ეს ლექსი, არც მაშინ იქნებოდა ღირებული თუ ის იქნებოდა ნაპოლეონის უბრალო ლანძღვა-ვინება, განქიქება. ბაირონის ლექსი ნაპოლეონის დაცემით გამოწვეული გულისტკივილითაა აღსავსე. ბაირონს შესანიშნავად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მიუხედავად ნაპოლეონის ცალკეული ნაკლოვანებებისა, ის გაცილებით უფრო პროგრე-

სული პიროვნება იყო, ვიდრე ისინი, ვინც ნაპოლეონი დაამხო და „სალთო კავშირი შექმნა“.

ბაირონის ეს ლექსი წარმოადგენს ნაპოლეონის დაცემაზე რეაქციას. თავისთავად ასეთი მყისიერი გამოხმაურება საინტერესოა და ნაპოლეონისადმი ბაირონის კეთილგანწყობილებას კიდევ ერთი გამოვლენა უნდა ჩანდეს. ძნელი საფიქრელია, რომ ბაირონს ეს ლექსი ნაპოლეონის განქიქების მიზნით დაენეროს. ეს ნაქცევული კაცის ჩანჩხლვის ტოლფასი იქნებოდა, რაც ბაირონის ხასიათში არ შედიოდა. ბაირონის ასეთი ემოცია შეიძლება გამოეწვია ნაპოლეონისადმი უდიდეს პატივისცემას და, იმ გულგატეხილობას, რომელსაც ის ამ სახელს უკავშირებდა. ამიტომ ეს ლექსი ნაპოლეონისადმი ბაირონის უაწყოფითი დამოკიდებულების საბუთად არ გამოადგება. ბაირონი აღფრთოვანებულია ნაპოლეონის მოღვაწეობით და ვერ მალავს მისი წარუმატებლობით გამოწვეულ გულისტკივილს.

1814 წლის 9 აპრილს თომას მურისადმი გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ, რომ ბაირონი ხელს იღებს ლექსის წერაზე და თავის განზრახვას იმით ასაბუთებს, რომ იგი პოეზიაზე მალლა საქმეს აყენებს [8]. ასეთად მას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლა მიაჩნია, რასაც საბოლოოდ კიდევ შეეწირა ბაირონის სიცოცხლე 1824 წელს საბერძნეთში. ლიტერატურის ისტორიკოსები აღნიშნავენ: ბაირონმა, ნაპოლეონის გადადგომა რომ გაიგო სიტყვა გატეხა და თავისი ერთ-ერთი შედეგური „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ დაწერა. რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ბაირონის პატივისცემა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი, რომ მან დადებულ პირობა დაარღვია, მაგრამ სინამდვილეში იყო კი საქმე ასე? გატეხა კი ბაირონმა თავისი სიტყვა? ჩვენი აზრით არა, იქნებ ბაირონის ეს ლექსი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მეტად სამართლიანობის და თავისუფლების დაცვას? განა ამისთვის უკეთესი თემის შერჩევა, ვიდრე ნაპოლეონზე წერაა, იმ პერიოდში შეიძლებოდა? [5]. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ „სალთო კავშირის“ დროს, რეაქციის წლებში, ბაირონის მიერ ნაპოლეონის დაცვა ყველაზე უფრო სამართლიან საქმედ მიგვაჩნია.

ბაირონის ეს ლექსი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ წარმოადგენს ნაპოლეონისადმი დიდი ინგლისელი მწერლის

დამოკიდებულების თავისებურ რეზოუმეს, შეჯამებას, რომელიც „გენიოსის ცივი გონებით და მგზნებარე პოეტური განცდითაა დანერილი“. თუ ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი ნეგატიური იყო და იგი მასში, პირველ ყოვლისა, დამპყრობელს, დესპოტს და ტირანს ხედავდა, როგორც ამას ხაზს უსვამს რუსი ლიტერატურათმცოდნე ა ვინოგრადოვი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამ ლექსს არ უნოდებდა „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ და მას, ალბათ, სულ სხვა სათაური ექნებოდა. ეს უფრო ლოგიკური იქნებოდა.

1814 წლის აპრილში ნაპოლეონის გადადგომით გულნატკეპნი ბაირონი დასძენდა „თუმცა დღეს ის ყველა თაყვანისმცემელმა მიატოვა და მას ყველა გაურბის, ზურგს მას მაინც არ შეუვაცევ“. ამ პათოსითაა გამსჭვალული ბაირონის მთელი ლექსი „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბაირონი ნაპოლეონს აღიქვამდა, როგორც დადებით ისტორიულ პერსონაჟს, რომელმაც მსოფლიო ისტორიაში პოზიტიური როლი შეასრულა. რომანტიკოსები და ბაირონი ნაპოლეონში ხედავდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის საქმეთა გამგრძელებელს, რომელიც მართალია „მეფედ შობილი არ იყო, მაგრამ ეტლში მეფეები ჰყავდა შებმული“. ბაირონის ნაპოლეონით გატაცების გასაღებიც, სწორედ, აქ ძვეს საინტერესოა, რომ ბაირონს ნაპოლეონის მოღვაწეობაში ზუსტად ის ხიბლავდა და იზიდავდა, რაც ვალტერ სკოტს ყველაზე ძალიან არ მოსწონდა. „ვატიერლოოს ბრძოლის დროს თავისუფლებამ დაამარცხა ტირანი, რომელიც თავისუფლების შეილიდან დესპოტად გადაიქცა“. რესპუბლიკის გენერლის იმპერატორად კურთხევამ ბაირონს გული გაუტეხა, მაგრამ იგი მაინც დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს. ბაირონმა ძალიან კარგად დაინახა, რომ მიუხედავად ნაპოლეონის ნაკლოვანებებისა ისინი, ვინც დაამხო ნაპოლეონი მასზე უკეთესი კი არა უფრო უარესები იყვნენ და რაც მთავარია – მას არავითარი წინსვლა არ მოჰყოლია, პირიქით. აქ კი ბაირონის გამტყუნება ნამდვილად გაძნელებუბოდა. ბაირონი თავის ლექსში „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ ისტორიის ჩინებულ ცოდნას ავლენს და იმ პოლიტიკოსებს იხსენებს, რომლებმაც უარი თქვეს ძალაუფლებაზე. რომაელმა პოლიტიკოსმა ლუციუს კორნელიუს სულამ ქრისტეს მო-

ბამდე 138–785 წ.) 79 წელს ძლიერების ზენიტში მყოფმა უარი თქვა ძალაუფლებაზე, რომის იმპერატორი დიოკლეტიანე (284–305 წწ) 305 წელს უარს ამბობს იმპერატორის გვირგვინზე და თავის მამულში ჩერნოგორიაში მიემგზავრება, სადაც 313 წელს გარდაიცვალა. თურქეთის სულთანმა მურად II (1408–1451 წწ) 1444 წელს უარს ამბობს ტახტზე შვილის სასარგებლოდ. ესპანეთის მეფე კარლოს V (1519–1555 წწ) ტახტიდან გადადგა და ცხოვრების ბოლო წლები მონასტერში გაატარა [3]. ბაირონი ძალიან კარგად ხედავს, რომ ნაპოლეონის გადადგომა იძულებით ხასიათს ატარებდა. საინტერესოა, რომ ბაირონი არც ნაპოლეონის ამ ნაბიჯს მიყავს დაგმობამდე. ვაიშარელი ბრძენი იოჰან ვოლფგანგ გოეთე აღნიშნავს „ძალაუფლება მისთვის“ (ე. ი. ნაპოლეონისათვის – მ. კე.) იგივე იყო, რაც დიდი ხელოვანისთვის მუსიკალური ინსტრუმენტი“. ფრანგ ისტორიკოსს იპოლიტ ტენს მოყავს ნაპოლეონის ერთი გამონათქვამი „ძალაუფლება ეს ჩემი საყვარელია“. ბაირონი საკუთარი გადასახედიდან საესებით მართალია, მაგრამ, ნებისით თუ უნებლიეთ, იგი სასურველსა და შესაძლებელს შორის დილემის წინაშე აღმოჩნდება. აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ძალაუფლებაზე ხელის აღება ნაპოლეონისათვის სულაც არ იყო ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ნაპოლეონისათვის ძალაუფლება ყველაფერია და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ძლიერებაც და სისუსტეც. ნაართვი მას ეს და ის დაკარგავს თავის მნიშვნელობას. განა შეიძლება მუსიკოსს ჩამოართვა ინსტრუმენტი, რომელზეც ის უკრავს სხვადასხვა პანგებს? „მსოფლიო მოქალაქე“, „ფიქრთა მპყრობელი“ ბაირონი ჩვეულებრივ, პოლიტიკურ ვნებათაღელვაზე, ორომტრიალზე მალლა დგას და თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია. ნაპოლეონისაგან განსხვავებით ბაირონს არ გააჩნია პოლიტიკური ამბიციაც და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი უპირატესობა.

ბაირონის მიერ მოხმობილ ისტორიულ პარალელებში ნაპოლეონის დამამცირებელს ვერაფერს ვხედავთ. ერთნი გადადგნენ, მეორენი კი არა. ეს მათი არჩევანი იყო და ძნელია განსაჯოთ. შესაძლოა, სასურველი იყო გადადგომა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ეს ჩრდილს ნაპოლეონს ნაკლებად აყენებს. ამი-

ტომ, ვფიქრობთ, ბაირონის ტონი ნაპოლეონისადმი კეთილ-მოსურნე განწყობილების ფარგლებს არ სცილდება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ბაირონის ლექსის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“ ფინალი. იგი ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულების თავისებურ რეზოუმედ შეიძლება მივიჩნიოთ. ეს მონაკვეთი, ჩვენი აზრით, ნაპოლეონის ქებას წარმოადგენს. აქ ნაპოლეონისადმი ბაირონის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თავის პიკს, კულმინაციას აღწევს. ამ მხრივ ყურადღებას იმყრობს ბაირონის მიერ ნაპოლეონის და ვაშინგტონის შედარება. ასეთი პარალელი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და იმ პერიოდის ლიტერატურაში მეტად მოდური იყო.

ბაირონის მკაცრმა ტონმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყენოს. ის კარგად თავსდება ნაპოლეონისადმი ბაირონის კეთილგანწყობილების კონტექსტში და არასოდეს ნაპოლეონის დაგმობამდე არ მიდის. ვფიქრობთ, რომ ასე ხდება ამჯერადაც. ამ ორი გამოჩენილი პიროვნების შედარებას ასეთი ლოგიკა გააჩნია. ვაშინგტონს ხშირად უპირისპირებდნენ ნაპოლეონს, როგორც სახელმწიფოს ორგანიზატორს, დიდ დამპყრობელს, ხაზს უსვამდნენ, რომ ნაპოლეონმა ვერ შეასრულა ის მისია, რომელიც ისტორიამ არგუნა, ყველაფერი საკუთარ სახელს და დიდებას ანაცვალა, ხოლო ვაშინგტონმა ყველაფერი გააკეთა, რაც მას ევალებოდა და მხოლოდ თავის ხალხზე ზრუნავდა. სტენდალი აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონი არსებდა სახელმწიფოებს, ხოლო ვაშინგტონი ორგანიზებას უკეთებდა მას“. (ამგვარი მიდგომა ცალმხრივი და საკამათო შეიძლება იყოს). სავსებით ვეთანხმებით პროფ. ბ. რეიზოს, რომ „ამაში ნაპოლეონის შურაცხმყოფელი დამამცირებელი, არაფერია“. შარლ დე გოლის თქმით, ნაპოლეონმა ერთნაირი გენი ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტენდალის მსგავსად, ბაირონისათვის ვაშინგტონის და ნაპოლეონის შედარება ერთ კონკრეტულ ამოცანას ემსახურებოდა – განადიდოს ნაპოლეონი, კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვროს მისი გენია, ახსნას მისი მოქმედებები და ამავე დროს გაამართლოს იგი, ხაზს უსვამს რა მის ნაკლოვან მხარეებს.

ნაპოლეონის წერილმა რეგენტისადმი ბაირონის უკმაყოფილება გამოიწვია. ნაპოლეონი წერდა. „თქვენო უდიდებულესობა, მე მსხვერპლი ვარ პარტიათა ბრძოლის, რომელიც სძიბენდა ჩემს სამშობლოს, მე ვეროპის უდიდეს სახელმწიფოთა მტრობის მსხვერპლი ვარ. სამუდამოდ თავს ვანებენ ჩემს პოლიტიკურ კარიერას და როგორც თემისტოკლე, კერიის სინათლისკენ რომ ისწრაფვოდა, მეც ბრიტანეთის კერას, თქვენი ქვეყნის კანონებს ვაფარებ თავს. გთხოვთ თქვენო უდიდებულესობა, როგორც ჩემს მონინალმდებეებს შორის უძლიერესმა, მტკიცე და კეთილშობილმა მფარველობა გამინიოთ“ [2. 69]. აქ აისახა საეხვებით რეალური ვითარება. ბაირონი გულდანყვეტილია იმით, რომ ნაპოლეონი ინგლისელებს ჩაბარდა ტყვედ. ბაირონის გულისტკივილი ადვილი გასაგებია, მაგრამ იმ მომენტში განა ნაპოლეონს გააჩნდა ფართო არჩევანი? მას უარესსა და ცუდს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი და მან გადადგა ბოლო ნაბიჯი [12].

ბაირონის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია იმ უდიერმა დამოკიდებულებამ, რომელსაც ინგლისელები იჩენდნენ წმინდა ელენეს კუნძულზე დატყვევებული იმპერატორის მიმართ. ეს ტენდენცია ძალუმად იგრძნობა მის პოემაში „ბრინჯაოს საუკუნე“. ეს სიუჟეტი უშუალოდ არის ნაკარნახები ო'შეარას წიგნის გაცნობით „განდევნილი ნაპოლეონის ანუ ხმა წმინდა ელენეს კუნძულიდან“ (1818–1822), რომელმაც ძალიან ძლიერი გავლენა მოახდინა ბაირონზე.

ბაირონი ნაპოლეონის დაცემას აღიქვამს როგორც მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ დიდ ტრაგედიას. მან მშვენივრად გააცნობიერა, რომ ნაპოლეონის დამხობას არ მოჰყოლია პროგრესი, პირიქით, ევროპაში საშინელი რეაქცია გაბატონდა, რომელიც პირდაპირ სულს უხუთავდა ბაირონს. მისი ღრმა რწმენით, ისინი ვინც დაამხო ნაპოლეონი, მასზე უკეთესი არაფრით არ იყვნენ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ბაირონის პოემა „ბრინჯაოს საუკუნე“. პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ საქმაოდ მრავლისმეტყველი ჩანს ბაირონის პოემის სათაური „ბრინჯაოს საუკუნე“. იგი ბაირონს შთააგონა ძველი ბერძენი მწერლის პესიოდეს ნანარმოებმა „სამუშაონი და დღენი“, აქ პირდაპირ არის გაცხადებული 1815 წლის შემდეგ არსებული პოლიტიკური ვითარებით ბაირონის უკმაყოფილე-

ბა. დიდი ინგლისელი პოეტი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ევროპის ისტორიის ამ ეპოქამ რევოლუციის იმედები, რომლის ერთ-ერთ განსახიერებად მას ნაპოლეონი ესახებოდა, ბრინჯაოს საუკუნედ აქცია. ბაირონი პესიმიზმს არ ეძლევა. მას რევოლუციის იდეალების ურყეობაში ეჭვი არ ეპარება. მას სულს უხუთავდა ის რეაქციული ატმოსფერო, რომელიც 1815 წლის შემდეგ სუფევდა ევროპაში და ცდილობდა როგორმე თავისუფლად ამოესუნთქა. იტალიის და საბერძნეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა სწორედ ამის მცდელობა იყო. „ბრინჯაოს საუკუნეში“ ბაირონის ფრაზები „მეფედ შობილი არ ყოფილა, მაგრამ ეტლში მიფეხები ჰყავდა შებმული“ მრავლისმეტყველი უნდა იყოს და ნაპოლეონისადმი მისი სიმპათიების, კეთილგანწყობის კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ. აქ, ვფიქრებთ, კარგადაა ხაზგასმული, რომ ის სიცოცხლის ბოლომდე დიდ პატივს მიაგებდა ნაპოლეონს და მასზე აზრი არასოდეს შეუცვლია.

ბაირონის ნეგატიური დამოკიდებულება „საღვთო კავშირისადმი“ მეტერნახისადმი, კესტლერისადმი, ველინტონისადმი, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მასში ნაპოლეონისადმი ბაირონის კეთილგანწყობილების ირიბი ანარეკლი უნდა დავინახოთ. ბაირონმა ძალიან კარგად შენიშნა, რომ 1815 წლის შემდეგ ევროპაში აღარ იყო ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც შეიძლებოდა გატოლებოდა საფრანგეთის ექსიმპერატორს. შემთხვევითი როდია, რომ ბაირონის პოემას „ბრინჯაოს საუკუნე“, ნინ უძღვის ეპიგრაფი „მთელი ჯოგი ერთ აქილევსსაც არ უდრის“. გამოვთქვათ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ხომ არ გულისხმობდა აქ ბაირონი ნაპოლეონს? როგორც უკვე ითქვა რომანტიკოსები, მათ შორის, პირველ რიგში, ბაირონი ნაპოლეონს აღიქვამდა როგორც ანტითევზას საღვთო კავშირის, ბურბონების, ველინტონის, კესტლერის, მეტერნახის. ბაირონის არჩევანი საინტერესო იყო და ხაზს უსვამდა მის პოლიტიკურ ალღოს, ბაირონი პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მოუთითებენ ბაირონისა და ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე. ამაში გასაკვირი არაფერია. ისინი ორივენი რომანტიკოსები იყვნენ. ბაირონის და ბარათაშვილის დაინტერესება ნაპოლეონის მი-

როვნებით ამ სულიერი ნათესაობის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ალბათ არ ღირს დავა იმის თაობაზე, თუ ვინ უფრო მეტი სიმპათიებით იყო გამსჭვალული საფრანგეთის იმპერატორისადმი – ბაირონი თუ ბარათაშვილი. ძნელი სათქმელია, რომ „ბარათაშვილი უფრო მეტი ნაპოლეონისტი იყო, ვიდრე ბაირონი“ [13. გვ. 129].

ამრიგად, ბაირონის როგორც უშუალო თანამედროვის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი დინამიურია. მის ანალიტიკურ მსჯელობაში გამოერევა ემოციური მუხტი, აღფრთოვანებას გულისტკივილი ჩაანაცვლებს, ხან კი პირიქით. უშუალოდ აქედან იღებს სათავეს ბაირონის შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენი ღრმა რწმენით, ბაირონის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი არასოდეს არ ყოფილა ნეგატიური. ბაირონი ნაპოლეონს აღიქვამს, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლუციის საქმეების გამგრძელებელს, ბურბონების, „სალეთო კავშირის“, მეტერნიხის, კესტლერის, ველინგტონის, ანტითეზას და ის ხაზს უსვამს, რომ ნაპოლეონი „მეფედ შობილი არ იყო, მაგრამ ეტლში მეფეები ჰყავდა შებმული“. აღსანიშნავია, რომ ბაირონი ნაპოლეონის მოღვაწეობის სწორედ იმ მხარეს ნასწევს წინ, რომელიც არ მოსწონდა ვალტერ სკოტს. ასეთი განსხვავება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და უპირველესად იმით იყო გამოწვეული, რომ ბაირონი ამ თემას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან განიხილავს, ხოლო სკოტი – კონსერვატორული (ბაირონის პოლიტიკური დემოკრატიზმის რადიკალიზაცია მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია). ნაპოლეონისადმი სიმპათიები „სალეთო კავშირის“ ბატონობის ხანაში სერიოზული წინააღმდეგმული ნაბიჯი იყო და ბაირონს მკვეთრად გამოარჩევდა იმ ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ფონზე. ბაირონის მიერ ნაპოლეონის მოღვაწეობის მალაო შეფასება სავსებით მართლზომიერია, მაგრამ, შესაძლოა, ბაირონი აიდეალებდა ნაპოლეონს, ეს კი, ცხადია, არ ღირს და ზედმეტია.

### ლიტერატურა

- 1 А. Манфред, общественно-политические идеи в 1815 года, "Вопросы истории", №5. 1966.

- 2 ა. ეინოგრადოვი, ბაირონი, თბ., 1973
- 3 ლორდი, ბაირონი, ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი, ინგლისურიდან თარგმნა ინესა მერაბიშვილმა, თბ., 1996. ბაირონი ქართულად, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარი ინესა მერაბიშვილი, თბ., 2002
- 4 მ კალანდაძე, ბაირონი და ნაპოლეონი, „საუნჯე“, 1 1988.
- 5 მ კალანდაძე, ბაირონის „ოდა ნაპოლეონ ბონაპარტისადმი“, „დროშა“ №11-12, 1999.
6. В. Скот, Наполеон, Жизнь Наполеона Бонапарта императора Французского, СПб. 1836.
7. Э. Тарле, Наполеон, М., 1957 А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973. დ ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნაწ, 2. თბ, 1997 Ж. Тюлар, Наполеон, М., 1996. С. Пожарская, Бурбоны в Испании, «Новая и новейшая история», №1 1993 Испанские короли, Р/Д. 1997.
- 8 Дж. Байрон, Дневники-письма, М., 1963
9. В Крамер, Г. Тренклер, Лексикон популярных заблуждений, М., 2000.
10. კ ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ, 2005.
- 11 Дж. Байрон, Избранные произведения, т 1 М., 1987
- 12 В. Сироткин, Изгнание и смерть Наполеона, «Новая и новейшая история», №4-5. 1974
- 13 ბ. ბარდაველიძე, ნ ბარათაშვილის ლექსი „ნაპოლეონი“, „ცისკარი“, №9, 1968

## II თავი

### ფრიდრიხ შილერი და ნაპოლეონი

ფრიდრიხ შილერი იყო ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს აღზევების, პირველი წარმატებების თვითმხილველი და თანამედროვე, ამიტომ ვფიქრობთ ინტერესსოკლებული არ უნდა იყოს ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი თვალსაჩინო გერმანელი დრამატურგის და ისტორიკოსის დამოკიდებულება. ამ რთულ საკითხზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბეძინებს, რომ ქართულ ენაზე მასზე არაფერი დანერვილა.

აღნიშნული საკითხის შესახებ ჩვენს ხელთ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა, მაგრამ ის მცირერიცხოვანი მასალა, რომელიც ვაგვაჩნია საინტერესო ჩანს და, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ორ სერიოზულ თემაზე. 1. შილერის რეაქცია ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველ წარმატებებზე. 2. შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის (ნაპოლეონის) საგარეო პოლიტიკისადმი.

ის მცირერიცხოვანი გერმანელი მკვლევარებიც კი, რომლებიც საგანგებოდ ეხებიან პრობლემას, შილერი როგორც ისტორიკოსი, ამ თემას, რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს, რაც მნიშვნელოვანნილად იმით აიხსნება, რომ მათი ყურადღების ცენტრში დგას შილერის ძირითადი ისტორიული შრომები „ნიდერლანდების განდგომის ისტორია“, „ოცდაათწლიანი ომი“, ხოლო შილერის მცირე მოცულობის სტატიებს, ცალკეულ გამონათქვამებს, კერძო წერილებს, რომლებიც საინტერესოა, შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. ამ თემის დამუშავების საქმეში თავისი წვლილი ფილოლოგებსაც მიუძღვით, აღნიშნული საკითხს გაკვერთ ეხებიან ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნეები [1.2.3.]. ისინი ხაზს უსვამენ, რომ შილერი არასოდეს ყოფილა უსაზღვროდ ალტაცებული ნაპოლეონის პიროვნებით. ეს სავესებით სწორია. მათ ფაქტის კონსტანტირება ზუსტად მოახდინეს, მაგრამ ამგვარი მიდგომა აღნიშნულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიქმნის. მათ ფაქტობრივად გაიზიარეს შილერის შეხედულება. ჩვენი

აზრით, აქ წერტილის დასმას, როგორც ამას აკეთებენ ეს ლიტერატურათმცოდნეები, ნაადრევი ჩანს. შილერის მსჯელობა კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს და მას გააჩნდნო თავისი ღირსებები და ნაკლი წმინდა წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით ეს ინფორმაცია ღირებულება და აქ გამოვლენილი მასალა საინტერესოა. მისი გამოყენება მიზანშეწონილი იქნება და ჩვენ ამ წყაროებს სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია შეიძლება მივცეთ.

\*\*\*

ახალგაზრდა გენერლის ნაპოლეონ ბონაპარტის ტრიუმფალური წარმატებები უმაღლესად აღმოჩნდა თანამედროვეთა ყურადღების ცენტრში. სრულიად ახალგაზრდა 30 წლის გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს – საფრანგეთის ბატონ-პატრონი შეიქმნა. მის ასეთ ელვისებურ აღზევებას მართლაც გააჩნდა რალაც რომანტიკური შარმი. თანამედროვეთა დამოკიდებულება ნაპოლეონის პირველი წარმატებებისადმი სხვადასხვაგვარი იყო. ერთნი მას აღფრთოვანებულები ადევნებდნენ თვალს, მეორენი კი თავშეკავებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ.

როგორც წყაროებიდან ჩანს, ფრიდრიხ შილერი, ახალგაზრდა ბონაპარტის პირველ წარმატებებს აღფრთოვანებაში არ მოუყვანია. ერთხელ ვოლცოგენის წრეში, როდესაც ყველანი აღტაცებულები საუბრობდნენ ნაპოლეონზე, შეფიქრიანებულ დრამატურგს უთქვამს: „ეჰ, მე რომ შემეძლოს აღტაცებული ვიყო ამ პიროვნებით, მაგრამ არა, მე ეს არ შემიძლია. ეს ხასიათი ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე ამაში ვერ ვხედავ ვერც ერთ სასიხარული შტრიხს“ [1. გვ. 325]. გერმანელი პუბლიცისტი იოჰან შერი, რომელსაც მოყავს ეს ფაქტი, უკომენტაროდ ტოვებს მას. შესაძლოა, ის იზიარებდა შილერის თვალსაზრისს. გამორიცხული არაა, რომ ფრ. შილერმა რალაც გაველენაც კი მოახდინა ი. შერის შეხედულების ფორმირებაზე. მაინც რატომ იყო ასე გულგატეხილი სახელგანთქმული დრამატურგი ფრიდრიხ შილერი? მისი სკეპსისი უმთავრესად იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ მან კარგად გააცნობიერა ერთი გარემოება. პროგრესი სამართლიანი გზით არ ხორციელდებოდა. დაპყრობითი ომები მისთვის მიუღებელი

იყო, შილერის თვალსაზრისს აქვს თავისი რეზონი და შეიცავს რაციონალურ მარცვალს.

შილერის გამონათქვამები ბონაპარტის მიმართ მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი 1805 წელს გარდაიცვალა და ვერ მოესწრო იმ პერიოდს, როდესაც ნაპოლეონის ომებმა მკვეთრად გამოკვეთილი აგრესიული ხასიათი მიიღო – 1808 წელს ესპანეთში შეჭრა და 1812 წელს ომი რუსეთის წინააღმდეგ. შთამომავლობას შემორჩა მხოლოდ იმ პერიოდის შილერის მოსაზრებები, როდესაც ნაპოლეონის სახელი ყველას პირზე ეკერა და დიდების შარავანდედით იყო მოხილი. შილერმა თავი შეიკავა ნაპოლეონის განდიდებისაგან და ეს მის პოლიტიკურ პორსმჭვრეტელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ომები, დაპყრობები, ექსპანსიონისტური პოლიტიკა, ისეთი დიდი ჰუმანისტისათვის როგორც შილერი იყო, ცხადია, მოუღებელია.

დირექტორიის, განსაკუთრებით კი ნაპოლეონის დროს ომის ხასიათში არსებითი ცვლილება ხდება. მართალია, იგი კვლავ ატარებს პროგრესულ ხასიათს, მაგრამ ომი საფრანგეთის ტერიტორიაზე აღარ მიმდინარეობს. ეს არაა სამართლიანი, თავდაცვითი ომი, საფრანგეთის არმია ხელს უწყობდა დაკავებულ ტერიტორიებზე ძველი რეჟიმის დანგრევას და ამ მხრივ ის ახორციელებდა ისტორიულად პროგრესულ მისიას. ამავე დროს ის მოსახლეობის ადებდა უზარმაზარ კონტრიბუციას და რეკვიზიციას [4]. ფრანგი ისტორიკოსის ა. კალეუს თქმით „სამოქალაქო სულისკვეთება სულ უფრო უკან იხევს დაპყრობითის სულისკვეთებასთან. რევოლუციის ჯარისკაცის ზურგს უკან სულ უფრო ხშირად ჩანს კონდოტიერი“ [წ.გვ. 34]. შილერის თვალსაზრისი, უდავოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. ეს იმით გამოიხატება, რომ მან ძალიან კარგად გააცნობიერა ნაპოლეონის ომების უარყოფითი შედეგები, რაც მისი მსჯელობის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი წარმატებებისადმი შილერის სკეპტიკური დამოკიდებულება ცალმხრივად მიგვაჩინა და აშუქებს საქმის რეალურ ვითარებას. სათანადოდ არ ითვალისწინებს ან გულგრილად ეკიდება პოზიტივს. განახლებების დანერგვა დაპყრობილ ტერიტორიებზე მაინც ხდება, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ შილერისათვის მოუღებელი აღმოჩნდა პროგრესის ძალისმიერი გზით განხორციელება.

მეორე საკითხია საერთაშორისო ურთიერთობები XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე და ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა. თუ კარგად ჩაუკვირდებით შილერის ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ლექსებს, რაღაც ინფორმაციას აღნიშნული საკითხის შესახებ მოვიძიებთ. შილერი საფრანგეთის სწრაფი აღზევების უშუალო თვითმხილველი და თანამედროვეა. ამიტომ, საერთაშორისო ურთიერთობებით, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკით შილერის დაინტერესება სავსებით ბუნებრივი უნდა ჩანდეს.

საინტერესოა ფრ. შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისადმი XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმყრობს შილერის ლექსი „ანტიკური ძეგლები პარიზში“ [6. გვ. 320]. შილერს აქ მხედველობაში აქვს 1796 წელს იტალიაში 27 წლის გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის ლაშქრობა. ზოგიერთი ფრანგი ისტორიკოსი (ა. პენგო) ვარდისფერებში წარმოაჩენს ნაპოლეონის პოლიტიკას იტალიაში და აიდეალებს იმ პროგრესული გარდაქმნების მნიშვნელობას, რომელსაც ფრანგები ატარებდნენ აპენინებზე [7. გვ. 113–447]. ფრანგები მარტო პროგრესულ გარდაქმნებს როდი ატარებდნენ, ამის ერთ-ერთი კარგი საბუთია შილერის აღნიშნული ლექსი, სადაც ის სასტიკად აშხელს ფრანგ დამპყრობლებს იტალიის ძეგლები-სა და კულტურული სიძველეების გაძარცვის გამო. შილერს კარგად ესმოდა, რომ ფრანგებს იტალიისთვის თავისუფლება კი არ მოჰქონდა, როგორც ეს გულუბრყვილოთ სჯეროდათ ზოგიერთ თანამედროვეებს, არამედ ტიპიური დამპყრობლები იყვნენ, რომლებსაც დიდად არ ანაღლებდათ იტალიის ბედი. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც შილერის პოეტურმა გენიამ კარგად დააფიქსირა. სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი მსჯელობის პოზიტიური მარცვალი, მაგრამ მედლს მეორე მხარეც გააჩნია და შესაძლოა შილერი სულ სხვა უკიდურესობაში ვარდებოდა. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ მოუხედავად ზემოაღნიშნულისა, შეიძლება ითქვას, რომ იტალიაში ნაპოლეონის პოლიტიკაში ნითელი მანც ჭარბობდა შავს. ფრანგებმა იტალიაში მნიშვნელოვანი სიახლეები დანერგეს, რომელმაც კატალიზატორის როლი შეასრულა და დააჩქარა იტალიის მოდერნიზაციის ტემპები, ხელი შეუწყო თავისუფა-

ლი მენარმეობის განვითარებას, ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. იტალიელი ისტორიკოსი ჯ. კანდელიორი აღნიშნავს «ფრანგების მოსვლის ყველა ენთუზიაზმით შეხვდა, მათ შორის სამღვდელოება და დიდგვაროვნები» [8, გვ. 357] ნაპოლეონმა იტალიაში გაატარა სერიოზული დემოკრატიული გარდაქმნები და ამის იგნორირება, წაყრუება, აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიქმნის.

ფრანგების ხელი შილერის მშობლიურ გერმანიასაც შეეხო. 1796–1797 წლებში რაინის არმიამ ფართო სამხედრო ოპერაციები წამოიწყო. ომს მოჰყვა სიკვდილი და უბედურება. იგი პირადად შეეხო შილერსაც. 1796 წელს ოკუპირებულ შტუტგარტში გარდაიცვალა შილერის მამა იოჰან კასპარ შილერი და უმცროსი და ნანეტა. პოეტის გულისტკივილი სავსებით ვასაგებია. თუ რამდენად სრული წარმოდგენა ჰქონდა შილერს ფრანგების ოკუპაციის შესახებ, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ორი წერილის მიხედვით. აი, რას წერდა ერთ–ერთი ახლობელი ანა გელცლი შილერს: „2 მარტს შემოვიდნენ ფრანგები, ყოველმა მოქალაქემ უნდა უზრუნველყოს ექვსი კაცი. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, ვერაფერ ვერ ხედავს ამ გაჭირვების დასასრულს, რომელიც ომმა მოგვიტანა“ [3, გვ. 272]. შილერის დედა ელისაბედ კოდვეისი 1796 წლის დეკემბერში თავის ვაჟს წერდა: „შენი წინა წერილი საყვარელო შვილო, ჩვენთან დიდი გაჭირვების ფაშს მოვიდა. ფრანგები აქედან სამი საათის სავალზე არიან, ყველანი შიმშილი მოიცვა და გარბიან... ოჰ, რა ბედნიერნი არიან ის ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად. ჩვენი გლეხები პირდაპირ წელში არიან განყვეტილი. ნაართვეს გლეხს მარცვლეული და დაუტოვებს მხოლოდ შიმშილით სიკვდილის უფლება“ [3, გვ. 274]. შილერს ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მაგორულ განწყობილებას ვერ შეუქმნიდა. მას კარგად ჰქონდა გამტობიერებული უბედურება, რომელიც ომმა მოუტანა გერმანიას. შილერის პატრიოტული ალტკინება სავსებით ვასაგებია. შილერი ვერ ეგუებოდა ფრანგების ოკუპაციას, მისთვის მიუღებელი იყო თავისუფლების, ახალი იდეების ხიშტებით შემოტანა. ასე ფიქრობდნენ ბევრნი. იყვნენ თანამედროვეები, რომლებსაც განსხვავებული აზრი გააჩნდათ. ცნობილია, რომ დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი ანტინაპოლეონისტურ კო-

ალიციას 1813 წელს განიხილავდა, როგორც მტერს. ასეთი უკიდურესობები თანამედროვეებისთვის უცხო არ იყო. გერმანელი ისტორიკოსის გეორგ გერვინიუსის თქმით „ნაპოლეონი ასრულებდა პროგრესულ როლს გერმანიაში ფეოდალური ბარიერების მოსპობის საქმეში“. სწორედ ამით გამოიხატებოდა ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტები. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, შესაძლოა შილერს ძალიან მკრთალად, სუსტად ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტები. დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა ან კიდევ ის ამ ნოვაციებს მეტად გულგრილად ეკიდებოდა. შილერი პროგრესის წინააღმდეგი არასდროს არ ყოფილა, მაგრამ მას აფიქრებდა მისი განხორციელების გზები, ფორმები. მიზანი მისწონს, მიზნის მიღწევის საშუალებები აფიქრებს, უნდა ითქვას, რომ შილერის შიში უსაფუძვლო არ გახლავთ და შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. რეალური არ შეესატყვისებოდა სანიმუშო იდეალს.

საგულისხმო ჩანს შილერის ლექსი „ახალი საუკუნის დასაწყისი“ (1801) [10. გვ. 321]. იგი უმთავრესად იმით იპყრობს ყურადღებას, რომ შილერი ორი საუკუნის მიჯნაზე შექმნილი საერთაშორისო ვითარების საინტერესო სურათს იძლევა. ამ ლექსს ყურადღება მიაქცია პროფ. ფრანც შილერმა [2. გვ. 331]. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფრიდრიხ შილერს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში მთავარ წინააღმდეგებად საეხებით სამართლიანად მიაჩნდა ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა. ეს ორი ქვეყანა იბრძვის მსოფლიო ბატონობისათვის: საფრანგეთი – ხმელეთზე, ინგლისი – ზღვაზე და არ არის დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც ყვავის თავისუფლება” – გულისტკივილით დასძენს დიდი გერმანელი დრამატურგი და თვალსაჩინო ისტორიკოსი. საეხებით მართალი იყო ფრიდრიხ შილერი, როდესაც ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირებაში ორივე მხრივ უსამართლო ომს ხედავდა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ევროპაში სისხლი იღვრება შილერისთვის მიუღებელია ამ ფასად მიღწეული პროგრესი. შილერმა კარგად დაინახა, რომ პროგრესი ყოველთვის სამართლიანი გზით არ ხორციელდება. შილერის ეს მსჯელობა, უდაოდ, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და მისი შეხედულების ძლიერ მხარეს წარმოადგენს. მაგრამ,

როგორც ჩანს, შილერი მეორე უკიდურესობაში ვარდება და საერთაშორისო ურთიერთობების საერთო პანორამას ორი საუკუნის მიჯნაზე მუქი სათვალთ უყურებს. შილერს მოსწონს მიზანი, აფიქრებს მიზნის მიღწევის საშუალებები, მისი მსჯელობის წინააღმდეგობების, ცალმხრიობის გასაღებიც სწორედ აქ ძეგს. მისთვის მიუღებელია პროგრესის ძალისმიერი მეთოდებით განხორციელება, მნიშვნელოვნადაა ამით აიხსნება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის პოზიტივიზმისადმი შილერის სკეპტიკური დამოკიდებულება. ეს იყო საკითხისადმი ერთ-ერთი ჭკვიანური მიდგომა, რომელსაც გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევის თვალსაზრისით საგულისხმოდ ჩანს შილერის დრამა „ორლეანელი ქალწული“, გერმანელი დრამატურგის ყურადღების ცენტრში დგას ფრიად აქტუალური თემა, აქ მან კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება დაპყრობითი ომებისადმი. აქ, შილერს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი თანადროული ნაპოლეონის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ჰქონდა მხედველობაში. მან მშვენიერი კონტრარგუმენტი მოძებნა თვით საფრანგეთის ისტორიაში. დაპყრობით ომებს დაუპირისპირა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, არსებობს საფუძველი „ორლეანელ ქალწულში“ დავინახოთ ნაპოლეონის ომებისადმი შილერის უარყოფითი დამოკიდებულების არაპირდაპირი გამოვლინება. ახალგაზრდა დაპყრობელ ნაპოლეონ ბონაპარტეს, უპირისპირდებოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ჟანა დარკი. თუ ვის მხარეზეა შილერის სიმპათიები, ძნელი გამოსაცნობი სულაც არ გახლავთ. ამავე დროს შილერის „ორლეანელი ქალწული“ იყო რეაქცია ლუნევილის ზავზე (1801 წლის 9 თებერვალი), რომლის თანახმადაც საფრანგეთმა მიიღო გერმანიის ტერიტორიის დიდი ნაწილი – მდ. რაინის მარცხენა ნაპირი. შილერის დრამა გაისმა როგორც მშობლიური ტერიტორიის ოკუპაციით გამოწვეული პროტესტი. მან მძლავრი სტიმული მისცა ეროვნული თვითშეგნების გამოვლიცხვას. დიდი გერმანელი დრამატურგი და თვალსაჩინო ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი იდგა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან და შეიძლება ითქვას, ის იყო მისი ერთ-ერთი წინას-

ნარმეტყველი, რომლის აზვირთებას 1813–1814 წლებში შილერი ველარ მოესწრო. საესებით კანონზომიერი იყო, რომ 1813–1814 წლების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის დროს შილერის დრამა „ორღეანელი ქალწული“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ნიშანდობლივია, რომ შილერი შორს იყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში პრუსიის სახელმწიფოს როლის გაიდებლებისაგან, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX საუკუნის გერმანულ ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ „მცირე გერმანელთა სკოლის“ მიმდევრები ჰაინრიხ ფონ ზიბელის და ჰაინრიხ ფონ ტრაიჩკეს თავკაცობით. ყოვლად უსაფუძვლოა ზოგიერთი შილეროლოგის მოსაზრება – თითქოს შილერის ისტორიული დრამები თანადროულობას მოწყვეტილი იყო

აღბათ, შილერის სკეპტიციზმი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ შილერი 1805 წელს გარდაიცვალა და ველარ მოესწრო პრუსიის კაპიტულაციას 1806 წელს და გერმანიისათვის უმძიმეს ტილზიტის ზავს 1807 წელს. დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს თქმით „ნაპოლეონმა სული შეუბერა პრუსიას და მან არსებობა შეწყვიტა“. ამ მოვლენების თანამედროვე გენიზენაუ ამბობდა „ჯობია ასჯერ მოკვდე, ვიდრე ეს დღე კიდევ ერთხელ განიცადო“.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებულ მწირონფორმაცია დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფრიდრიხ შილერი ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი წარმატებებისადმი საკმაოდ სკეპტიკურად არის განწყობილი. მან ძალიან კარგად დაინახა ნაპოლეონის ომების უარყოფითი შედეგები მისთვის მოუღებელი გახლდათ პროგრესის ძალისმძიერი ფორმა. შილერი არასოდეს არ ყოფილა პროგრესის წინააღმდეგი. ის მიესალმა მიზანს, მაგრამ აფიქრებს მიზნის მიღწევის საშუალებები, ფორმები. მან შესანიშნავად გაიცნობიერა, რომ წინსვლა, პროგრესი მტკივნეული პროცესია და ყოველთვის სამართლიანი გზით როდი ხორციელდება. შილერის ხედვაში უეჭველად არის ჭეშმარიტების მარცვალი, რაც მისი მსჯელობის პოზიტორი მხარეა ნაპოლეონისადმი შილერის დამოკიდებულებას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. შილერის მიდგომა აღმინულ საკითხზე ამომწურავ წარმოდგენას როდი გვიქმნის. შილერი სულს ხვა უკიდურესობაში ვარდება ამუქებს საქმის

რეალურ ვითარებას და ჯეროვნად არ ითვალისწინებს პოზიტივს. ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ორი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

შესაძლოა, შილერს მეტად მკრთალად, სუსტად ჰქონოდა გაცნობიერებული ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტები, დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა მაინც ხდებოდა, ანდა იგი ამ გარდაქმნებს, ნოვაციებს, უბრალოდ გულგრილად ეკიდება, რაც, უწინარესად იმით აიხსნებოდა, რომ შილერისთვის მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოების პროგრესის ფორმა, საშუალებები, რეალური არ შეესაბამებოდა სანიმუშო იდეალს. ნაპოლეონის ომები საფრანგეთის დიდი რევოლუციის გაგრძელებაა და „პროგრესის ბარბაროული ფორმას“ ნარმოადგენს. ასეთია რეალობა. მისადმი დამოკიდებულება, ალბათ, არასოდეს არ იქნება ერთგვაროვანი. ყოველთვის გამოჩნდებიან პესიმისტები და ოპტიმისტები.

#### ლიტერატურა

1. И Шерр, Шиллер и его время, М., 1875.
2. Франц Шиллер, Фридрих Шиллер, М., 1955.
3. Л. Лозинская, Фридрих Шиллер, М., 1960
4. დანერგვით იხ. А. Сорель, Европа и Французская революция, т 5-8 СПб., 1892-1906 А. Матъез, Как побеждала французская революция, М., 1928. А. Дживелегов, Армия французской революции и его вожди, М-П, 1923 გ კილურაძე, საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიიდან (ახალი არმიის ორგანიზება), თბ., 1963 გ კილურაძე, საფრანგეთის არმია დიდი რევოლუციის პირველ ეტაპზე (1789-1792), თბ., 1982
5. A. Galvet, Napoleon Paris, 1943
6. Фр. Шиллер, Античные статуи в Париже – Фр Шиллер, собр., соч., т. 1 М., 1955.
7. История XIX века, под. ред. Э Лависс и А. Рамбо, т. 1. М., 1938.
8. Дж. Канделоро, История современной италии, т. 1. М., 1958.
9. Е. Тарле, Наполеон, М., 1957 А. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1973 Д. Туган-Барановский, У истоков Бонапартизма, М., 1986 Д. Туган-Барановский, Наполеон и власть, М., 1993 С. Боботов, Наполеон Бонапарт – реформатор и законодатель, М., 1998, დ ცისკარიშვილი, ნაპოლეონი, ნაწილი 1-2, თბ., 1994-1997, კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა გეოგრაფია, თბ., 2005. ამ საკითხის ცოტა სხვაგვარი ხედვაა Ж. Тюлар, Наполеон, М., 1996.
10. Фр Шиллер, Начало нового времени – Фр Шиллер, собр. соч. т. 1 М., 1955

## დასკვნა

ნაპოლეონის მოღვაწეობა საკმაოდ მრავალფეროვან ხასიათს ატარებდა და თავისი ღრმა კვალი დატოვა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მისი საქმიანობა აღმოჩნდა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრით. თავად განსაჯეთ, მასზე ნერდნენ ისტორიკოსები, სამხედრო თეორეტიკოსები, პოლიტიკოსები, სამართალმცოდნეები, ეკონომისტები და რა თქმა უნდა, ხელოვნები. პირველ რიგში კი მწერლები და სახვითი ხელოვნების ნარმომადგენლები, კორიფეები. ამის საუკეთესო ნიმუშია XIX საუკუნის ცნობილი ფრანგი მხატვრის ჟაკ ლუი დავიდის, რომელიც ნაპოლეონის თანამედროვე იყო, შემოქმედება, სადაც ნაპოლეონის თემას ცენტრალური ადგილი უჭირავს. ნაპოლეონით დავიდის გატაცების მწვერვალია მისი შედევრი „ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა“. მის ფერწერულ ტილოებში ძალუმად იგრძნობა ნაპოლეონისადმი უსაზღვრო სიმპათია.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაპოლეონის პიროვნებით დაინტერესებას თავისი ტრადიცია გააჩნია და მის სათავეებთან დგას ქართული რომანტიზმის კორიფე ნიკოლოზ ბარათაშვილი. ეს კონკრეტული თემა მჭიდროდ უკავშირდება ორ დიდ და სერიოზულ პრობლემას: ნაპოლეონის სახე მსოფლიო ლიტერატურაში და საქართველოში ნაპოლეონის მოღვაწეობით დაინტერესება. ამ თემის შესწავლის დროს გვერდს ვერ აუვლით ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, ამიტომ ეს საკითხი ქართული ნაპოლეონიანას შემადგენელ ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ნაპოლეონის პიროვნებით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინეს ქართველი რომანტიკოსების, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედებაში. მათ ეს დაინტერესება, უნდა ითქვას,

რომ სხვადასხვა ფორმით გამოხატეს. ნ. ბარათაშვილმა ლექსით, ხოლო ალ. ორბელიანმა ნერილით. ქართველი რომანტიკოსების დაინტერესება ნაპოლეონის პიროვნებით საგულისხმო უნდა ჩანდეს და იმაზე მეტყველებს, რომ ისინი გვერდზე არ მდგარან და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ არ ჩამორჩენ, ფეხი აუნყონ იმ ძიებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ რომანტიზმში. ნაპოლეონის პიროვნებით გატაცება ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ქართველმა რომანტიკოსებმა ნ. ბარათაშვილმა და ალ. ორბელიანმა, საძირკველი ჩაუყარეს ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ბონაპარტისტულ ფრთას, რომელიც ნაპოლეონის მიმართ საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო. ევროპული რომანტიკოსების მსგავსად, შესაძლოა, ისინი აიდეალებდნენ ნაპოლეონს, მაგრამ ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს. ნაპოლეონით გატაცება ერთ-ერთი საინტერესო საბუთია იმისა, რომ ქართველი რომანტიკოსები ევროპულ რეალიზმზე იყვნენ ორიენტირებულნი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ნაპოლეონის პიროვნებით დაინტერესება შეიძლება ითქვას, რომ ახალ ფაზაში შედის, რაც, იმით გამოიხატება, რომ ცდილობენ კიდევ უფრო ღრმად გაიაზრონ ნაპოლეონის მოღვაწეობა. ამ თვალსაზრისით, უწინარესად ყურადღებას იმყრობს და საინტერესოა მინიშნება ნაპოლეონის კანონმემოქმედებითი საქმიანობის ისტორიულ მნიშვნელობაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის, და პირველ რიგში ნიკო ნიკოლაძის შეხედულებების პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტების წინ წამოინევა. „ამის შემდეგ, რაც ნაპოლეონმა მთელი გერმანია გაადადგურა (1806–07 წწ). მან, იქ, ამასთან ერთად, ძველი უწესობისა და უსამართლობის ნაცვლად საფრანგეთის ახალი კანონები შეიტანა და გერმანელი ხალხი ადამიანურ ცხოვრებას შეაჩვია“... ნერდა ნიკო ნიკოლაძე. ნაპოლეონის ომების სოციალური ასპექტები, როგორც ჩანს, კარგად ჰქონდა გაცხადებული ცნობილ ქართველ მწერალს გიორგი ნერეთელს.

ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ნაპოლეონის პიროვნებით დაინტერესების, გატაცების, მწვერვალად კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება გვევლინება. ჩვენი აზ-

რით, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში ბონაპარტისტული ორიენტაციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნარმომადგენლად და აღიარებულ ლიდერად, დიდი კონსტანტინე გამსახურდია შეიძლება მივიჩნიოთ

ნაპოლეონისადმი მისი დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თავისი სიღრმით, მასშტაბურობით, ფართო გაქანებით, მან ეს პრობლემა ფილოსოფიურ ასპექტში დააყენა. უნინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ლიტერატურაში ნაპოლეონზე იმდენი, ალბათ, არავის დაუნერია, რამდენიც ბ-ნ კონსტანტინე გამსახურდიას. მისი ესე „გოეტე, ნაპოლეონი, ნიცმე“ და ნოველა „ნაპოლეონი“ ქართული ნაპოლეონიანას შედევრებია და მის კიდევ ერთ დიდი მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. ნაპოლეონის პიროვნებით კ. გამსახურდიას დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და მისი მიზეზები, პირველ რიგში დიდი მწერლის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. მისი შემოქმედებისთვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო დიდი და ძლიერი პიროვნების კულტი, რასაც მძლავრი სტიმული მისცა ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიამ. ნაპოლეონი ძალიან კარგად თავსდება ამ კონტექსტში. სტალინის და ნაპოლეონის შედარება და სტალინის ნაპოლეონზე მაღლა დაყენება დიდი მწერლის შეხედულებების აქილევსის ქუსლად მიგაჩნია.

ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია ანა კალანდაძის პოეზია, ნაპოლეონის სახელმა გაიფლერა მის ლექსებში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქალბატონი ანა ქართულ ლიტერატურაში პირველი ქალია, რომლის ყურადღება მიიპყრო ნაპოლეონის თემატიკამ. ამით მან ფაქტობრივად დაარღვია მამაკაცების მონოპოლია, რომელიც უკვე თითქმის ორი საუკუნეა ამ სფეროში დომინირებდა. მართლაც, საინტერესოა ფაქტია. ერთი შეხედვით, რა საერთო შეიძლება პქონდეს ნაზ ქალს და მის უნაზეს პოეზიას ნაპოლეონის ბობოქარ ეპოპეასთან? ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ანა კალანდაძის ლექსები იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ ნარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორ შეიძლება დრამატიზმით აღსავეც ისტორიული მოვლენები გადატყდეს ნაზ ლირიულ პრიზმაში. უნდა ითქვას, რომ ამ რთულ ამოცანას პოეტმა ჩინებულად გაართვა თავი და დაწერა ლირიზმით აღსავეც ლექსები ნაპოლეონზე. ანა კალანდაძის ამ ლექ-

სებმა საესებით სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი ნაპოლეონისადმი მიძღვნილ სიტყვაკაზმულ მწერლობაში და ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი შეაესეს.

• • •

ნაპოლეონის სახე მსოფლიო ლიტერატურაში ფრიად საინტერესო და აქტუალური თემაა. ალბათ, ქრისტეს გარდა, ფიქრთა მპყრობელებს იმდენი არაეიზე დაუნერიათ, რამდენიც ნაპოლეონზე. თავისთავად ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა და მრვალისმეტყველი უნდა იყოს, არა აქ ნაპოლეონის ხოტბა არ დომინირებს. საკმარისია გავიხსენოთ ლევ ტოლსტოის უკვედავი რომანი „ომი და მშვიდობა“. აღნიშნულ თემაზე, ნაპოლეონის სახე მსოფლიო მწერლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე არსებობს მეტად მდიდარი ლიტერატურა. განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათით მიმდინარეობს ამ უზარმაზარი პრობლემის ცალკეული კომპონენტების დამუშავება. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე აღნიშნულ თემაზე არსებული ლიტერატურა მეტად მწირია. ეს თანამედროვე ქართული, სამეცნიერო ლიტერატურის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია და იმედს გამოვთქვამთ, რომ ახლო მომავალში გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები, რათა ეს ვაკუუმი შეივსოს ამ ხარვეზის გამოსწორების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად, პროფ. ვარლამ დონაძის საინტერესო ნაშრომი „ჰანრიხ ჰაინე ნაპოლეონი ბონაპარტის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა 1983 წელს უნივერსიტეტის შრომებში, მიგვაჩნია. ჩვენი დაინტერესება ნაპოლეონისადმი ბაირონის და შილერის დამოკიდებულებით ამ ხაზის გაგრძელების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. ცოტა სხვა კუთხით, ფილოლოგიის მეცნიერების პოზიციებიდან, ნაპოლეონისადმი ბაირონის დამოკიდებულებას ეხება პროფ. ინესა მერაბიშვილი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და გასაკეთებელი, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო ბევრია.

პირველ რიგში ხაზი უნდა გაუსვათ იმას, რომ შილერზე მსჯელობა ძირითადად პიპოთეზების სფეროთი შემოიფარგლება. „მეცნიერება პიპოთეზების სასაფლაოა“, ამიტომ პირველ ყოვლისა, საჭიროა საკითხის წყაროთმცოდნეობის ბაზის შემდ-

გომი გაფართოება. ეს საშუალებას მოგვცემს ნაპოლეონისადმი შილერის დამოკიდებულებაზე კიდევ უფრო სრული წარმოდგენა შევიქმნათ. ბაირონთან სურათი ნათელია და ის გამყარებულია საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი წყაროთმცოდნეობითი ბაზით – მხატვრული ლიტერატურა, დღიურები, კერძო წერილები.

ნაპოლეონისადმი ამ ორი დიდი გენიოსის დამოკიდებულება, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს კონტრასტებით. რა თქმა უნდა, არავინ არ უარყოფს, მათ შეხედულებებს შორის შეხების წერტილების არსებობას, ამავე დროს არის განსხვავება, რომელიც პრინციპულ ხასიათს ატარებს. აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ ფ. შილერი ნაპოლეონისადმი მაინც თავშეკაცებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, ბაირონი – პირიქით, დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციაზე დგას და ნაპოლეონს უაღრესად დიდ პატივს მიაგებს, სწორედ, ამაში მდგომარეობდა ნაპოლეონისადმი მათი მიდგომის კონტრასტი. რთი იყო გამოწვეული ასეთი კონტრასტი? არც ერთს არ გააჩნდა არავითარი ილუზია მათი თანადროულობის მიმართ. ორივე შესანიშნავად ხედავდა, რომ ის სულაც არ შეესატყვისებოდა განმანათლებელთა მიერ დაპირებულ გონის სუფევას. ორივე უკმაყოფილო იყო შექმნილი ყოფით, მაგრამ ერთი დიდ პატივს მიაგებს ნაპოლეონს, ხოლო მეორე კი პირიქით თავშეკაცებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. რატომ? რა თქმა უნდა, ასეთი დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომა შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანიწილად იმით შეიძლება აიხსნას, რომ ბაირონი უმთავრესად აქცენტს აკეთებდა პროგრესზე, ხოლო შილერი, როგორც ეტყობა სამართლიანობაზე უფრო იყო ორიენტირებული. ისინი საკითხს სხვადასხვა საზომით, კრიტიკიუმით, მოუდგნენ. ბაირონმა კარგად დაინახა, რომ ნაპოლეონი, მოუხედავად მისის ღირსებისა და ნაკლოვანებისა მაინც ხელს უწყობდა საზოგადოების წინსვლას, პროგრესს. „მეფედ შობილი არ იყო, მაგრამ ეტლში მეფეები ყავდა შებშული“. ის ნაპოლეონში ხედავდა „საღვთო კავშირის“ ბურბონების, მეტერნახის, კესტლერის ანტითეზას. შილერი 1805 წელს გარდაიცვალა და ბუნებრივია, ვეღარ მოესწრო ამას, მაგრამ ის რასაც მოესწრო, ესეც საკმარისი იყო. მან ძალიან კარგად დაინახა, რომ კაცობრიობის წინსვლა, პროგრესი სულაც არ ატარებდა სამართლიან

ხასიათს და ხორციელდებოდა ომების, ძალმომრეობის პირობებში, შილერისათვის მოუღებელი აღმოჩნდა პროგრესის ამგვარი ფორმა. ის პროგრესის წინააღმდეგი არასოდეს არ ყოფილა, ამის გაფიქრებაც კი აბსურდული იქნებოდა, მიზანი მოსწონს, მიზნის მიღწევის საშუალებები აფიქრებს. მნიშვნელოვანი ილად, ალბათ, სწორედ, ამით აიხსნებოდა ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი წარმატებებისადმი ფრიდრიხ შილერის სკეპტიკური დამოკიდებულება. ორივე მიდგომას აქვს არსებობის უფლება და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები – ორივე შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს. შესაძლოა, ერთი ცოტათი შეღამაზებულად წარმოაჩენდა სიტუაციას, ხოლო მეორე პირიქით უფრო ამუქებდა რეალობას.

## სარჩევი

შესავალი .....	3
პარი I ისტორია და სიტყვაკაზმული ლიტერატურა I თავი რა არის ისტორია, ხელოვნება თუ მეცნიერება? .....	7
II თავი. ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემატიკაზე არსებული გამოკვლევები .....	16
III თავი. ლიტერატურაში გაყალბებული ისტორიული სახეები .....	21
პარი II. ნაპოლეონი ქართულ მწერლობაში I თავი. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ნაპოლეონი .....	31
II თავი. ალექსანდრე ორბელიანი და ნაპოლეონი .....	44
III თავი. გიორგი წერეთელი და ნაპოლეონი .....	55
IV თავი კონსტანტინე გამსახურდია და ნაპოლეონი .....	68
V თავი. ნაპოლეონი ანა კალანდაძის პოეზიაში .....	99
პარი III. ნაპოლეონი საზღვარგარეთის ლიტერატურაში I თავი. ბაირონი და ნაპოლეონი .....	108
II თავი. ფრიდრიხ შილერი და ნაპოლეონი .....	126
დასკვნა .....	135